

# ისტორიკი



**მოდოცი**  
„უბნაენი უღო“  
უხანაში

**ვინ ბანსა**  
ლოხ სოხეთს

**მიღვი**  
ინაონი-აბიხის  
საზვო-სასანო

ქართველთა ბიუილი ქოჯაი

ანა ანონოვსკაია  
დიდი მოურავი  
12 ნიგაღ

ნონი V  
ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიკი“ ერთად – 5 ლარი

ქველნი  
„ნაისის“  
სილაო

ჩვისთაველის  
ჩვითაფი

ნიხანოხის  
ფიხი

საონსაბიხი  
ბანაბის  
ნიხი

ბიტი  
ეანა იოი?

ჩინ ჭიხონი  
ბიხანაღე –  
ჩიხი



6

7



11



26



36



18

**სახიჩქვი**

**ახალი აზვები**  
 ცხვრის უკველესი კულტი და ორი მზე  
 ოგალოდან ..... 6  
 უკველესი „ნავისთის“ საიღუმელო ..... 7  
 მაიას მიწისქვეშა ლაბირინთები ..... 9  
 ახალგაზრდა პრინციის თასი ..... 11

**ახალი მოაუბრებები**  
 ვინ გაღასცა ღორე სომხეთს? ..... 12

**სახიჩქვი ოლქის მუხიჩიან**  
 ღმინდა ბიორები ხალხურ



სიტყვიერებაში ..... 18

**ბაგოსაუბი ყველა ოჯახისთვის**  
 „საქართველოს იმედი“ — ღმინების  
 სერიად ..... 23

**აღმორენა**  
 რუკისთაველის მკითხვია ..... 26

**აღმორენა**  
 6-ღლიანი ომი და  
 „ერთიანი იერუსალიმი“ ..... 31

**ქალღმირის ისტორია**  
 საგონდგნტრადიო ბანაკები ..... 36



**სახიჩქვი**

**მოხელე აბაზი**  
 „უზენაესი ურლო“ — უკრაინის  
 სტამბეში?! ..... 44

**ბიძოცაძე იხილია**  
 მიღწევის საზღვარო სასაქლარო ..... 47

**სინეზიბაბაჯი**  
 ვარტუბურბი — ქვის კარმონის  
 გერმანულად ..... 55

**სხვა ხეხისით**  
 მართლად ღამცა რომი? ..... 60

**ახალი აბაზი**  
 ინდოევროპული ენა

ანატოლიაში წარმოქმნა? ..... 66

**საოხის იხილია**  
 დიქტატორების ვმეზურთი ..... 67

**სოუხაბა**  
 თემო ჯაფარიძე: ...ამდენი საწუქარი  
 მომცა ღმერთმა ..... 73

**ჩიხიტი**  
 კასა მიქიაშვილი: ისტორია ისე კარგად  
 არ ვიცი, რომორც საჭირთა... ..... 79

**„იხილიანი“ ბავშვებისთვის**  
 500 ვაქტი ისტორიიდან ..... 82

სპანვორდი ..... 90

## ხელახლოვის სვეტი

მინდა სასიხარულო ინფორმაციით დავიწყო. საზოგადოებაში ჟურნალ „ისტორიანი“-ში ინტერესმა რედაქციას გადაწყვეტინა მისი მოცულობის გაზრდა. ამ საკითხზე მკითხველები ხშირად გვწერდნენ, გვთხოვდნენ სხვადასხვა რუბრიკის დამატებას, ფოტოილუსტრაციების მოცულობის გაზრდას, ლიტერატურული გვერდის დამატებას და სხვ. ჩვენ ვითვალისწინებთ ერთგული მკითხველის ამ მოთხოვნას და იანვრიდან ჟურნალი 120-გვერდიანი გამოვა. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაუხადო ჩვენი ჟურნალის ათასობით მკითხველს იმ სიყვარულისთვის, რასაც ყოველდღიურად გამოხატავენ თავიანთ კომენტარებსა თუ წერილებში. გპირდებით, ახალი ფორმატის „ისტორიანი“ კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდება.

ამასთანავე მოვუწოდებთ ისტორიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებს, პოლიტოლოგებს, ფილოლოგებს, სხვა სოციალური თუ ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებს, აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენს ჟურნალთან. ეს პირველ რიგში თქვენი ჟურნალია, ყველა იმ ადამიანის ჟურნალია, ვისაც ჩვენი ერის წარსული უყვარს, ვისაც მეტი გაგება სურს მსოფლიო ისტორიაზე, კულტურაზე...

ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ვიწრო სპეციალობებით. ახალ რუბრიკებში გაეცნობით ფიზიკაში, ქიმიაში, მანქანათმშენებლობაში განხორციელებულ აღმოჩენათა ისტორიას, ცნობილი გეოგრაფების მოგზაურობებს, გაეცნობით პიროვნებებს, რომელთაც შეცვალეს ეპოქები.

ასე რომ, ჟურნალი „ისტორიანი“ ახალი, განახლებული ფორმატით ისევ თქვენს სამსახურში იქნება!..



ახალი წლიდან ჟურნალი „ისტორიანი“ ახალი, განახლებული ფორმატით ისევ თქვენს სამსახურში იქნება!..

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
**ჯანა სამუშია**

რედაქტორი  
**გელა გურგენიძე**

სტილისტი-რედაქტორი  
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბოშიშვილი**  
**ოქროპირი ჯიქური**  
**ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:  
**ნანა მაჭკაურიანი**  
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49  
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება  
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**

e-mail: istoriani@palitra.ge

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერილობის მიმართულებით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.  
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**



## სხვრის უძველესი კულბი და ორი მზა ომალოდან

რკინის შუბის წვერი, მახვილები, ნაჯახები, ბრინჯაოს სამკაულები — ძველი ბრინჯაოს ხანის ეს და სხვა ნივთები თუშეთში, ზემო ომალოში, უძველეს სამაროვანში აღმოაჩინეს. მათ შორისაა ბრინჯაოსგან დამზადებული ცხვრის ფიგურებიც. არტეფაქტები ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება.

„ერთ-ერთი საინტერესო აღმოჩენა არის დაფა, სადაც ორი მზა გამოსახული. ეს სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოა. სამაროვნებში იკვეთება კრემაციის კვალიც“, — გვეუბნება თუშეთის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი, ეთნოგრაფი ნუგზარ იდოიძე.

ზემო ომალოში არქეოლოგიური გათხრები აქამდე არასდროს ყოფილა. ამ აღმოჩენების შემდეგ ექსპერტები თუშეთში სერიოზული

მიწა ჩამორეცხა. ლი მუშაობის დაწყებას ფიქრობენ. დაზვერვითი სამუშაოები აქ აგვისტოს დასაწყისში, რამდენიმე სამარხის შემთხვევით აღმოჩენის შემდეგ დაიწყო. მოსახლეობამ სამაროვანი მას შემდეგ შენიშნა, რაც ძლიერმა წვიმებმა მიწა ჩამორეცხა.

შარშან გაზაფხულზე კი ომალოში, საღმრთოს გორაზე, ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე დიდგვაროვნის სამაროვანს მიაკვლიეს. აქვე იპოვეს დიადემა, რომელსაც ქართული არქეოლოგიის ისტორიაში ანალოგი არ აქვს და ძვ. წ. VIII საუკუნეს განეკუთვნება. გვირგვინი წარჩინებულ გვარის ქალს, სავარაუდოდ, 2800 წლის წინ ეკეთა.

საღმრთოს გორაზე სხვა უნიკალური ნივთებიც აღმოჩნდა. სასაფეთქლე, საყურეები, ბეჭდები და წარმართულ რელიგიასთან დაკავშირებული სარიტუალო ფიგურები.

საღმრთოს გორის ეს აღმოჩენა უნიკალური იმითაცაა, რომ პირველად, ადრექრისტიანულ და წარმართულ ნივთებს ერთად მიაკვლიეს. ნაპოვნია ორი ჯვარცხ.

წლეულს, აგვისტოში, ომალოში დაზვერვით არქეოლოგიურ გათხრებში, ფონდ „კესელოსთან“ თანამშრომლობდნენ ჩეხი სტუდენტებიც. ისინი თუშეთში მესამე წელია ჩამოდიან და გაწმენდით სამუშაოებსა თუ ტურიისტული მარშრუტების მარკირებაზე მუშაობენ. ომალოში აღმოჩენილი ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა ლაბორატორიულად და კომპლექსურად თბილისში გაგრძელდება.

„ისტორიანი“

ზემო ომალოში არქეოლოგიური გათხრები აქამდე არასდროს ყოფილა



საღმრთოს გორაზე უნიკალური ნივთები აღმოჩნდა



# უძველესი „ნაცისტის“ საიდუმლო

სიმდიდრისა და  
ომის ღმერთის,  
ვაისრაჰანას  
ქანდაკება 1000  
წლისაა

ერთ-ერთი უძველესი ბუდისტური სტატუა, რომელსაც გერმანულმა ექსპედიციამ ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში, ტიბეტში მიაკვლია, როგორც გაირკვა, ატაქსიტისგანა გამოკვეთილი. იშვიათი კლასის მეტეორიტისგან, ნიკელის მაღალი შემცველობით.

სიმდიდრისა და ომის ღმერთ ვაისრაჰანას ქანდაკების ასაკი, რომელიც სვასტიკა აქვს გამოსახული, მკვლევართა ვარაუდით, სულ მცირე 1000 წლისაა.

ლითონშენადნობში, რომლისგანაც ბუდას მცირე ქანდაკება დამზადდა, ნიკელის დიდი შემცველობაა. საუარაუდოდ, ის მეტეორიტი ჩინგეს ფრაგმენტისგან დაამზადეს, რომელიც დედამიწაზე 15 ათასი წლის წინ ჩამოვარდა.

ბუდისტურ ქანდაკებას, რომლის სიმაღლე 24 სანტიმეტრი, წონა კი 10 კილოგრამია, „რკინის ადამიანი უწოდეს“. მისი ისტორია ინდიანა ჯონსის სათავედასავლო ფილმს უფრო ჰგავს, ვიდრე მშრალ სამეცნიერო ტრაქტატს. სტატუა 1938 წელს მკვლევარმა ერნესტ შეფერმა აღმოაჩინა.

მის ექსპედიციას ნაცისტური გერმანიის ხელისუფლების უმაღლესი პირები უჭერდნენ მხარს. კერძოდ, SS-ის (შუცშტაფელი — პარამილიტარისტული ორგანიზაცია ნაცისტური პარტიის შემადგენლობაში) მეთაური ჰაინრიხ ჰიმლერი. მათ სჯეროდათ ვერსიის, რომ არიული რასის ფესვები ტიბეტში უნდა ექებნათ.

„რკინის კაცი“ გერმანიაში, კერძო კოლექ-



ეს ადამიანის ფორმის ნამდვილად ერთადერთი ფიგურაა, რომელიც მეტეორიტისგანაა დამზადებული



ვაისრაჰანას ქანდაკების უკანა მხარე



ლითონის ანალიზი დოქტორმა ელმარ ბიუჰნერმა გააკეთა

ციაში მოხვდა და 2007 წლამდე გარე თვალისთვის მიუწვდომელი იყო. მისმა ბოლო მფლობელმა კი გადაწყვიტა, სტატუის წარმომავლობა მეცნიერებთან გაერკვია.

„პირველივე შეხედვისას აბსოლუტურად დავრწმუნდი, რომ სტატუა მეტეორიტისგან იყო დაშნადებული“, — აღნიშნავს შტუდგარდტის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ელმარ ბიუჰნერი. ლითონის ანალიზი სწორედ მან გააკეთა.

გერმანელი პროფესორის განმარტებით, დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სტატუა დაშნადებულია ატაქსიტისგან, მეტეორიტის სახეობისგან, რომელიც დედამიწაზე მეტად იშვიათად გვხვდება.

„მასში მაღალია ნიკელისა და კობალტის შემცველობა. ატაქსიტის მეტეორიტების რიცხვი მეტეორიტების საერთო რაოდენობის 0,1%-ზე ნაკლებია, ხოლო ლითონის მეტეორიტების შემთხვევაში — 1%-ზე ნაკლები. ასე რომ, ეს უიშვიათესი აღმოჩენაა“, — ამბობს ელმარ ბიუჰნერი.

უძველეს ხალხთა წარმოდგენაში მეტეო-

რიტები საუკუნეთა განმავლობაში ასოცირდებოდნენ ღვთის ნიშანთან. მათგან დანებსა და საიუველირო ნაწარმს აშნადებდნენ. თუმცა „რკინის სტუმრის“ წარმომავლობის განსაზღვრა ყოველთვის რთული იყო.

„რკინის კაცის“ შემთხვევაში გერმანელ და ავსტრიელ მეცნიერებს სიურპრიზი ელოდათ: მათ შეძლეს, შესწავლილი ლითონის მეტეორიტების ისტორიაში მომხდარ მოვლენასთან დაეკავშირებინათ.

მკვლევართა ვარაუდით, ბუდისტური სტატუა დააშნადეს ლითონის მეტეორიტისგან, რომელიც მონღოლეთისა და აღმოსავლეთ ციმბირის საზღვარზე 15 ათასი წლის წინ ჩამოვარდა.


მეტეორიტის ნაწილები ოქროს მაძიებლებმა 1913 წელს აღმოაჩინეს. თუმცა ინდივიდუალური ფრაგმენტი, რომლისგანაც „რკინის კაცი“ გამოიკვეთა, გაცილებით ადრე, შესაძლოა რამდენიმე ასწლეულის წინათ იპოვეს.

მეცნიერების აზრით, ვაისრაფანას სტატუა, რომელიც ბუდისტური ოთხი „ზეციური მეფიდან“ ერთ-ერთია, წინარებუდისტური ტიბეტური რელიგიის — ბონის ეპოქას განეკუთვნება. რელიგია ბონი ტიბეტში ბუდიზმამდე იყო გავრცელებული და ის ჩვენს დროშიც არასაკმარისად გამოკვლეულია. მისი არსებობის შესახებ ინფორმაცია ევროპელი მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ 1967 წელს გახდა ტრაქტატებით, რომელიც ამ რელიგიის შესახებ ინდოეთშია გამოქვეყნებული.

„ეს ადამიანის ფორმის ნამდვილად ერთადერთი ფიგურაა, რომელიც მეტეორიტისგანაა დაშნადებული. შეფასებისას მისი შედარება რამესთან შეუძლებელია. მარტო წარმომავლობის თვალსაზრისით, მისი ფასი დაახლოებით \$20 ათასია, ხოლო ჩვენს მიერ ნაგარაუდვეი ასაკი თუ დამტკიცდა, მაშინ ის შეუფასებელია“, — ამბობს ბიუჰნერი.

ელმარ ბიუჰნერის აზრით, ვარაუდის დადასტურება, მას მსოფლიო მასშტაბის უნიკალურ და ფასდაუდებელ აღმოჩენად აქცევს. მეცნიერი ასევე ამტკიცებს, რომ სტატუას თავისი აურა აქვს და მნახველზე კოლოსალურ შთაბეჭდილებას ახდენს. წარსულში ის, სრულად მოოქრული იყო და ახლაც დიდ საიდუმლოს ინახავს.

*მომზადებულია BBC-ის და Meteoritics and Planetary Science-ის მასალების მიხედვით*



# მაიას მიწისქვეშა ლაბორინთები

*იუკატანის ნახევარკუნძულზე სპეციალისტები ლაბირინთების აქამდე უცნობ სისტემას იკვლევენ, რომელიც ქვის პირამიდებისა და მცირე ტაძრებისგან შედგება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მაიას ტომები უნიკალურ ნაგებობებს არა მხოლოდ მიწის ზემოთ, მიწისქვეშაც აშენებდნენ. მათი დიდი უძრავლესობა კი ჯერაც მიუკვლეველია.*

„ჩვენ გვირახებისა და ლაბირინთების პრაქტიკულად მთელი, საფარადო სქემა გვაქვს. მათი ნაწილი წყალზე გასასვლელია, ნაწილი კი წყალსატევების ქვეშ გადის“, — ამბობს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი გილერმო დე ანდა.

ლაბირინთები საკმაოდ გრძელია და 14 მლვიმეს აერთებს. მათი ნაწილი უკვე დაძირულია.

მეცნიერები ამბობენ, რომ მაიას რწმენით, გარდაცვლილის სულს გვირახში ძალი აცილებდა და მას მრავალი გამოცდის გაგლაში ეხმარებოდა, რომლის შემდეგ სული გარდაცვლილთა სამყაროში საბოლოოდ გადადიოდა.

მკვლევრებს უჩვეულოდ ის ფაქტი ეჩვენებათ, რომ ზოგიერთი მღვიმე, რომელიც თანამედროვე გვატემალის ტერიტორიაზეა, მიწის ზედაპირზე ამოდის. რისთვის შეიძლება დასჭირვებოდა გარდაცვლილის სულს მიწა-

ზე ამოსვლა, მეცნიერებს ერთიანი პოზიცია არ გააჩნიათ.

ბოსტონის უნივერსიტეტის ექსპერტი, მაიას ტომების მკვლევარი უილიამ სატურნო მიიჩნევს, რომ ეს იყო პორტალი სიკვდილსა და



გილერმო დე ანდა





ლაბირინთების ნაწილი წვალზე გადის, ნაწილი კი წვალსატყეების ქვეშ

სიცოცხლეს შორის, სადაც შესაძლებელია ცოცხლის დაკარგვა და მკვდრის პოვნა. მას მაიას ტომებისთვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა.

ლაბირინთების ერთ სისტემაში მეცნიერებმა 90-მეტრიან გზას მიაკვლიეს, რომელიც კოლონებითა და წვალსაცავით სრულდება. ეს ლაბირინთი ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე გადის. მათ შორის მექსიკის, გვატემალისა და ჩრდილოეთი ბელიზის.

არქეოლოგთა შეფასებით, ლაბირინთების უმეტესობა 250-900 წლებში აშენდა. აღსანიშნავია, რომ მაიას ცივილიზაციის ყველა კვალი სწორედ დროის ამ ბოლო მონაკვეთში წყდება.

მექსიკელი არქეოლოგები ახლა ტაძრებსა და პირამიდებს იკვლევენ, რომელთაც ქალაქ მერიდასთან მდებარე ლაბირინთების სისტემა აერთიანებს. ყველაზე ძველი ნაგებობა

აქ 1900 წლისაა. დანარჩენები 750-850 წლებში აშენდა.

„აქ გვხვდება ქვეები, უზარმაზარი კოლონები და ღვთის მსახურთა სკულპტურები. ეს ყველაფერი მხოლოდ მღვიმეებშია“, — ამბობს გილერმო დე ანდა. მისმა ექსპედიციამ კერამიკისა და ადამიანის ნაშთებსაც მიაკვლია.

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ტაძრები მიწის ზემოთ და მღვიმეები მათ ქვეშ, ერთდროულად შენდებოდა. კომპლექსის მიწისზედა ნაწილი ცოცხლებისთვის, ქვედა კი გარდაცვლილთათვის იყო განკუთვნილი. ამის მიუხედავად, მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ თავდაპირველად ტაძრები აშენდა. ლაბირინთი და მღვიმეები კი, მოგვიანებით — მას შემდეგ, რაც მაიას ტომებში გაჩნდა მითი იმ-ქვეყნიური ცხოვრების შესახებ.

*მოზადებულია National Geographic-ისა და Reuters-ის მასალების მიხედვით*



წელით დაფარულ მონაკვეთებს მშრალი გასასვლელები ენაცვლება

# ახალგაზრდა პრინცის თასი

მექსიკის კამპერეს შტატის ქალაქ უშულში, მაიას სასახლის გათხრებზე, ახალგაზრდა პრინცის აკლდამა და იშვიათი არტეფაქტი აღმოაჩინეს.



სასახლის კომპლექსში, რომელიც 11 შენობისგან შედგება, იატაკის ქვეშ მომცრო სათაუხის იპოვეს, სადაც 20-25 წლის ასაკის მამაკაცის ნეშტი და 9 ცალი კერამიკული ნივთი აღმოჩნდა.

ერთ-ერთ ჭურჭელზე ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა ნუკოლაე გრუბემ და მისმა თანამშრომლებმა წარწერის ამოკითხვა შეძლეს, რომელიც გვამცნობს: „ეს არის თასი სასმელის მიღებისთვის და ის პრინცს ეკუთვნის“. მეორე თასზე კი თარიღი იყო მითითებული, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, 711 წელს შეესაბამება.

გასაკვირი არ არის, რომ მაიას ტომის არტეფაქტები მისი მფლობელის შესახებ გვამცნობს. საქმე ის არის, რომ თურმე დღემდე მეცნიერთათვის ცნობილი მაიას ყველა ჭურჭელი, რომელთაც წყლის დასალევად იყენებდნენ, აღმოჩენილი იყო კანონდარღვევით და

სათანადო სამეცნიერო კონტროლის გარეშე. ეს აღმოჩენა კი ფაქტობრივად პირველი „კანონიერი არქეოლოგიური აღმოჩენაა“.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მომცრო აკლდამაში სამეფო სამაროვნებისთვის დამახასიათებელი გამჭვირვალე მინერალ ნეფრიტისგან დაშხადებული ძვირფასეულობა არ აღმოჩნდა. არადა, აკლდამის მდგომარეობიდან გამომდინარე, არქეოლოგები გამოირიცხავენ, რომ აკლდამა გაძარცვული იყო, — როგორც ჩანს, იგი არ იყო მემკვიდრე პრინცი და დიდი ალბათობით, მმართველთა საგვარეულოს გვერდით შტოს მიეკუთვნებოდა.

უშული 705 წლამდე მისგან 26 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ-სახელმწიფო კალაკმულს ემორჩილებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს პრინცი პირველი ადგილობრივი დინასტიების ოჯახის წარმომადგენელი იყო.

*National Geographic-ის მიხედვით*



# TALIZI

თმის გალანკიკვის სენზიტი

ტაშკენბის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

# ვინ გადასცა ლორე სომხეთს?



შუა საუკუნეების ქართული ციხე-ქალაქი ლორე

ნეიტრალური ტერიტორიის სომხეთისთვის გადაცემას  
ქართველი ბოლშევიკებიც კი ეწინააღმდეგებოდნენ

*ლორეს ოლქის სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკისთვის გადაცემის შესახებ ჟურნალი „ისტორიანი“ 2011 წლის ივნისის ნომერში წერდა. სტატიაში მიმოხილული იყო 1921 წლის მოვლენები და იმ ერთობლივი კომისიის მუშაობა, რომელიც შექმნა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის საზღვრის გამიჯვნის მიზნით.*

კავბიურომ 1921 წლის 7 ივლისს, იოსებ სტალინის მონაწილეობით, საგანგებოდ განიხილა ლორეს ნეიტრალური ზონის სტატუსი და დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა სომხეთის სს რესპუბლიკას შეუერთდა. ამ გადაწყვეტილებების მიუხედავად, ქართველი ბოლშევიკები რამდენიმე თვის განმავლობაში იბრძოდნენ საზღვრების დემარკაციის კომისიისა და კავბიუროს გადაწყვეტილების შესაცვლელად. უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს პოზიცია განსხვავებული იყო ამ საკითხის მიმართ. ეს კარგად ჩანს იმ დოკუმენტებით, რომელშიც ასახულია ქართველ ბოლშევიკთა ბრძოლა, რათა ე.წ. ნეიტრალურ ზონაში საქართველოს იურისდიქცია შეენარჩუნებინათ. 1921 წლის ივლისიდან ოქ-

ტომბრამდე ქართველი ბოლშევიკები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ნეიტრალური ზონის სომხეთისთვის გადაცემა არ დაეშვათ, თუმცა იოსებ სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის პოზიცია ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივში მიკვლეულია საკმაოდ საინტერესო დოკუმენტების კრებული (სულ 8 გვერდზე) სათაურით: „რა ბედი ეწია ნეიტრალურ ზონას და ვინ გადაწყვიტა ეს დიდი საკითხი“. აქ შეკრებილია ბრძანებები, გადაწყვეტილებები და კორესპონდენცია, რომელიც ეხება ნეიტრალურ ზონაში მიმდინარე მოვლენებს 1921 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. გამომდინარე იქიდან, რომ ეს დოკუმენტები პირველად ქვეყნდება, გთავაზობთ მათ სრული სახით.

დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტისთვის ნეიტრალური ზონის სომხეთისთვის უპირობო გადაცემა რომ მიუღებელი იყო, ეს გამოჩნდა 1921 წლის 3 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე. ქართველი კომუნისტების გაფართოებულმა შემადგენლობამ კვლავ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს გადაწყვეტილება, მაგრამ პლენუმზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ლორეს ოლქის უყოყმანოდ სომხეთისთვის გადაცემამ. სწორედ ამიტომ პლენუმის დადგენილებაში გაჩნდა ახალი მუხლი: „ამის გამო, რომ ნეიტრალური ზონის საკითხის განხილვის დროს კავშიურში არ ჰქონდათ საქართველოს კპ ცკ-ის აზრი, ეთხოვოს კავშიურს, ხელახლა განიხილოს ეს საკითხი. თავის მხრივ ცკ-ს საჭიროდ მიაჩნია რეფერენდუმის მოწყობა აღნიშნულ ზონაში“.

ქართველი ბოლშევიკების ასეთი განსხვავებული მოსაზრება ცხოვრებაშიც აისახა. არავის ეგონოს, რომ ეს იყო მხოლოდ „დოკუმენტებით ბრძოლა“. როგორც ჩანს, საქართველოში ფიქრობდნენ, რომ რამენაირად შეაცვლევინებდნენ კავშიურს თავის გადაწყვეტილებას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ბოლშევიკები ცოტა ინერტულები ჩა-

ნან. ამის მიზეზიც არსებობდა, მათსა და სტალინის შორის უკვე შეიმჩნეოდა ერთგვარი დაპირისპირება. პარტიის კურსიდან გადახვევაზე, ე.წ. „უკლონიზმზე“ სტალინმა სწორედ 1921 წლის ზაფხულში გაამახვილა ყურადღება და ეს ტერმინი პირველად გამოიყენა კავკასიაში მოღვაწე იმ ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნური გაერთიანების წინააღმდეგ წვიდნენ. სტალინთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებას, როგორც ჩანს, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი მოერიდა.

ნეიტრალურ ზონასთან დაკავშირებით ქართველ ბოლშევიკებს შორის ერთსულოვნება არ ყოფილა. რეფერენდუმის ჩატარებას პლენუმზე მხარი დაუჭირა ხუთმა წევრმა და წინააღმდეგი წავიდა ხუთი. ამკარაა, კავშიურს გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას საქართველოში ბევრი წინააღმდეგი ჰყავდა. ეს კარგად ჩანს იმ დოკუმენტების საფუძველზეც, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება.

1921 წლის 15 სექტემბერს რკინიგზის სამმართველო სთხოვს რეკომს (მიმართვა №754590), განუმარტოს: „სადგური სანაინი საქართველოს რესპუბლიკაში შედის თუ სომხეთის, რადგანაც დიდ გაუკებრობას აქვს ადგილი სომხეთის ათი ათასიან მან. მიღება არ მიღების გარშემო სადგურ სანაინთან (სტილი ყველგან დაცულია)“. ამავე პერიოდშია გაგზავნილი რევოლუციური კომიტეტის სა-

ანასტას მიქოიანი, იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე



ლორეს ოლქი და საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ს შორის სასაზღვრო ზოლი 1921 წელს. საქართველოს ისტორიის ატლასი დავით მუსხელიშვილის რედაქციით



**პირობითი აღნიშვნები**

- რუსეთის იმპერიაში შემავალი გუბერნიებისა და ოლქების საზღვარი, 1917 წ.
- ცვლილებები საქართველო-სომხეთის საზღვარზე 1921 წლის 6 ნოემბრის შეთანხმების მიხედვით
- საქართველოსა და სომხეთის საზღვარი თურქეთთან მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების თანახმად
- საქართველო-სომხეთის საზღვარი 1940 წლის მდგომარეობით
- საქართველოს ტერიტორია, რომელიც საბოლოოდ გადაეცა სომხეთს სსრ-ს

ხელზე რკინიგზის უფროსის მოადგილის, ლიდერისა და გზების კომისრის, ვოსკანოვის წყვილი.

„საქართველოს ს.ს.რ. რევოლუციონერ კომიტეტს.

სადგურ სანაინის მილიცია დაუყოვნებლივ მოითხოვს სომხეთის რესპუბლიკის 10.000 მან. ნიშნების მიღებას სადგურის ოპერაციების დროს იმ მოტივით, რომ სადგური სანაინი სომხეთის საზღვრებში შედისო. მოგახსენებთ, რა ამას, ვთხოვთ განმმართველ სადგური სანაინი შედის სომხეთის რესპუბლიკაში თუ საქართველოში.

ხელს აწერს: რკინის გზის უფროსის მოადგილე ლედერი, გზების კომისარი ვოსკანოვი“.

ამ წერილის პასუხად რკინიგზის სამმართველოს სპეციალური განკარგულება მიეცა. „ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო № 740

სადახლოდან სანაინამდე „დს“

საქართველო-სომხეთის საზღვრების საკითხის გამორკვევამდე სომხეთის ფულის ნიშ-

ნების მიღება შეჩერებულ იქმნას განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

ბელოვი  
სამხ. კომის.  
კალანდია  
სწორება (ხელის მოწერა)“.

ამასთანავე სანაინის რკინიგზის სადგურზე შეიქმნა საკმაოდ მწვავე პრობლემა ტვირთების გაგზავნასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოსა და სომხეთის მთავრობები ერთმანეთს ედავებოდნენ, ვისი ნებართვა იყო საჭირო გადაზიდვის განხორციელებისას.

27 ოქტომბერსაც კი ეს საკითხი გადაწყვეტილი არ ყოფილა. ამ საკითხზე საქართველოს რევკომის თავმჯდომარე სიტყვიერ განკარგულებას იძლევა:

„27/10-21 წ. საქართველოს რევკომის მდივანმა ტელეფონით გადმოძცა მე თქვენთვის გადმოსაცემად, რომ საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ჯერ-ჯერობით ვერდნობა არსებულ დადგენილებებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ტვირთების გაზიდვის საქმეში. ე.ი. ტვირთი შეიძლება გაზიდულ

იქნას მხოლოდ რესპუბლიკის სათანადო კომისარიატების ნებართვით.

ნ.ს. მალიანსკი“.

რაც შეეხება ფულის ნიშნების მიღებას, უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემაც თითქმის ოქტომბრის მიწურულამდე საკმაოდ მწვავედ იდგა. ნეიტრალურ ზონაში არსებული რკინიგზის სადგურები უარს ამბობდნენ მიეღოთ სომხეთის ფულის ნიშნები და ფინანსურ ოპერაციებს კვლავინდებურად ქართული ბონის მეშვეობით აწარმოებდნენ.

ერთ-ერთ შეტყობინებაში აღნიშნულია: „უნ“/4 ცნობით თქვენ არ იღებთ კასაში სომხურ ფულის ნიშნებს 10.000 მან. ვთვლით ამ მოვლენას მომავალში დაუშვებლათ, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ მიიღოთ სადგურების კასაში სომხური ფულის 10.000 მან. ნიშნები.  
მორიზოვი“.

ამ თემაზე მიმოწერა წარმოებდა საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან:

„სანაინიდან № 496  
28/9-18 ს.

ბასლი დნ/2 — დ.ნ. ალექსანდროპოლი „უნ“ მიღებულია დაფინანსებითი მოთხოვნა სანაინის „უნ“-სა სომხური ფულის ნიშნების მიღების შესახებ. მესამეჯერ ვთხოვთ თქვენს განკარგულებას.

№ 21129 დ.ს. გურგენიძე“.



რამდენიმე დღეში გურგენიძის შეკითხვაზე წერილობითი შეტყობინება გაიგზავნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ქეთარაძის მიერ:

„სანამ საქართველოს-სომხეთის საზღვრების საკითხი გამოირკვეოდეს სომხური ფულის ნიშნების მიღება შეწყვიტეთ 3/10 ს. ქეთარაძე“.

ვითარებაში გარკვევას ცდილობდნენ ნეიტრალურ ზონაში მოქმედი მეწარმეები, რომელთაც არსებული რეალობა მხოლოდ პრობლემებს უქმნიდა.

„თფილისი სომხეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს.

ეს მეორე შემთხვევაა, რომ სანაინის სადგურის უფროსი უარს ამბობს ალავერდის ქარხნიდან ბარვის მიღებაზე ერევანში გასავაზნათ სომხეთის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს სახელზე და ითხოვს ნებართვას საქართვე-





სერგო  
ქაქათარაძე,  
საქართველოს  
რევოლუციური  
კომიტეტის  
თავმჯდომარის  
მოადგილე



ალექსანდრ  
მიანსნიკოვი  
(მიანსნიკიანი),  
სომხეთის  
რევკომის  
თავმჯდომარე

ლოს საზღვრებიდან გაზიდვის შესახებ. დაბეჯითებით ვთხოვთ გამოარაკვიოთ ეს გაუგებრობა და მოახდინოთ სათანადო განკარგულება რკინის გზებზე, რათა სომხეთის საზღვრებში ალაგი არ ჰქონდეს ისეთ მოთხოვნებებს, რომლებიც, ალბათ, ემყარებიან საქართველოს ყოველ მენშევიკურ მთავრობის განკარგულებაზე. № 149.

ალავერდის ქარხნის მმართველი ზორაბიანი.

დედანთან სწორეა: (ხელმოწერა)“.

იმავდროულად ვითარებაში გარკვევას ცდილობდა კავბიურო, რომელმაც საგანგებოდ კავკასიის რკინიგზის უფროსი მიავლინა სომხეთში.

„საიდუმლო

ამიერ-კავკასიის ს.ს. რესპუბლიკების რკინის გზების უფროსისა და კომისარის მიმართვის ასლი, 28/10-21 წ. № 1545, რ.კ.პ.ც.-კ. კავბიუროს.

ამასთანავე გირდგენთ მიწერ-მოწერას ახლად წამოჭრილ საქმის შესახებ საქართველოს სომხეთის საზღვრების სადაო საკითხის გამო,

ვინაიდან ამ საქმის გამო მიღებულია ბევრი შეკითხვები, როგორც უშუალოდ ისე მომართვის ასლები თქვენგან ჩემს სახელზე.

საკითხის არსებითი მხარის შესახებ შემდეგს გატყობინებ: ფულების მიღების შესახებ სომხეთის მილიციის რაიონულ უფროსისაგან სამმართველოში მიღებულია ცნობა, რომ ნეიტრალურ ზონის ფარგლებში სადგურების უფროსები არ იღებენ სომხურ ფულის ნიშნებს. ჩემი სომხეთში ყოფნის დროს 3/10 სომხეთის ს.ს. კომისარია საბჭომ მიიღო დადგენილება სომხეთის ადმინისტრაციის ძალა-უფლების გაფართოების შესახებ სადგურ .....მდე; დადგენილებას აქვე ვურთავ. ამ დადგენილებამდე სომხეთის ს.ს.კომის. საბჭოს თავმჯდომარესთან — ამხ. მიანსნიკოვთან მოლაპარაკების თანახმად და თანახმად კავბიუროს დადგენილებასა მე გვეცი განკარგულება სომხურ ნიშნების მიღების შესახებ შემდეგ სადგურებში: სანაინი, ალავერდი, ახპატი და აირუმი. მაგრამ ვინაიდან ესევე საკითხი დადგა თფილისშიაც სამმართველოში, — ჩემი მოადგილე ამხ. ოსკანოვი შეეკითხა ამის გამო საქართველოს რევკომსა და საგ. საქმ. ს.ს. კომისარს, რაზედაც პასუხი არ მოსულა; მაგრამ 4/10 სამმართველოში მოვიდა სანაინის სადგურის უფროსის დეპეშის ასლი ამ საკითხის შესახებ საქართ. რევკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ქაქათარაძის წარწერით იმის შესახებ, რომ სანამ სომხეთ-საქართველოს შორის საზღვრების საკითხი გადასწყდებოდეს, — აიკრძალოს ნიშნების მიღება სადგ. სანაინში.

ზემოდალწერილის გამო შეიქმნა დახლართული მდგომარეობა. ამის შემდეგ იწყო შემოსვლა შეკითხვებმა გაუგებრობის შესახებ ალავერდის ქარხნიდან სომხეთში ბარგის გაზიდვის გარშემო, ვინაიდან სადგურების უფროსები საქართველოს განკარგულების თანახმად, საქართველოს სათანადო კომისარი ატების ნება დაურთველად გადასაზიდათ საქონელს არ იღებენ.

უკანასკნელის შესახებ 26 ამ თვეს მე შევეკითხე საქ. რევკომს.

მოძვეალში გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლათ, ვთხოვთ განმარტოდ — დაუვეყოვნებლოვ გაატაროს ცხოვრებაში რკინის გზებში კავ-ბიუროს დადგენილება, თუ უნდა საქართველოს რევკომის სათანადო დადგენილებას და როგორ მოვიქცეთ დღეს ს.ს. შემთხვევებში.

ამ.კავკ.ს.ს.რ.რ.კ.გ.ზ. უფროსი და კომისარი“.

ბუნებრივია, ნეიტრალური ზონის დასაკუთრების საქმეში ყველაზე მეტად სომეხი ბოლშევიკები აქტიურობდნენ. ეს უკანასკნელნი უპირველესად იშველიებდნენ კავშიურის 7 ოგლისის გადაწყვეტილებას და ამ თემაზე განსხვავებული პოზიციის გაგონებაც არ სურდათ. 3 ოქტომბერს სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოზე განიხილეს ნეიტრალურ ზონაში არსებული ვითარება.

„ამონაწერი სომხეთის სახ. კომ. საბჭოს სხდომის ოქმიდან 18-60, 3/10-დან.

1921 წ.

მოისმინეს.

სომხურ ადმინისტრაციის ზონის შესახებ.

დაადგინეს.

თანხმად ფაქტიურ მდგომარეობისა გავრცელებულ იქმნას სომხეთის ადმინისტრაციის ძალა-უფლება სადგ. სადახლოდ უკანასკნელითურთ.

დედანთან სწორება: საქმ. მწარმოებელი (ხელის მოწერა)“.

ამონაწერი კავშიურის სხდომის ოქმიდან (№ 13-7/7).

„1921 წ. დაესწრნენ: რ.კ.პ.ც.-კ. წევრი ამხ.

სტალინი, კავშიურის წევრები: ამხ. ამხ. ორჯონიკიძე, მახარაძე, კიროვი, ნარიშკინი, მიანსიკოვი, ნაზარევიანი, ორახელაშვილი, ფიგატნერი, საქ. ს.ს.რ. საგ. საქ. კომ. სვანიძე, სომხ. ს.ს.რ.საგ. საქ. კომ. მრავიანი.

მოისმინეს:

ნეიტრალურ ზონის შეერთების შესახებ საქართველოსთან თუ სომხეთთან.

დაადგინეს:


მთელი ნეიტრალური ზონა შედის სომხ. ს.ს. რესპუბლიკის საზღვრებში.

დედანი სათანადო ხელწერით.

დედანთან სწორება: რუს. კ.პ.ც.-კ. კავშიურის საქმ. მძართვ. მოადგილე (ხელწერა)“.

როგორც ვხედავთ ქართველ ბოლშევიკთა მცდელობა, შეენარჩუნებინათ ნეიტრალურ ზონაზე საქართველოს იურისდიქცია, უშედეგოდ დამთავრდა. ამ საქმის მთავარი ორგანიზატორები იყვნენ სტალინი და ორჯონიკიძე და მათი პირდაპირი მითითებით გადაეცა ლორეს ოლქი სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას.

ზვანა სამუშია



სომხეთის სახალხო კომისარიატთა საბჭოს სხდომის ამონაწერი



# წმინდა გიორგი სალსურ სიტყვიერებაში

*ქრისტიანული სამყაროს წმინდანთა შორის, უაღრესად პოპულარულია წმინდა გიორგი კაპადოკიელი. უსაზღვროა მისი მნიშვნელობა ქრისტიანული ეკლესიისთვის, როგორც მართლმადიდებელი, ასევე კათოლიკური, პროტესტანტული თუ გრიგორიანული ეკლესიებისთვის. მეტიც, წმინდა გიორგის სიკვდილი და აღდგომა იხსენიება მაკმადიანთა წმინდა წიგნის, ყურანის კომენტარებშიც.*



სვანური დროშის, ლემის ბუნიკი წმ. გიორგის გამოსახულებით

საქართველოს სინამდვილეში მოგვეპოვე-  
ბა როგორც ოფიციალური ქრისტიანული  
ლიტურატურა, რომელიც უცნოურიდან (ბი-  
ზანტიურიდან) მომდინარეობს, ასევე ორიგი-  
ნალური თხზულებები, სადაც დედნისეული  
ონომასტიკა მკვეთრად იცვლება — საკუთა-  
რი სახელები ჩანაცვლებულია ქართული სა-  
ხელებით და გადმოცემულია ადგილობრივი  
ყოფა (მაგალითად, აბუსერიძე ტბელი). მესა-  
მე მიმართულება კი გახლავთ ქართული ზე-  
პირსიტყვიერი ნიმუშები: ლეგენდა-გადმოცე-  
მები, ლექსები, საფერხულოები...

მეცნიერებაში გაზიარებული თვალსაზრი-  
სით, წმინდა გიორგის სახება IX საუკუნის შუა

ხანებში ვრცელდება, თუმცა გასათვალისწი-  
ნებელია ის ფაქტიც, რომ მატერიალური  
კულტურის ძეგლებზე გამოსახულ მხედრებ-  
ში, რომელიც VI-VII საუკუნით თარიღდება,  
უკვე აქტიურად იკვეთება წმინდა გიორგის ფი-  
გურა. ცნობილ ეთნოლოგ ირაკლი სურგულა-  
ძის მოსაზრებით, წმინდა გიორგის ხატების გა-  
მოვლინება IX საუკუნიდან დაიწყო, როცა გი-  
ორგის წამების ბიზანტიური თხზულება ქარ-  
თულად თარგმნეს. ამ დროიდან იწყება წმინ-  
და გიორგის სახელის დამკვიდრება ქართველ  
მეფეთა შორის.

წმინდა გიორგის მნიშვნელობასა და გან-  
საკუთრებულ ფუნქციურ დატვირთვაზე ქარ-



თული ისტორიული წყაროები მეტყველებს, რომელთა მიხედვით წმინდა გიორგი, როგორც ერის მფარველი, ხილულად იბრძვის მტრის წინააღმდეგ 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორისა და 1659 (1660) წლის ბასტრიონის ბრძოლებში. აღსანიშნავია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ბრძოლები განიხილება როგორც გადამწყვეტი ეტაპი, სადაც ერის გადარჩენის ან გადაშენების საკითხი პირდაპირ დგას.

საქართველო მოფენილია წმინდა გიორგის სახელზე აგებული ტაძრებით. მისი ხსენების დღეს ეწეობა საეკლესიო და სახალხო დღესასწაულები: ხევსურეთში წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება ხაზმატის, გულანის-

სა და სანების ჯვარი; კახეთში – სანების თეთრი გიორგი, ალავერდი; ფშავში – ლაშარის; მთიულეთში – ლომისის ჯვარი; დღესასწაულები: გიორგის ჯვარობა, თეთრი გიორგობა, გერისთობა და საყოველთაოდ გავრცელებული – გიორგობა. ხალხურ ყოფაში ჯვარ-ხატებისა და დღესასწაულების უმრავლესობას ხალხური სარწმუნოებრივი ფორმის სახე აქვს, რაც წმინდა გიორგის უსაზღვრო თავანისცემის შედეგია. ტრადიციულ ყოფაში დამოწმებულ თქმულება-გადმოცემათა შედეგად, წმინდა გიორგი მნიშვნელობითა და ძლევამოსილებით აღემატება ელია წინასწარმეტყველს, მეტიც, თვით უფალს – იესო ქრისტესაც უტოლდება.

წმინდა გიორგის სახებაში თავმოყრილია ყველა ძირითადი კომპონენტი: ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა ეხმანება ეროვნული ცნობიერების ძირითად პრიორიტეტებს, რომელსაც ქართველი ერისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აბჯროსანი, მეომარი მხედარი მითოსურ პასაჟს მოგვაგონებს, რომელშიც თავს იყრის საზოგადოების განწყობილების გამომხატველი ფსიქიკური დეტალები: რეალობა და ლეგენდა, ქრისტიანობა და ეროვნული ცნობიერება.

საინტერესოა ამ წმინდანის შესახებ შექმნილი უძველესი თქმულებები, რომელთაგან ერთ-ერთი ილორის წმინდა გიორგის ეკლესიას ეხება. XVIII საუკუნის შუა ხანებში ეს გადმოცემა იტალიელ მისიონერ არქანჯელო ლამბერტის ჩაუწერია. ეს წმინდანის მიერ ხარის სასწაულებრივი ძალით მოვლინების ისტორიას აღწერს. ამგვარი მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში დაუკავშირდა გადმოცემათა იმ ციკლს, რომელიც სალოცავში თავისი ნებით მისული ნადირის (ირმის) ამბავს განეკუთვნება.

ილორის წმინდა გიორგის ისტორია მკვლევარმა ირაკლი სურგულაძემ თვითმწირობა ცხოველებზე არსებულ გადმოცემათა ციკლს დაუკავშირა. მისი მოწმობით ირკვევა, რომ წმინდა გიორგის დღესასწაულზე, უდემი (მესხეთი), ხანში (იმერეთი), ფხატრეში (სვანეთი) წმინდა გიორგის ნებით მიდიოდა სამსხვერპლო ცხოველი. მაგრამ მიდიოდა არა ხარი, არამედ ირემი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით გაუნაწყენებიათ და მოგვიანებით მის ნაცვლად წმინდანს ხარის გამოგზავნა დაუწყია. მეცნიერმა ხარის ჩანაცვლების პრაქტიკული მიზეზი ახსნა და იგი ხარის შინაურ ბუ-





ნებას, რიტუალისთვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომობას დაუკავშირა. მან განიხილა სიუჟეტები ტაძრის არჩევის შესახებ და ის საკრალური დრო გამოაცალკევა, როცა წმინდა გიორგის საკუთარი ნებით მიუდის როგორც ნადირი, ისე მლოცველი.

აღსანიშნავია, რომ ირემი უძველეს წარმოდგენებში მიჩნეულია ზეცასთან კავშირის საშუალებად, ეს წმინდა ნადირია, რიტუალური ცხოველი, რომლის სახებას დატვირთვა არ დაუკარგავს ქრისტიანულ ტრადიციაშიც. ქრისტიანულ კანონიკაში დამოწმებული მასალის მიხედვით, დავით გარეჯელი, რომელიც გარეჯას უდაბნოშია დამკვიდრებული და მისი მოწაფე ლუკიანე – ირმის რძით საზრდოობენ. აქ შეიძლება გავიხსენოთ ირმის ძუძუნაწოვ ზებუნებრივ გმირთა თავდასავლები...

მითოსი ვითარდება, როგორც ცოცხალი არსება და შთამბეჭდავად წარმოგვიდგება წმინდა გიორგის წამების ამბებში. ტრადიციული ყოფის ამსახველი მასალები გადმოგვცემს, რომ წმინდანმა ღმერთისგან მიიღო უფლება, დედამიწაზე 365 სასწაული აღასრულოს. ასევე ფართოდ არის გავრცელებული 363 ანდა 365 წმინდა გიორგის დალოცვისა და ამდენივე ტაძრის არსებობის ამბავი, რომლებიც მისი ნეშტისგან მიმოფანტვის შემდეგ აღმოცენდნენ.


ტანჯულ-გვეკმული, მისტიკურად დაგლეჯილი ღმერთის რელიგიური პრაქტიკის თვალსაჩინო დადასტურებაა იესო ქრისტეს ჯვარცმა. მსგავსი სცენები, რომლებიც წმინდა გიორგის წამებებში თუ ტრადიციულ ყოფაშია დამოწმებული, მიგვანიშნებს, რომ ღვთაებრივი სამყარო ადამიანთა სამყოფელს უახლოვდება, ხოლო უწმინდური სამყარო მძიმდება ადამიანურ ცოდვებთან ერთად. ამ დროს მითოსში, ისე როგორც ნამდვილ ამბავსა და რელიგიურ პრაქტიკაში, ჩნდება უზენაესი თვისებებით აღჭურვილი ზებუნებრივი გმირი, რომელიც კაცობრიობის ცოდვებს იტვირთებს. მათი ტანჯვის, წამების ისტორია სამყაროსეულ ცოდვათა გამოსყიდვის ისტორიაა, მათი სიკვდილი კი ხელახლა შობის, სამყაროს გაახალგაზრდავების, უცოდველობის პარადიგმა, რომელსაც მითოსი გადმოგვცემს და რიტუალი აღადგენს. იგი ნეტარი ხანის, მითოსური დროის გაცოცხლების სიმბოლოა, სადაც ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის სამყარო ზღვარდაუდებელია.

#### მანია ზურაშვილი

*მრავალბაღის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ბარელიეფი*

# „საქართველოს იმედი“

## ნიბნების სუნიად



*ჟურნალმა „კარიბჭემ“ და გამოცემლობა „პალიტრა L“-მა გადაწყვიტეს, კიდევ ერთი საჩუქარი მიუძღვნან საზოგადოებას. ჟურნალთან ერთად გამოდის წიგნები იმ წმინდანთა ცხოვრების შესახებ, რომლებიც ცნობილ ხატზე — „საქართველოს იმედზე“ არიან გამოსახული.*

2011 წლის 25 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოდან წმინდა სამების ტაძარში გადასვენეს ახალშექმნილი „საქართველოს იმედის“ ხატი. უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ იმ დღეს ასე მიმართა მრევლს:

„დიდება და მადლობა უფალს, რომ ჩვენ ღირსი გაგვხადა, შექმნილიყო ეს ხატი და მას ეწოდება „საქართველოს იმედი“. ეს ხატი ღვთის მადლითა და ძალით იქნება სასწაულთმოქმედი და ყოველ ადამიანს, რომელიც სარწმუნოებით, სიმდაბლით, სიყვარულით მოვა ამ ხატთან, აღუსრულდება თხოვა მისი და ლოცვა მისი. ამ ხატის მადლით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გაამთლიანოს და დაამშვიდოს სრულიად საქართველო. ამ ხატის მადლით ღმერთმა დააბრუნოს ჩვენი ქართველი ხალხი უცხოეთიდან საქართველოში. ამ ხატის მადლით ღმერთმა გვაცხოვნოს ჩვენ, ამინ!“

ამ დიდებულ და ძლიერ ხატზე საქართველოს იმედია გამოსახული — წმინდანები, რომ-

ლებიც საუკუნეებია გვმფარველობენ და შეგვეწვეიან.

სწორედ მათ შესახებ იქნება გამოცემული წიგნების სერია „საქართველოს იმედის“ სახელით.

**თამარ მამაცაშვილი** (ჟურნალ „კარიბჭის“ რედაქტორი): — მსგავს პროექტზე ძალიან დიდხანს ვფიქრობდით. გვინდოდა, ქართველ წმინდანთა ცხოვრება დაწერილიყო და ტომებად გამოსულიყო ჟურნალთან ერთად. სწორედ ამ პერიოდში დაიწერა ხატი „საქართველოს იმედი“. ამ დიდებულ ხატზე ასახულია საქართველოსა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია. გამოსახულია ყველა წმინდანი, რომელთა მეოხებაც არასოდეს მოჰკლებია საქართველოს. ძალიან გვიხარია, რომ ჩვენმა პატრიარქმა ლოცვა-კურთხევა მოგვცა წიგნების ამ სერიის გამოცემაზე.

— **წმინდანთა ცხოვრებანი ძველთაგანვე გვაქვს, თუმცა, რამდენადაც ვიცო, ზოგიერთი წმინდანის ცხოვრება არც აღწერილია. რა შევა ამ წიგნების სერიაში?**

— დაიწერება „საქართველოს იმედის“ ხატზე გამოსახული ყველა წმინდანის ცხოვრება. ვიყენებთ ყველა გამოცემასა და საარქივო მასალას, დაიწერება იმ წმინდანებზეც, რომელთა შესახებაც აქამდე არ არსებობდა ლიტერატურა. ხატზე 270-მდე წმინდანია გამოსახული. თითოეულ მათგანზე დავწერთ.

— **ვინ მუშაობს ახალ წმინდანთა ცხოვრების აღწერაზე, რომელთა ცხოვრებაც ახლა უნდა დაიწეროს?**

— წიგნების შემდგენლები არიან კახაბერ

# ისტორიის საიდუმლოებებით მოცული ყველაზე საინტერესო ფაქტები!

## თვეში ერთხელ

## „ხვირის პალიტრასთან“ ერთად



წიგნების ახალი სერია  
**10 ზოგად**

გაიგე, რის შესახებ  
დუმს ისტორია!  
მხოლოდ ის, რაც  
ბაღებს შეჰითხვას...



წიგნის  
საკვილაური ფასი  
**9 ლარი**  
გაზეთთან ერთად  
10 ლარი

12 - დან  
19 ნომბრამდე

შეიღებ წიგნები:

გეორგი მსოფლიო  
ომის საიდუმლოებები

შეისწავლე კაცობრიობის  
ისტორიის უდიდესი საიდუმლოებანი!



საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
ლოცვა-კურთხევით  
დაწერილი ხატი —  
„საქართველოს იმედი“

კენკიშვილი და სოფიო თვაპე. ისინი მოიძიებენ მასალებს და შეადგენენ წიგნებს.

უკვე გამოსულია სამი ტომი, რაკი მოთხოვნა ძალიან დიდია, პირველი ტომი კი დეფიციტური გახდა, გადაუწყვიტეთ, ჟურნალის ამ ნომერში ახალი, მესამე ტომის გარდა, პირველი ტომიც ჩაგვედო. ნაწილი ჟურნალებისა, სწორედ I ტომით გაიყიდება, ნაწილი კი III-ით.

პირველი წიგნი „საქართველოს იმედის“ ხატის აღწერილობასა და ყოვლადწმინდა სამებას მიეძღვნა, მეორე წიგნი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, მესამე — უფლის ანგელოზებზე მოგითხრობთ, მეოთხე — წინასწარმეტყველებს ეძღვნება, მეხუთე — წმინდა მოციქულებს, მეექვსე — წმინდა გიორგის, მეშვიდე წიგნში წმინდა მღვდელმთავარსა და სასწაულთმოქმედ ნიკოლოზზე გესაუბრებით. მერვე წიგნში IV საუკუნეზე მოგითხრობთ, იბერიაში წმინდა ნინოს შემობრძანებასა და ქართველთა გაქრისტიანებაზე, სვეტიცხოველსა და მის სასწაულებზე. შემდგომი რამოდენიმე წიგნი ასურულ მამებს მიეძღვნება და ა.შ. პროექტი, სავარაუდოდ, ორ წელიწადს გაგრძელდება.

\*\*\*

გთავაზობთ ორიოდ ფრაგმენტს ამ მართლაც ყველა ოჯახისთვის აუცილებელი წიგნებიდან. ერთი უძველესი ავტორის მიერ

ღვთისმობლის აღწერას შეეხება, მეორე კი სრულიად ახალ ამბავს, როგორ გამოეცხადა წმინდანი ჩვენს თანამედროვეს...

„ეკლესიური ცხოვრების ისტორიკოსმა ნიკიფორე კალისტომ (XIV ს.) შემოგვინახა წმინდა გადმოცემა, რომელშიც ნათქვამია: „ღვთისმშობელი საშუალო სიმაღლის (სხვათა მიიჩნევენ — საშუალოზე ოდნავ მაღალი) იყო; თმა ოქროსფერში გადასდიოდა; ჰქონდა ზეთისხილისფერი სწრაფი თვალები, ნათელი გამოხედვა; ნელშავი რკალისებრი წარბები, ოდნავ მოგრძო ცხვირი; ბაგე — ნეტარი, კეთილხმოვანი; სახე — არამრგვალი; გრძელი, მშვიდი ხელის თითები... საუბარში ყოველთვის კეთილგანწყობას ინარჩუნებდა, არც გაიცინებდა და არც გაგულისდებოდა; მისთვის უცხო იყო ყოველგვარი ნებიერობა და მოჩვენებითობა, იგი ყოველთვის უბრალო, ალაღ-მართალი და უყვედრებელი იყო, მასში აშკარად შეიმჩნეოდა სასოება და ღვთისმორჩილება. მისი ჩასაცმელი ფერთა ბუნებრივობით გამოირჩეოდა, რასაც ნათლად მოწმობს ხატებში წარმოდგენილი მისი შესამოსლის ფერები. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა მისი ქმედება უდიდესი მაღლით იყო გასწავლული“.

ნიკიფორე კალისტომ ეს მასალა წმინდა ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსის (†403 წ.) წერილებში მოიპოვა.

„სოფელ ქსოვრისში ერთი პატარა სალოცავია, ლაშარის წმინდა გიორგის ეძახიან. მისი

ძალა თავის თავზე გამოუცდია თბილისის წმინდა პეტრესა და პავლეს ტაძრის მოძღვარს, დეკანოზ არჩილ მინდიაშვილს. მამა არჩილი ჰყვება: „ყრმობისას, ვიქნებოდი 8-9 წლისა, ბიძაშვილ გოგონებთან ერთად მთიდან ვეშვებოდი. სალოცავს რომ გაუუსწორდი, ძალიან გამიკვირდა: ან ეს ქვების გროვა რა არის, ან ჯვარი რატომ აღუმართავთ-მეთქი. მათ მითხრეს, — ამ სალოცავს ლაშარის წმინდა გიორგი ჰქვია და დიდი ძალა აქვსო.“

მე თავი ავიმადლე და სალოცავს შევანერწყვეე. თუ ძალა აქვს, რამე მიეოს-მეთქი, — ვთქვი თავმოწონებით.

წამოვდი. ექვსი-შვიდი ნაბიჯიც არ გადავედგა, რომ ნათლად დაეინახე, სოფელ ილტოზის მხრიდან, სადაც წმინდა გიორგის ეკლესია დგას, ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი მოდიოდა. ხელში მათრაზი ეჭირა. მომიახლოვდა, მხრებზე მათრაზი გადამკრა და მრისხანედ მითხრა: — აბა, გამოსცადე, მაქვს თუ არა ძალა! შემიწებელი კვანძისოდი, „ვაი, დედას“ გავიძახოდი. ტირილით ვკითხე ბიძაშვილებს, — თქვენც თუ ხედავთ წმინდა გიორგის-მეთქი. იუარეს. დიდმოწამეს მხოლოდ მე ვხედავდი და ტკივილსაც მე ვგრძნობდი. ამის შემდეგ უჩვეულო რამ მოვლენები დამეწყო. სრულიად საღ-სალამათი მოულოდნელად გრძნობას ვკარგავდი და ნემსითა მაბრუნებდნენ. ძალზე ავად გავხდით მე და ჩემი ძმა აკაკი. ექიმებმა ვერა გვიშველეს რა და როდესაც იმედი გადაეწურათ, მშობლებმა ჩვენი თავი ილტოზის წმინდა გიორგის მიუძღვნეს. წავედით სალოცავში. სანთლები აანთეს, ილოცეს, მამალი შესწირეს, მერე შინ წამოგვიყვანეს. ერთი წელიწადი ჩვენთვის თმა არ შეუჭრიათ... მართლაც, იმ დღის შემდეგ, ყოველგვარი წამლობა-აქიმების გარეშე განვიკურნეთ. ერთხელ, სინმარეულ ჩვენებაში ვნახე წმინდა გიორგი, გაჭირვებულთა დასახმარებლად ცხენს მიავლევდა. შევთხოვე, მეც შემეწიე-მეთქი. შენთვის არა მცალიაო! — ნაწყენი იყო“.

წლების შემდეგ, როცა მამა არჩილმა ეკლესიური ცხოვრება დაიწყო, ეს ამბავი მღვდელმთავარ თადეოზს (იორამაშვილი) უამბო. მეუფე თადეოზი მომაჯალ მოძღვარს მინდიაშვილთა გვარის სალოცავში, გერის წმინდა გიორგის ეკლესიაში გაჰყვლია. მეუფეს დაუმაბლებია თავი, მასთან ერთად შემოუვლია მუხლჩოქით სალოცავისთვის — შენი ცოდვების ნახევარს მე ავიღებო. ასე შერიგება წმინდა გიორგი მამა არჩილს“.



„საქართველოს იმედის“ ხატზე ფიქრი ჯერ კიდევ 30 წლის წინ დაიწყო. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ღირსი გაგვხადა, შექმნილიყო ეს ხატი

„საქართველოს იმედის“ სერიის წიგნების საშუალებით ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ცოდნა შეემატება თითოეულ თქვენგანს. ამიერიდან ჩვენს მკითხველსა და ეკლესიის მრევლს მეტი ინფორმაცია ექნება ყველა იმ წმინდანის შესახებ, რომელიც ხატზეა გამოსახული. სასიხარულოა, რომ ეს წიგნები მაქსიმალურად ხელმისაწვდომია, მხოლოდ 2 ლარი ღირს.

წერილს ისევ პატრიარქის სიტყვებით დავასრულებ: „ასეთი ხატი მსოფლიოში არსად მინახავს და მას მიეცემა ღვთის მადლითა და წყალობით განსაკუთრებული ძალა კურნებისა, დახმარებისა, იმედისა და ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა ექნება.“

ხანდახან ამბობენ, ბევრი ოქრო დაიხარჯა ხატის შემკობაზეო და ა.შ. მთავარი ოქრო კი არ არის, არამედ ის, რომ ქართველმა ხალხმა თავისი გული და გონება ჩააქსოვა ამ ხატში. „საქართველოს იმედის“ ხატზე ფიქრი ჯერ კიდევ 30 წლის წინ დაიწყო. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ღირსი გაგვხადა, შექმნილიყო ეს ხატი. აქ არიან ქართველი და მსოფლიო წმინდანები. შევთხოვთ მათ, მოიღონ წყალობა ჩვენს ქვეყანაზე, მთელ მსოფლიოზე და ვთხოვთ, დაგვეხმარონ ამ განსაკუთრებულ წლებსა და დღეებში“.

ლელა ჯიყაშვილი



# ჩუვისთავის ვაიზაჟია



სოფელ ღორისთავის (ამჟამინდელი გუდარების) დარბაზული ეკლესია და მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენი, ხელი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ. მასპარ სინარულიძის ფოტო

## დღემდე უცნობი ქტიტორული წარწერა ბუღარესიდან

ისტორიული ქვემო ქართლი შუა საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სიმრავლით გამოირჩეული რეგიონია. დღეისთვის ამ მხარეში სხვადასხვა პერიოდით დათარიღებული ათეულობით ლაპიდარული წარწერა გამოვლენილი, თუმცა წელიწადი არ გვაა, ქვემო ქართლში რომელიმე უცნობი წარწერა ან წარწერები არ აღმოჩნდეს. ამჯერადაც ორ ქართულ ლაპიდარულ წარწერას განვიხილავთ, რომლებიც სულ ახლახან გამოვლინდა ალგეთის ხეობაში და რომელთა შესახებაც სამეცნიერო წრეებისა და ფართო საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი.

წარწერებს გუდარების ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მონასტრის წინამძღვარმა თორნიკე ნაცვლიძემ და მონასტრის სხვა მოწესებმა რამდენიმე თვის წინ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ისტორიული სოფლის, ღორისთავის (ამჟამინდელი

გუდარების) სასაფლაოზე აღმართული დარბაზული ეკლესიის ნანგრევებში მიაკვლიეს.

ახალგამოვლენილი წარწერების წაკითხვა პირველად ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან არსებული ახალგაზრდა მკვლევართა

ცენტრის „უცნობი საქართველოს“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი თეიმურაზ ჯოჯუა) ერთ-ერთმა წევრმა, ისტორიკოსმა თამაზ გოგოლაძემ სცადა ამ ზაფხულს, ივლისის დასაწყისში.

ოდნავ მოგვიანებით, 15 ივლისს სოფელ ღორისთავში წარწერათა ადგილზე შესასწავლად „უცნობი საქართველოს“ შეიდაცაიანი ექსპედიცია ჩაეიდა, რომლის შემადგენლობაშიც ვიყავით ისტორიკოსები თამაზ გოგოლაძე, ანა ლაშვი, ნიკოლოზ ჟღენტა, ნინო ხარშილაძე და თეიმურაზ ჯოჯუა, ხელოვნებათმცოდნე ქეთევან გონგაძე და გეოგრაფი ლაშა სუხიშვილი (ექსპედიციაში იმყოფებოდა ასევე გეოგრაფი მერაბ გონგაძე). ექსპედიციის წევრებმა წარწერები თითქმის სრულად წაიკითხეთ, ტექსტების პალეოგრაფიული პირები გადმოვიღეთ, გრაფიკული ჩანახატები მოვაშხადეთ და ფოტოფირზე აღვებეჭდეთ. გარდა ამისა, ფოტოფირზე აღვებეჭდეთ ღორისთავის ეკლესია და მისი ცალკეული არქიტექტურული დეტალიც. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ექსპედიციის შედეგები „უცნობი საქართველოს“ დანარჩენ წევრებს, მარიამ ნუცუბიძეს, ნათია ხიზანიშვილსა და ოქრობერ ჯიქურს გავაცანით და მათთან ერთად შევუდექით სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობას.

ღორისთავის ეკლესიის პირველი წარწერა თეთრი ფერის მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვისგან გამოქანდაკებულ ქვაჯვარზეა ამოკვეთილი. თვით ქვაჯვარს ბრტყელი ფილის ფორმა აქვს და სიგანეში ზემოდან ქვემოთ მცირედით ვიწროვდება. ქვაჯვარის ქვედა ნაწილი მოტეხილია. მისი ზომებია: სიგანე ზედა კიდედან — 67,5 სმ, სიგანე ქვედა კიდედან — 61 სმ, შემორჩენილი ნაწილის მაქსიმალური სიმაღლე — 107 სმ და სისქე — 16 სმ. ქვაჯვარის ზურგი და გვერდითი წახნაგები გლუვია, წინა პირი კი მაღალი და განიერი თაღის ფორმაზეა დადაბლებული. ამ დადაბლებული მონაკვეთიდან სამი რელიეფური ჯვარია ამოზიდული. შუა ჯვარი გამორჩეულად დიდი ზომისაა. მისი ზედა ნაწილი და განივი მკლავები, რომლებიც ბოლოებისკენ მცირედ ფართოვდება, დადაბლებული მონაკვეთის კიდევებს ებჯინება. დანარჩენი ორი ჯვარი შედარებით მცირე ზომისაა. ეს ჯვრები, რომელთა ზედა ნაწილი და განივი მკლავები ბოლოებისკენ ფართოვდება, დიდი ჯვრის აქეთ-იქით, განივი მკლავების ქვემოთაა მოქცეული და საკმაოდ განიერ სადგამებზეა „აღმართული“.

ქვაჯვარი ეკლესიის ინტერიერში, სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთის ქვედა ნაწილში იყო ჩაყოლებული, ოღონდ ისე, რომ მისი რელიეფური ჯვრებიანი წინა პირი კედლის სიღრმისკენ იყო მიქცეული, გლუვზედაპირიანი ზურგი კი ტაძრის ინტერიერისკენ მიემართათ. ამჟამად ქვაჯვარი სოფელ ღორისთავის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლშია გადატანილი, რომელიც გუდარეხის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენს (ამჟვე სახლში ინახება ღორისთავის ეკლესიის ნანგრევებში მიკვლეული კიდევ ერთი ქვაჯვარი, რომელიც ფორმით, ზომითა და წინა მხარეზე წარმოდგენილი სამჯვრიანი კომპოზიციით პირველ ქვაჯვარს წააგავს).

ქვაჯვარის წინა პირზე, თაღის ფორმაზე დადაბლებული მონაკვეთის ზემოთ და ამჟვე მონაკვეთის ზედა ნაწილის აქეთ-იქით შეიღოსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. გრაფემების ზომა, საშუალოდ, 4X3 სმ-ია. ქარაგმად საშუალო ზომის განივი სწორი ხაზია გამოყენებული. წარწერაში განკვეთილობის ნიშნები არ გვხვდება. ტექსტში ლიტერატურის რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული.

წარწერის წინასწარი შესწავლა აჩვენებს, რომ ის, პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, დაახლოებით IX-X საუკუნე-



სოფელ ღორისთავის ეკლესიის ნანგრევებში მიკვლეული ერთ-ერთი წარწერის პალეოგრაფიული პირის გადმოღების პროცესი. ნიკოლოზ ჟღენტის ფოტო



სოფელ ღორისთავის ეკლესიის ნანგრევებში მიკვლეული ქვაჯვარი და მასზე ამოკვეთილი რუვისთაველის ეპიტაფია. ნიკოლოზ შტენტიის ფოტო

სოფელ ღორისთავის ეკლესიის ნანგრევებში მიკვლეული უწარწერო ქვაჯვარი. ნიკოლოზ შტენტიის ფოტო



ებს მიეკუთვნება. ქვაჯვარის წარწერა, შინა-არსის მიხედვით, ვინმე რუვისთაველის სახელით შედგენილ ეპიტაფიას წარმოადგენს, რომელიც, როგორც ჩანს, სწორედ ამ რუვისთაველის საფლავზე იყო აღმართული.

მოვიტანთ წარწერის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მისი ტექსტის ჩვენულ წაკითხვას:

ს[ა]ხ[ე]ლ[ი] [ი]თ[ა] ღ[მ]რთი[ს] (ა)თა, მე,  
 რ[უ]ვის[თ]ავე[ლ]ის [ს]ახელით შედგენილ ეპიტაფიას წარმოადგენს,  
 რომელიც, როგორც ჩანს, სწორედ ამ რუვის-  
 თაველის საფლავზე იყო აღმართული.

ს[ა]ხ[ე]ლ[ი] [ი]თ[ა] ღ[მ]რთი[ს] (ა)თა, მე,  
 რ[უ]ვის[თ]ავე[ლ]ის [ს]ახელით შედგენილ ეპიტაფიას წარმოადგენს,  
 რომელიც, როგორც ჩანს, სწორედ ამ რუვის-  
 თაველის საფლავზე იყო აღმართული.

ღორისთავის ეკლესიის პირველ წარწერასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას ის იპყრობს, რომ ტექსტში დადასტურებული სახელი თუ გვარ-სახელი რუვისთაველი, რომელიც ტოპონიმ რუვისთავ-ზე სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსის, ელ-ის დართვით არის მიღებული, ამავე პერიოდით დათარიღებულ სხვა ქართულ წერილობით ძეგლშიც გვხვდება. სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერი წიგნების ახალ კოლექციამა X საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული №50 ხელნაწერი. მის მეორე ნაწილში, „ასურულ მამათა ცხოვრებაში“ ჩართულია ტექსტი სათაურით „სახელები წმიდათა ზედა ზადნელთა ბერთა მამასახლისთა და ქრისტე მხარე აღსრულებულთა“.

ეს ჩანართი ტექსტი, სხვა საინტერესო ამბებთან ერთად, შემდეგს მოგვითხრობს: „და ოდეს სარკინოზობა აღდგებოდა, ამათ ორთა სახლთა – რუვისთაველთა და მეწკვენელთა (მეწკვენელები კუხეთსა თუ კახეთში მოსახლე ფეოდალები იყვნენ – ავტ.) – ზედა ზადნის მოვიდეს და შექმნეს სამი გუადრუცი ქვისა თლილისა და ორი ლუსკუმა მუენიერი. და წარვიდეს და მოიხუენეს ძუაღნი

*მეფეთა მათთა და დედათანი, და დასხნეს ლუსკუმათა მათ შინა ზედა ზადენს ეკლესიასა შინა“.*

ისტორიკოს ზაზა ალექსიძის დაკვირვებით, კოლექციის №50 ხელნაწერის ჩანართ ტექსტში მოხსენიებული რუვისთაველთა ფეოდალური სახლი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანის ვაჟიდან, რევიდან იღებდა დასაბამს. ამ ფეოდალური სახლის წევრები კუხეთის უძველეს ციხე-ქალაქ რუსთავს საუკუნეთა განმავლობაში ფლობდნენ და მათი საგვარეულო სახელი — „რუვისთაველი“ სწორედ აქედან იყო წარმომდგარი. მეცნიერის აზრით, ჩანართში რუვისთაველთა ფეოდალური სახლის ხანგრძლივი ისტორიის ერთი კონკრეტული ეპიზოდია მოთხრობილი, რაც IX საუკუნის დამდეგიდან X საუკუნის I ნახევრამდე უნდა მომხდარიყო.

ღორისთავის ეკლესიის პირველი წარწერის მიკვლევის ადგილი საკმაოდ ახლოს მდებარეობს №50 ხელნაწერის ჩანართში მოხსენიებულ რუვისთაველთა ფეოდალური სახლის მკვიდრობის გეოგრაფიულ არეალთან. აგრეთვე, წარწერის მიახლოებითი თარიღი (IX-X სს.) რუვისთაველთა საგვარეულოს წერილობით ძეგლებში მოხსენიების ქრონოლოგიას ზედმიწევნით ზუსტად ემთხვევა. გამოთქვამთ წინასწარ ვარაუდს, რომ ღორისთავის ეკლესიის პირველ წარწერაში მოხსენიებული რუვისთაველი სწორედ №50 ხელნაწერის ჩანართში მოხსენიებულ რუვისთაველთა ფეოდალურ სახლს უკავშირდება.

ღორისთავის ეკლესიის მეორე წარწერა, პირველის მსგავსად, თეთრი ფერის, მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვის ორ ფილაზეა ამოკვეთილი, რომლებიც, ფორმისა და ზომის მიხედვით, ტაძრის კოვზისებურად შედრმავებული მოყვანილობის კარნიზის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს. პირველი (ა) ფილის ზომა 14X29 სმ, ხოლო მეორე (ბ) ფილის ზომა 20X23 სმ-ია. წარწერიან ქვის ფილებს ეკლესიის ნანგრევებში მიაკვლიეს. ამჟამად ორივე ფილა, ეკლესიის პირველ წარწერასთან ერთად, გუდარეზის მონასტრის კუთვნილ საცხოვრებელ სახლშია გადატანილი.

ქვის ფილებზე ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებია ამოკვეთილი. ტექსტზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ფრაგმენტები ერთმანეთს უშუალოდ არ მისდევს. წარწერის უდიდესი ნაწილი — მისი დასაწყისი, თითქმის მთელი შუა მონაკვეთი და დასასრუ-



*სოფელ ღორისთავის ეკლესიის ნანგრევებში მიკვლეული ქტიტორული წარწერის მეორე ფრაგმენტი. მსამაზ მონასტრის ფოტო*



*სოფელ ღორისთავის ეკლესიის ნანგრევებში მიკვლეული ქტიტორული წარწერის პირველი ფრაგმენტი. მსამაზ მონასტრის ფოტო*

ლი დაკარგულია. ტექსტი დიდ-პატარა ასონიშნების მონაცვლეობით არის გადმოცემული. მათი მოხაზულობა თვალში საცემად ლამაზი და დახვეწილია. ჩანს, წარწერის ამოკვეთი მწიგნობრობაში გაწაფული ოსტატი იყო. დიდი გრაფემების ზომა, საშუალოდ, 9X7 სმ-ია, ხოლო პატარა გრაფემების ზომა, საშუალოდ, 2X2 სმ. ქარაგმად საშუალო ზომის განივი კლაკნილი ზაზი, ხოლო განკვეთილობის ნიშნებად — ორწერტილია გამოყენებული. ტექსტში ლიგატურისა (ასონიშანი, რომლითაც გადმოცემულია ორი, ან ორზე მეტი ბგერა) და შეწიალების რამდენიმე შემთხვევა დასტურდება.

წარწერის წინასწარი შესწავლიდან ირკვევა, რომ ის, პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, დაახლოებით XIII-XIV



სოფელ ღორისთავის ეკლესიის ინტერიერი, ზედი ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ. მხარე სიხარულიძის ფოტო

საუკუნეებს მიეკუთვნება. წარწერა, შინაარსის მიხედვით, ქტიტორული ხასიათისაა და განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების შესახებ მოგვითხრობს. სამწუხაროდ, ქტიტორის ვინაობა და მის მიერ ჩატარებული სამუშაოების ხასიათის დადგენა, ტექსტის ფრაგმენტულობის გამო, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება.

მოვიტანთ წარწერის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მისი ტექსტის ჩვენულ წაკითხვას.

- ა) [...]ⴁⴢ ⴆⴢ ⴁⴡⴢ[...]
- ბ) [...]ⴁⴢⴆ ⴢⴢⴢⴢ[...]

[...] [ძალი]თა და მ[ცო]ხ[ც]ებ[ითა] [...] [ღირს ვიქმენ აღშ](ენ(ებ(ა)დ საყოფელსა) [...].

უკვე აღვნიშნეთ, რომ ღორისთავის ეკლესიის წარწერებზე მუშაობას ჯერ კიდევ განვაგრძობთ. ვიმედოვნებთ, ამ წარწერების დეტალური ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი არა მხოლოდ სოფელ ღორისთავის ეკლესიის, არამედ ზოგადად საქართველოს ისტორიის არაერთ აქამდე უცნობ ფურცელს წარმოაჩენს.

*ფაზე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან არსებული ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრი „უცნობი საქართველო“*

ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრის „უცნობი საქართველოს“ წევრები და გუდარუბის მონასტრის მორჩილები სოფელ ღორისთავის ეკლესიასთან. ლაშა სუხიშვილის ფოტო





# 6-დღიანი ომი და „ერთიანი იერუსალიმი“

*თითქმის კვირა არ გაა, საინფორმაციო საშუალებებმა ახლო აღმოსავლეთიდან ტერაქტი ან საომარი მოქმედება არ გააშუქონ. დაძაბულობა ამ რეგიონისთვის არასოდეს ყოფილა უცხო, მაგრამ ვითარება კიდევ უფრო გართულდა 1948 წლიდან, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდგომ. არაბული სამყარო ამ მოვლენას უარყოფითად შეხვდა და ღია აგრესია მიმართა ისრაელისკენ. დღეს მოვითხრობთ XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ და მასშტაბურ, მაგრამ ამავე დროს ხანმოკლე დაპირისპირებაზე, რომელიც ისტორიაში 6-დღიანი ომის სახელითაა ცნობილი.*

60-იან წლებში განსაკუთრებით გახშირდა არაბთა თავდასხმები ისრაელის მოქალაქეებზე. ეგვიპტის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი საჯარო გამოსვლებში დაუფარავად საუბრობდა ისრაელის სახელმწიფოს განადგურებაზე. ნასერის საომარ რიტორიკას კიდევ უფრო აძლიერებდა საბჭოთა კავშირის დახმარება არაბული ქვეყნებისადმი. ეს ყველაფერი მათ მატებდატ რწმენას, რომ ისრაელი ვერ შეძლებდა ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევას ომის დაწყების შემთხვევაში. თუმცა არაბთა მთავარი იმედი მაინც პრეზიდენტი ნა-

სერი იყო. ქარიზმატული პოლიტიკოსი, რომელსაც შესანიშნავად შეეძლო ხალხის ემოციების სათავისოდ გამოყენება. ის იმდენად პოპულარული იყო თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გამო ისრაელის სახელმწიფოსადმი, რომ 60-იან წლებში არაბული სამყაროს აღიარებულ ლიდერად იქცა. ხალხს ფანატიკურად სწამდა მისი თითოეული სიტყვისა.

1967 წლის ივნისის დამდეგს ეგვიპტემ ტირანის სრულტე საერთაშორისო ნაოსნობისთვის ჩაკეტა, რამაც წითელ ზღვაში ისრაელის ერთადერთი პორტის, ეილათის ფაქტობრივად



მოშე დაიანი ჯარისკაცებთან ერთად

სრული პარალიზება გამოიწვია. ებრაელებს აღარ შეეძლოთ წითელ ზღვაში ნაოსნობა, თუნდაც საერთაშორისო ძალების დაკვირვების ქვეშ. დაიწყო სინას ნახევარკუნძულზე ევვიპტის სამხედრო შენაერთების კონცენტრაცია. 4 ივნისს ევვიპტე-იორდანის თავდაცვის პაქტს ერაყიც შეუერთდა. მანამდე მსგავსი ხელშეკრულება ევვიპტემ სირიასთანაც გააფორმა, რომელსაც იმ დროს იორდანისთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი ჰქონდა.

ისრაელში კარგად ხვდებოდნენ, რომ ომი უკვე კარს იყო მომდგარი. პრემიერ-მინისტრი ლევი ეშკოლი, რომელიც ამავე დროს თავდაცვის მინისტრის ფუნქციასაც ასრულებდა, თავს იკავებდა რადიკალური ნაბიჯის გადადგმისგან. მოსალოდნელი საფრთხის პირისპირ მას გამბედაობა არ ჰყოფნიდა, სწორი გადაწყვეტილება მიეღო და სამხედრო მოქმედებები დაეწყო. მისი განწყობა უარყოფითად აისახებოდა ისრაელის მინისტრთა კაბინეტის მდგომარეობაზე. ეშკოლისადმი ნდობა დაკარგეს ისრაელის მოქალაქეებმაც. ებრაელები გამოდიოდნენ ლოზუნგით: „მოგვეცი დაიანი“. მოშე დაიანი ხალხს უკანასკნელ იმედად რჩე-

ბოდა. ცალთვალა გენერალი, რომლის შესახებაც უსიამოვნო შეგრძნებას უტოვებდა მოწინააღმდეგეს, უნიჭიერესი სამხედრო სტრატეგი და მტკიცე ხასიათის პიროვნება გახლდათ. 5 ივნისს ეშკოლმა თავდაცვის მინისტრის თანამდებობა დაიანს გადააბარა.

დაიანი სწრაფ მოქმედებას უჭერდა მხარს. ის ყველას არწმუნებდა, რომ თუკი ისრაელი მტრისგან დაელოდებოდა პირველ გასროლას, ქვეყანაში სტრატეგიული სიღრმის არარსებობის გამო გამარჯვება თითქმის წარმოუდგენელი იყო. საომარი მოქმედებები ისრაელს უნდა დაეწყო, თუნდაც მსოფლიოს თვალში აგრესორის იმიჯი დაემკვიდრებინა. ისრაელს ჰაერში უპირატესობა სჭირებოდა, რაც მას საშუალებას მისცემდა, საბრძოლო მოქმედებები შედარებით ადვილად წარემართა. საჰაერო უპირატესობის არარსებობის პირობებში, მოკავშირეების არმიათა მრავალრიცხოვნების გათვალისწინებით, ისრაელი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ჭოჭმანის შემდეგ ებრაელებმა პირველი გასროლა გაბედეს. 1967 წლის 5 ივნისს, გამთენიისას ისრაელის ავიაციამ, უახლესი ფრანგული წარმოების თვითმფრინავებით აღ-

ჭურვილმა, ეგვიპტის სამხედრო აეროდრომებზე მიიტანა იერიში. ოპერაციის შედეგად ეგვიპტური ავიაცია ხმელეთზე განადგურდა. დაიბოძა ასაფრენი ბილიკებიც, რითაც ბრძოლაში ჩართვის შესაძლებლობა გადარჩენილ თვითმფრინავებსაც მოუსპეს. 5 თვის შემდეგ ისრაელმა ჰაერში სრული დომინირება მოიპოვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეგვიპტის სამხედრო აეროდრომებზე თავდასხმის გეგმა ებრაელებს 1964 წლიდან ჰქონიათ შზად.

მასობრივი საჰაერო დახმარებით ებრაელმა ქვეითებმა ომის მესამე დღეს მთლიანად დაიკავეს სინას ნახევარკუნძული, რომელიც თვით ისრაელზე სამჯერ დიდია. ებრაელმა ჯარისკაცებმა წინსვლა სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირთან შეწყვიტეს და ისრაელის სახელმწიფო დროშა შარმ ელ-შეიხში აღმართეს.

ისრაელის არმია უპირატესობას ფლობდა ხმელეთზეც. ამას ორი ფაქტორი განაპირობებდა. საკუთარი სტრატეგიული სიღრმის არქონის გამო, ებრაელები გაცილებით უკეთ იცნობდნენ რელიეფს მტრის ტერიტორიაზე, ვიდრე თავად ეგვიპტელები. მეორე იყო საკვებითა და წყლით მომარაგების საკითხი. სინას უდაბნოში ეგვიპტელი ჯარისკაცები ასობით კილომეტრს გადიოდნენ უწყლოდ, მაშინ როცა ყოველი ებრაელი ჯარისკაცი, განაწესის შესაბამისად, საათში 1 ლიტრს წყალს სვამდა.

*ისრაელის არმია საბრძოლო მარშის დროს*




*ისრაელის ტანკები გოლანის მაღლობებს უტევენ*



*ისრაელის სამხედრო ნაწილები ღაზის სექტორში*





ებრაელი მედესანტები გოდების კედელთან

გენერლები ნარკისი, დაიანი და რაბინი ისრაელის არმიის მიერ დაკავებული იერუსალიმის ნაწილს ათვალთვლებენ



სინას ნახევარკუნძულიდან ეგვიპტელი ჯარისკაცები გარბოდნენ, ვინაიდან დარჩენისა და ბრძოლის გაგრძელების ვერანაირ შანსს ვეღარ ხედავდნენ. ებრაელები კი გოაცებული უყურებდნენ მტრის განადგურებულ სამხედრო ტექნიკას. ომის დაწყებისას მათაც კი ვერ წარმოედგინათ, რომ მოწინააღმდეგეს ამხელა ზარალს მიაყენებდნენ.

იორდანიაში და სირიაში ერთმანეთთან კოორდინაციის გარეშე დაიწყეს ისრაელზე შეტევა. ამ თავდასხმამ ისრაელს შესანიშნავი საბაბი მისცა, სამხედრო წარმატება კიდევ უფრო შთაბეჭდავი გაეხადა. სირიის ტერიტორიაზე ებრაელმა ჯარისკაცებმა დაიკავეს გოლანის მაღლობები. ასევე იორდანის დაქვემდებარებაში მყოფი პალესტინური ტერიტორიები — „დასავლეთი ნაპირი“ და აღმოსავლეთი იერუსალიმი, ძველი ქალაქის ჩათვლით.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნას, შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები, პირველი სწორედ ისრაელი დაეთანხმა, მაგრამ სირიაში და იორდანიაში ეს მოთხოვნა უგულვებელყვეს. სწორედ ამის შემდეგ, ისრაელის არმიამ ზემოთ ხსენებული ტერიტორიები დაიკავა.

საბოლოოდ ომი 10 ივნისს დასრულდა ისრაელის სრული გამარჯვებით. მან დაიკავა ოკუპირებული სინას ნახევარკუნძული, გოლანის მაღლობები და პალესტინური მიწები.

ებრაელმა არმიამ გაანადგურა მტრის 400 თვითმფრინავი, აქედან ჰაერში მხოლოდ 60 და 500-ზე მეტი ტანკი, რაც მთელი არაბული კოალიციის შეიარაღების 70%-ს წარმოადგენდა. სხვადასხვა მონაცემით, ისრაელმა ომში დაკარგა 776-დან 983-მდე ჯარისკაცი, 4517 დაიჭრა და 15 ტყვედ ჩავარდა. ეგვიპტელთა მხრიდან 9800-მდე ჯარისკაცი დაიღუპა, 15 ათასამდე დაიჭრა, 4 338 კი ტყვედ ჩავარდა. იორდანის არმიიდან დაიღუპა 6 ათასამდე ჯარისკაცი, 2500 დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა 533. სირიელთა დანაკარგი 1 ათასი მოკლული და 367 ტყვე იყო. სტატისტიკაც ნათლად მოწმობდა, რა მიმე იყო ომის შედეგები არაბული ქვეყნებისათვის.

ომის შემდგომ კნესეტის (ისრაელის პარლამენტი) დადგენილებით ქვეყნის საზღვრები აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით 70,2 კვადრატული კილომეტრით გაფართოვდა. ამ ტერიტორიაზე, ისრაელის შემადგენლობაში მყოფ დასავლეთ იერუსალიმთან ერთად, რომ-

ლის ფართობიც 37,2 კვადრატული კილომეტრია, შეიქმნა „ერთიანი იერუსალიმი“.

6-დღიან ომში ისრაელის გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად არაბული კოალიციის არათანამიმდევრულ და შეუთანხმებელ მოქმედებას ასახელებენ. ამავე დროს, აღსანიშნავია ებრაული დაზვერვის შესანიშნავი მუშაობა, რის წყალობითაც ებრაელები ყოველთვის ერთი ნაბიჯით უსწრებენ მოწინააღმდეგეს.

6-დღიანი ომი სამართლიანადაა მიჩნეული ებრაელი ერის ყველაზე დიდ სამხედრო გამარჯვებად.

ომის დამთავრების შემდეგ ისრაელისთვის მთავარ პრობლემად დაკავებული ტერიტორიების საკითხი იქცა. მისი შეერთება ისრაელის სახელმწიფოსთვის წარმოუდგენელი იქნებოდა, ვინაიდან ეს ქვეყანაში ეთნიკურ ბალანსს არაბთა სასარგებლოდ შეცვლიდა. ბუნებრივია, ხელისუფლებას ეს არ სურდა. დასავლეთ ნაპირზე, გოლანის მაღლობსა და ღაზის სექტორში ებრაული ახალშენების შექმნა დაიწყო, რითაც ამ მიწების დე ფაქტო ანექსირება ხდებოდა.

ომის დასრულების შემდეგ ებრაული ელი-

ტა ახალდაპყრობილი ტერიტორიების დიდ ნაწილზე პალესტინის სახელმწიფოს შექმნას უჭერდა მხარს, რაც ხელს შეუწყობდა რეგიონში არსებული დაძაბულობის განმუხტვას. მაგრამ 1967 წლის 2 სექტემბერს, სუდანის დედაქალაქ ხართუმში გამართულმა არაბული ქვეყნების ლიგის კონფერენციამ მიიღო სამი „არა“ (არა – ისრაელის ცნობას, არა – მოლაპარაკებას ისრაელთან, არა – მშვიდობას ისრაელთან), რამაც ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი გახადა. 6-დღიან ომში განცდილი მტკივნეული დამარცხების შემდეგ არაბული ქვეყნებისგან სხვა გადაწყვეტილება არც იყო მოსალოდნელი. მხოლოდ 35 წლის შემდეგ, 2002 წლის 27 მარტს ბეირუთში გამართულ სამიტზე მივიდნენ არაბები იმ დასკვნამდე, რომ 1967 წლის საზღვრები პალესტინის არაბული სახელმწიფოსთვის საკმარისი იქნებოდა, მაგრამ ამჯერად ისრაელი აღარ იყო ასეთ პირობებზე თანახმა.

ბეირუთის სამიტამდე კი ებრაელებსა და არაბებს შორის კიდევ ერთხელ დაიწყო ომი, ამჯერად 1973 წლის 6 ოქტომბერს, იომ ქიფურის დღესასწაულზე...

**დავით ზარაზვაძე**

### *გვიპტე-ისრაელის საზღვარი*



# საკონცენტრაციო ბანაკები

*დღეს საკონცენტრაციო ბანაკის  
ხსენებისას, პირველ რიგში,  
ნაციისტური სიკვდილის ბანაკები  
გვახსენდება: მაიდანეკი, ბუხენვალდი,  
რავენსბრიუკი, დახაუ... იქაური  
კრემატორიუმები, გაზის ოთახები,  
პრეპარატი „ციკლონ-ბ“, ადამიანის  
კანიდან დამზადებული ჩანთები და  
არაერთი საშინელება... საინტერესოა,  
რომ თავდაპირველად  
„საკონცენტრაციო ბანაკი“ სულ სხვა  
რამეს აღნიშნავდა. დროთა  
განმავლობაში ტერმინის  
მნიშვნელობა იცვლებოდა და ამჟამად  
ის მესამე რაიხის სიკვდილის  
ბანაკების სინონიმია, სადაც  
ადამიანთა სასტიკი წამებით დახოცვა  
„სამრეწველო ღონეზე“ იყო აყვანილი.*

დაპაუს ბანაკი



ისტორიაში პირველ საკონცენტრაციო ბანაკად შეიძლება ანდერსონვილი მივიჩნიოთ. ეს ბანაკი აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს შეიქმმნა, 1864 წლის თებერვალ-მარტში (სექტემბერში კი გაუქმდა ჩრდილოელთა წინსვლის გამო). ტყვეთა ბანაკში ჩრდილოეთის არმიის ჯარისკაცები მოხვდნენ. მაშინ არ არსებობდა ტერმინი საკონცენტრაციო ბანაკი და მას ციხეს უწოდებდნენ. ბანაკი 6,5 ჰექტარზე იყო გაშლილი, მოგვიანებით კი 10,5 ჰექტარამდე გაფართოვდა. ტყვეებისთვის კარები იდგა, ტერიტორია გარშემორტყმული იყო 20 მეტრის სიმაღლის ორმაგი ხის ღობითა და კოშკურებით შეიარაღებული დაცვისთვის. წყლის ორი არხი ჰქონდათ, — ერთი კანალიზაციისთვის, მეორე საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის. წყალი ბინძური იყო, ხოლო საკვები — ძალიან მცირე, რაც ტყვეთა შორის დაავადებების გავრცელებას

უწყობდა ხელს. მათთვის პრაქტიკულად არ არსებობდა სამედიცინო დახმარება. გაუსადღისი პირობებს ე.წ. დაცვის მუშაკთა სისასტიკე ემატებოდა. როგორც თვითმხილველები იხსენებდნენ, ბანაკის კომენდანტი ჰენრი უირცი ნამდვილი სადისტი გახლდათ და დაცვის ყველა წევრიც მას ბაძავდა. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ გაუსადღისი პირობების გამო პატიმრები ბანდებს ქმნიდნენ... სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ ჰენრი უირცი ჩამოახრჩეს. თუმცა დაკითხვებზე ის ამბობდა, რომ უბრალოდ „ბრძანებას ასრულებდა“. აგვისტოსთვის ბანაკში 33 ათასი კაცი იმყოფებოდა. ყოველდღიურად 100-ზე მეტი ტყვე იღუპებოდა. სულ ბანაკში 45 ათასამდე კაცი მოხვდა, რომელთაგან 13 ათასი დაიღუპა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ უირცი განტყვევის ვაცი იყო, ხოლო ის ხალხი, ვინც ბრძანებებს გას-


ცემდა, სასამართლოს გადაურჩა. ანდერსონ-ვილი იყო პირველი საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც იმყოფებოდნენ განსაზღვრული ნიშნით გამორჩეული ადამიანები. ამ შემთხვევაში, ჩრდილოეთის არმიის ჯარისკაცები.

საკონცენტრაციო ბანაკების მასობრივად გამოყენება ბრიტანელებმა დაიწყეს ინგლის-ბურების ომის დროს. ომი 1899 წლის 11 ოქტომბერს დაიწყო. ბრიტანეთს ახალი ტერიტორიების დაკავება სურდა — ტრანსვაალისა და ე.წ. ნარინჯისფერი თავისუფალი რესპუბლიკისა („ორანჟის რესპუბლიკა“). ახალშექმნილი სახელმწიფოების მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ კაპის კოლონიდან გაქცეული, უმთავრესად ჰოლანდიელ გადმოსახლებულთა შთამომავლები. როცა ეს კოლონია ბრიტანელებმა ჰოლანდიელებს წაართვეს, ბურებიდან ბევრმა გადაინაცვლა აფრიკის უკიდურესი სამხრეთიდან მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც ორი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ომის აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ (ინგლისელებმა 1900 წლის 13 მარტს ორანჟის რესპუბლიკის დედაქალაქი ბლუმფონტეინი დაიკავეს, ხოლო 5 ივნისს — ტრანსვაალის დედაქალაქი პრეტორია) ფართომასშტაბიანი პარტიზანული ბრძოლა დაიწყო. ბრიტანულ სარდლობას აღიზიანებდა ბურების გამუდმებული თავდასხმები რკინიგზებზე, ხიდებზე, ტელეგრაფის სვეტებზე, ქალაქებზე, ჯავშანმატარებ-

ლებზე... საპასუხოდ მათ მთელი ქვეყნის მასშტაბით ბლოკაუზები და საკონცენტრაციო ბანაკები ააგეს. ბლოკაუზი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო, რომელიც გარნიზონს წრიული ცეცხლის წარმართვის შესაძლებლობას აძლევდა. ბლოკაუზებს შორის ეკლიანი მავთულხლართი იყო დაჭიმული, მის ძირას — ერთმეტრიანი თხრილი. ბლოკაუზებში 50 ათასამდე ჯარისკაცი მსახურობდა. სულ 8 ათასამდე ბლოკაუზი აშენდა.

საკონცენტრაციო ბანაკებში კი მოათავსეს სამოქალაქო პირები, მშვიდობიანი მოსახლეობა. ამიტომაც ეწოდა ბანაკს „საკონცენტრაციო“ — მოხდა ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის ერთ ადგილას კონცენტრირება. ბანაკები ამოქმედდნენ რესპუბლიკების თითქმის მთელ ტერიტორიაზე: ბარბერტონში, ჰეიდელბურგში, სტანდერტონში, მაფეკინგში, აირინში და სხვ. ბანაკებში 200 ათასი კაცი შერეკეს, საშინელი პირობების, შიმშილისა და დაავადებების გამო 26 ათასამდე დაიღუპა, მათ შორის უამრავი არასრულწლოვანი და ბავშვი. თავდაპირველად ინგლისში ამ ბანაკთა არსებობის შესახებ არავინ იცოდა. ეს ამბავი მხოლოდ ქველმოქმედი ქალბატონის, ემილი ჰობჰაუსის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩასვლის შემდეგ გახმაურდა. საბოლოოდ ბანაკებმა თავისი წილი ბინძური ამოცანა შეასრულეს. ბური პარტიზანები 1902 წლამდე ეს-

*ანდერსონვილის ტყვეთა ბანაკი შეიძლება პირველ საკონცენტრაციო ბანაკად მივიჩნიოთ*





*გერმანელი გენერალი ლოთარ ფონ ტროთა*

ხმოდნენ თავს ბრიტანულ ჯარებს, თუმცა ოჯახის წევრთა ამოწვევას საბოლოოდ მოლაპარაკებაზე წასვლა ამჯობინეს. ამ და სხვა მიზეზებით ომი ბურების კაპიტულაციით დასრულდა, ტრანსვაალი და ორანჟის რესპუბლიკა ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ. ეს იყო პირველი კონფლიქტი, სადაც საკონცენტრაციო ბანაკები მასობრივად გამოიყენეს.

საკონცენტრაციო ბანაკები სულ მალე კვლავ აფრიკაში გამოჩნდა. 1904 წლის 12 იანვარს გერმანულ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში (თანამედროვე ნამიბიის ტერიტორია) ჰერეროსა და ნამას ტომები აჯანყდნენ. მათ თავდაპირველად შეძლეს ქალაქ ვინდჰუკის, პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრის დაკავება. 11 აგვისტოს ისინი გერმანელთა ჯარებმა დაამარცხეს ვატერბერგის ბრძოლაში. ჰერე-

როს ტომის შემდეგ აჯანყდა ჰოტენტოტების ტომიც, იმავე წლის 3 ოქტომბერს. აჯანყებულები პარტიზანული მეთოდებით გერმანელებს 1907 წლამდე ებრძოდნენ. ომის მსვლელობისას გერმანელებმა აჯანყებულები უდაბნოსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გადაასახლეს, სადაც კაცობრიობის ისტორიაში პირველი გენოციდი მოხდა. საერთო ჯამში განადგურდა ჰერეროს ტომის 80% (65 ათასი კაცი) და ნამას ტომის 50% (10 ათასი კაცი).

სამხრეთ-დასავლეთის აფრიკის ხელი-სუფლების დოკუმენტების მიხედვით, 1904 წლის ოქტომბრიდან 1907 წლის მარტამდე ტყვედ აყვანილი ჰერეროსა და ჰოტენტოტების ტომელებიდან დაიღუპა 7682 კაცი (დატყვევებული იყო 15 ათასი ჰერერო და 2 ათასი ჰოტენტოტი). ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მოწინააღმდეგე ეროვნული ნიშნით განადგურეს. იმათ, ვინც საკონცენტრაციო ბანაკებში მოხდა, მონურად ამუშავებდნენ რკინიგზის მშენებლობაზე. უმრავლესობა დაავადებებისგან და დასუსტებით გარდაიცვალა, ხოლო ქალები მეძავებად აქციეს გერმანელი ჯარისკაცებისთვის. ჰერეროსა და ნამას ტომების განადგურება აღიარებული გენოციდი იყო ისტორიაში. 1985 წელს გაერომ გენერალ ლოთარ ფონ ტროთას ქმედებები გენოციდად შეაფასა. გერმანიამ ნამიბიაში გე-

*აფრიკაში განთავსებული გერმანული ბანაკიდან გადარჩენილები ტყვეები ჰერეროს ტომიდან*



ნოციდი 2004 წელს ოფიციალურად აღიარა და საჯაროდ მოიხადა ბოდიში.

პირველი მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკები ტყვეებისა და პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისთვის გამოიყენეს. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანოთ ტალერჰოფის საკონცენტრაციო ბანაკი ავსტრია-უნგრეთში, ქალაქ გრაცთან, შტირიის პროვინციის ცენტრთან ახლოს. ტალერჰოფში ათავსებდნენ ძირითადად რუსინებს, რომლებიც გალიციაში ცხოვრობდნენ და ღიად ან ფარულად გამოხატავდნენ სიმპათიას რუსეთის იმპერიისადმი. რუსინები კარპატიის აღმოსავლურ-სლავური მოსახლეობის ნაწილია, იმიერკარპატიამში. რუსინების უმრავლესობა გაერთიანდა ე.წ. რუსულ მოძრაობაში, რომელიც იმიერკარპატიასა და გალიციაში მოქმედებდა. მოძრაობის წევრებს მიაჩნდათ, რომ ყველა სლავური წარმოშობის ხალხი მოსკოვის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა გაერთიანებულიყო. რა თქმა უნდა, ავსტრიის იმპერიის ხელისუფლება ვედარ დაუშვებდა ადამიანთა ასეთი ჯგუფის არსებობას და სწორედაც ამისთვის შეიქმნა ტალერჰოფის საკონცენტრაციო ბანაკი. თავდაპირველად ბანაკში არც ერთი ბარაკი არ ყოფილა. 1914 წლის 9 ნოემბრისთვის ბანაკში 5700 კაცი იმყოფებოდა, სულ 1917 წლის 10 მაისამდე ბანაკში არანაკლებ 20 ათასი პრორუსულად განწყობილი კაცი მოათავსეს. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს,



გერმანული ბანაკი აფრიკაში

რომ ტყვეთა საერთო რიცხვმა 30 ათასს მიაღწია. მარტო 1915 წლის პირველ ნახევარში 3800 კაცი დასაჯეს. ტალერჰოფის საკონცენტრაციო ბანაკი ისტორიაში პირველია, სადაც არსებული ხელისუფლების (ამ შემთხვევაში, ავსტრია-უნგრეთის) პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოწინააღმდეგეებს ათავსებდნენ.

შეუძლებელია არ ვახსენოთ საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკები. პირველი საკონცენტრაციო ბანაკი ბოლშევიკებმა 1918 წლის მაისში გახსნეს, ჩეხოსლოვაკიური კორპუსის ყოფილი მებრძოლებისთვის. თავდაპირველად ამ ბანაკში ყოფნა არც ისე რთული იყო. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) დადგენილების მიხედვით, პატიმრებს, რომლებმაც შრომისმოყვარეობა გამოიჩინეს, კერძო ბინებში ცხოვრების უფლება ეძლეოდათ. მაგრამ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგ-





*ბავშვები ბუჩუნაღლის ბანაკის ეკლიანი მათუღლხლართის მიღმა*

რძეღეღულა. 1919 წელს 15 აპრიღს ცაკ-მა გა-მოაქეღენა დაღგენიღება „ძალდაღტანეღბითი მუ-შაღბის ბანაკეღბის შესახებ“, რომღის მიხედ-ვიღ, ოღქეღბის დეღაქალაქეღბში უნდა შექმნი-ღიღო სულ ცოღტა თიღო 300-კაციანი ბანაკი. 1919 წღის ბოღოს უკვე 21 ასეღი ბანაკი არ-სეღბღდა, ხოღო რამდენიმე წღის შემდეგ შე-იქმნა უზარმაზარი სისტემა, გულაგი (ГУЛАГ Главное Управление Лагереღ, ბანაკეღბის მთა-ვარი სამმართველო). ზემოღ აღწერიღი სა-კონცენტრაციო ბანაკეღბისგან განსხვავეღბით, გულაგის შრომიღი ბანაკეღბი საბჭოთა კავში-რის პენიღენციარული სისტემის ნაწიღი იღო. ჩვეუღებრივ პატიმართა გარდა, გულაგში იხ-დიღნენ სასჯელს საბჭოთა ხეღისუფღღებღბის მოწინააღმდეგეღბი: ტროცკისტეღბი, მენშევი-

კეღბი, თეორეგარდიეღღბი, ანარქისტეღბი, ესე-რეღბი, ნაციონალისტეღბი და სხვ. შრომიღ ბა-ნაკეღბთან ერთად, გულაგის სისტემაში ასევე არსეღბღდა განსაკუთრეღული ბანაკეღბი (лагеря, особлагги), საგანგებოდ შექმნიღი ხეღის-სუფღღებღბის მოწინააღმდეგეღბისთვის. განსაკუთრეღული ბანაკის ირგვღღვ ბოძეღზე ეკღი-ანი მავთული იღო გაჭიღული. ბოძეღბის სიახ-ლოღეს შემოღღღებულ ორმეტრიანი ღობეს ზე-მოდანაც ეკღიანი მავთული მოუყვეღბღდა. დაცვის კოშკეღბზე ძღღიერი პროექტორეღბი იღო დამავრეღულიღბი.

ასეღი ბანაკეღბის აგება და შენახვა ძვირი ჯღღბღდა. ერთი ოსობღაგისთვის მართო ათასი ტონა ეკღიანი მავთული იღო საჭირო. ბანაკეღბს არც მოგება მოჰქონდათ. მაგალითად, 1949 წელს მათი შენახვა ხაზინას 701 მიღღიონ რუბღლი დაუჯდა, ხოღო შემოსავღღმა მხოღოდ 443 მიღღიონ რუბღლს მიადწია. გულაგის დანარჩენი ბანაკეღბი არ გამოირჩეღღნენ ასეღი ძღღიერი დაცვიღი სისტემაღბით. შესაძღღოა იმიტომ, რომ ბანაკში ყოვეღღღღე ეწეობღდა მასშტაბური ჩხრეკა, ე.წ. შმონი (ШМОН). ბანაკის დაცვა პა-ტიმრის ყვეღა ნიღოს ამოწმეღდა. რა თქმა უნ-და, ხშირად ჩხრეკისას აკრძალულ ნიღებს „ჩა-უღღღებღნენ“ ამა თუ იმ პატიმარს, შემდეგ ის ან კარცერში ხღღბღდა, ან სასჯელს უმატეღბღნენ, ანდა კვეღბის რაციონს უმცირეღბღნენ. გულაგის პატიმართა აშენეღულია თეორი ზღვა-ბალტი-ის არხი („ბეღლომორკანალი“ — Беломорско-Балтийский канал), რამდენიმე ჰესი (უსტ-კა-მენოგორსკის, რიბინსკის, ჟიგულიოვის), საბ-ჭოთა ბირთვეული პროგრამის ობიექტეღბი,

*საბჭოთა გულაგი (ГУЛАГ - Главное Управление Лагереღ, ბანაკეღბის მთავარი სამართველო)*



ტრანსპორტული მაგისტრალი, ზოგიერთი საბჭოთა ქალაქი (კომსომოლსკ ნა ამურე, ვორკუტა, ნახოდკა). გულაგზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი აუვაროთ იმ ტანჯვა-წამებას, რაც იქ პატიმრებმა გადაიტანეს. მათ შორის იყო ქვებისა და მორების ერთ ადგილიდან მეორეზე თრევა, თოლიების დათვლა, საბჭოთა ჰიმნის ხმამაღალი ყვირილი რამდენიმე საათის განმავლობაში...

საზოგადოდ, გულაგი ფენომენია. არსად არასდროს არ შექმნილა ამხელა დასასჯელი მანქანა, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის არა განადგურებას ან სასამართლოს განაჩენის აღსრულებას, არამედ ადამიანის, როგორც სამშენებლო მასალის 100%-ით გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ გულაგი არ იძლეოდა ისეთ შემოსავალს, როგორსაც საბჭოთა ხელმძღვანელობა ელოდა. სისტემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიქტორ ნასედკინი მოხსენებით ბარათში წერდა, რომ გულაგის მუშის დღიური შემოსავალი 23 რუბლია, ხოლო სამოქალაქო სექტორში დასაქმებული მუშისა — 44 რუბლი. ეს ბარათი 1941 წლის 13 მაისს დაიწერა. უკვე იმ დროს გაჩნდა სიგნალები გულაგის არაეფექტიანობის შესახებ, თუმცა გულაგმა 1960 წლამდე იარსება, თითქმის შეუცვლელად. ოღონდ 1953 წელს, როცა იოსებ სტალინი გარდაიცვალა, გულაგის პატიმართა ნახევარი ამნისტიით გაათავისუფლეს. სწორედ გულაგის ფინანსური არაეფექტიანობა გახდა შრომითი ბანაკების დაშლის ძირითადი მიზეზი.

მესამე რაიზში საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანთა განადგურება სამრეწველო დონემდე აიყვანეს. პირველი საკონცენტრაციო ბანაკები გერმანიაში შეიქმნა ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ. 1933 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში ქწერა, რომ ბანაკების მიზანია „პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა აღმოფხვრა და ანტისოციალური ელემენტების საზოგადოებისთვის მისაღებ წევრებად გადაქცევა“. პირველი სამი საკონცენტრაციო ბანაკი 1933 წელს აიგო — დახაუ (მიუნხენთან ახლოს), ბუხენვალდი (ვაიმართან) და ზაქსენ-ჰაუზენი (ბერლინთან). პირველი პატიმრები კომუნისტები და ებრაელები იყვნენ, თუმცა ნაციისტური რეჟიმის მტრების სწრაფად მომრავლებასთან ერთად, ბანაკებში აგზავნიდნენ სოციალ-დემოკრატებს, კათოლიკეებს, პროტესტანტებს, იელოვლებს... მოგვიანებით ახალი ბანაკები შეიქმნა გერმანიაში (რავენსბრიუკი, ბელზენი, გროს-როზენი, პაპენბურგი), ავსტრი-



*ქალები საბჭოთა გულაგში*



*სამუშაოდ გასული ტყვეები*



*საბჭოთა ტყვეთა დასახლება*





ტყვეთა მიღება ოსვენციმის ბანაკში



პიძღვრი დაპაუში

ამჟფინვის ბანაკის ტყვეები ამერიკელთაგან განთავისუფლების შემდეგ



აში (მაუტჰაუზენი), ბოპეშიაში, ანუ თანამედროვე ჩეხეთში (ტერეზიენშტადტი). 1934-1939 წლებში საკონცენტრაციო ბანაკებში 200 ათასი პატიმარი იმყოფებოდა. მათი რიცხვი მკვეთრად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ. პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ შეიქმნა აუშვიცი, ბირკენაუ, ტრებლინკა და მაიდანეკი, რომლებიც სიკვდილის ბანაკებად გადაიქცნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა ბანაკების პატიმართა შემადგენლობა. კომუნისტებსა და ებრაელებს დაემატნენ ფრანგები, პოლონელები, ბელგიელები. ყველა საკონცენტრაციო ბანაკი ხასიათდებოდა არაადამიანური პირობებითა და ტყვეებისადმი სასტიკი დამოკიდებულებით. ბანაკების დაცვა შედგებოდა ძირითადად SS-ის ჯარისკაცების განსაკუთრებული შენაერთისგან („მკვდარი თავი“), რომლის ამოცანა მხოლოდ საკონცენტრაციო ბანაკების დაცვა იყო. პატიმრებს სხვადასხვა სამუშაოზე უფასო სამუშაო ძალად იყენებდნენ. ისინი ქარხნებში მუშაობდნენ არაკვალიფიციურ მუშებად, წმენდნენ გერმანულ ქალაქებს ნანგრევებისგან ბომბარდირების შემდეგ, ასრულებდნენ სხვა დავალებსაც.

საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრებზე სამედიცინო ცდებსაც ატარებდნენ. რა თქმა უნდა, როცა ნაცისტთა მიერ ადამიანებზე განხორციელებულ ცდებზე ვსაუბრობთ, იოზეფ მენგელეს სახელი გაგვასხენდება, რომელიც ექსპერიმენტებს აწყობდა ბანაკების პატიმრებზე. მაგალითად, იკვლევდა, როგორ შეიძლება გადარჩეს ჰიპოთერმიის მსხვერპლი, ეძებდა მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინას და ამისთვის პატიმრებს მალარიით ასნებოვნებდა.

„ჩვეულებრივი“ საკონცენტრაციო ბანაკების გარდა, არსებობდა სიკვდილის ბანაკები, რომელთა დანიშნულება პატიმართა განადგურება იყო. ისინი ძირითადად „ებრაული საკითხის გადასაწყვეტად“ შეიქმნა. ამისთვის პოლონეთში ამენდა კულმპოფი (იგივე ხელმწი), ტრებლინკა, ბელჟეცი, სობიბორი, მაიდანეკი, ბანაკების კომპლექსი ოსვენციმი, ხორვატიაში — იასენოვაცი, ბელორუსიაში — მალი ტროსტენეცი, გერმანიაში მოქმედებდა ბუხენვალდი და დახაუ. ყოველ ბანაკში დამონტაჟებული იყო კრემატორიუმი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოქმედებდა. ყველგან იყო გაზის კამერები, სადაც პატიმრებს აირ „ციკლონ-B“-თი წამლავდნენ. ყველაფერი ეს მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გრძელდებოდა.

ზოგიერთებმა, ვინც აქტიურად მონაწილეობდა საკონცენტრაციო და სიკვდილის ბანაკების საქმიანობაში, გაქცევა და დამსახურებული სასჯელისგან თავის დაღწევა შეძლო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, კონკრეტულად 1962 წელს, ისრაელის დაზვერვის აგენტებმა სამხრეთ ამერიკაში დაიჭირეს ოფიცერი ადოლფ ეიხმანი, რომელიც უშუალო პასუხისმგებელი იყო ებრაელთა მასობრივი განადგურებისთვის. გესტაპოში ის ხელმძღვანელობდა განყოფილებას, რომელსაც „ებრაული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა“ ეწოდებოდა. ეიხმანი სიკვდილით იმპულს, 1962 წელს დასაჯეს. თუმცა ზემოაღნიშნული იოზეფ მენგელე (რომელმაც პატიმრებისგან „სიკვდილის ანგელოზის“ მეტსახელი მიიღო) ვერ დაიჭირეს. იგი 1979 წელს გარდაიცვალა ბრაზილიაში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად საკონცენტრაციო ბანაკები შექმნეს მხოლოდ როგორც ციხე ტყვეებისთვის, სადაც აუტანელი პირობები იყო. შემდეგ ბანაკებმა ევოლუცია განიცადეს და იქცნენ ადგილებად, სადაც ადამიანებს პოლიტიკური და ეროვნული ნიშნით ათავსებდნენ. საბოლოო ტრანსფორმაცია მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს. საკონცენტრაციო ბანაკი იქცა ადგილად, სადაც პატიმარს გარანტირებული ჰქონდა მხოლოდ ერთი რამ – სიკვდილი.

**ბიოგრაფიული ცოგანია**



*გერმანული საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეები*




*გათავისუფლებული ოსვენციმის ბავშვები*



*ბანაკის ტყვე ამერიკელ სამხედროს კრემატორიუმს აჩვენებს*

# „უზენაესი ურდო“ — უკრაინის სტეპებში?!

ნაპოვნია ბათუ ყანის უზენასკნალი  
მთამომავლის საზაფხულო  
რეზიდენცია



მონღოლური  
საცხოვრებელი კარავი.  
თანამედროვე რეკონსტრუქცია



*მონღოლი მეომრები. თანამედროვე რეკონსტრუქცია*

ვერცხლისა და სპილენძის 3000-მდე მონეტა, მათი მოსაჭრელი ფორმები, ტყვიისგან დამზადებული ასაწონი გირები, რკინის ცულები, სათევზაო მოწყობილობები, ქალის სპილენძისა და ვერცხლის სამკაულები, კალის სარკის ფრაგმენტები, ვერცხლის მადნის ზო-

დები, საყოფაცხოვრებო ნივთები სრულად ან მათი ნაწილები — ასეთია ის მასალა, რომელიც ოქროს ურდოს ხანების XIV საუკუნის საზაფხულო რეზიდენციამ შემოინახა.

ბანაკს წყლით სავსე მიწათხრილი ეკრა, რომლის დიამეტრი, სულ მცირე, ერთი კილო-



*ლუგანსკელმა მკვლევრებმა XIV საუკუნის მონეტების მდიდარი კოლექცია აღმოაჩინეს*



*პოპასნიანსკის რაიონში (ლუგანსკში), მონღოლების ყოფილ საზაფხულო სადგომში ეგვენი ჩერნიხი და მისი ვგუფი არქეოლოგიური გათხრებისას*

მეტრი იყო. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კი დამატებით ხეუბით იყო შემოსაზღვრული. ბუნებრივი წყაროებისკენ სპეციალური თხრილები ეშუებოდა. ბანაკისთვის ადგილი კარგად იყო შერჩეული. წინ შესანიშნავი პეიზაჟი იშლებოდა, ხოლო ბორცვებზე, რომელიც საზაფხულო რეზიდენციას გარს ერტყა, საგუშაგოები იყო განლაგებული.

ეს აღმოჩენა მოწმობს, რომ ოქროს ურდოს ხანებს სუდაკის, აზოვის, სარაისა და ვოლგაზე განლაგებული მუდმივი ბანაკების გარდა საზაფხულო რეზიდენციებიც ჰქონდათ, სადაც სასახლის კართან, ჰარამხანასთან, მოსამსახურეებსა და დაცვასთან ერთად გადადი-

ოდნენ. მათ თან ხელოსნები და ვაჭრებიც მიჰყავდათ. საზაფხულო რეზიდენცია ასეული იურტიით, მცირე და დიდი კარვით ქალაქს მოგაგონებდათ.

უკრაინის ტერიტორიაზე ამ დრომდე მსგავსი რეზიდენცია მიკვლეული არ ყოფილა. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ბანაკი აბდალაპ ხანს ეკუთვნოდა (1361-1370 წწ.). ის ოქროს ურდოს ხან უზბეკის (1312-1342 წწ.) შთამომავალი და ბათუს დინასტიის, ე.წ. ბათუგიდების უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. ხელისუფლება მან ძლიერი სარდლისა და ბეგლარბეგისგან, მაჰმადისგან მიიღო.

„აბდალაპ ხანი უზბეკ ხანის შთამომავალი იყო, რომელმაც ურდოში ისლამი გაავრცელა 1320 წელს და ხარკის ასაგროვებლად ბასკაკების გაგზავნა აკრძალა“, — ამბობს აღმოსავლეთ უკრაინის ნაციონალური უნივერსიტეტის ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი სერგეი სანჟაროვი.

უკრაინის არქეოლოგიური ცენტრის, „სპადმინას“ თანამშრომლებმა ოქროს ურდოს ხანების XIV საუკუნის საზაფხულო ბანაკს ლუგანსკის მხარეში, პოპასნიანსკის რაიონში მიაკვლიეს. სერგეი სანჟაროვი ამბობს, რომ ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მანამდე იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს დონეცკის ნაყოფიერი ველები XIII-XVI საუკუნეებში გაუკაცრიელებული იყო, ანუ ამ პერიოდის ისტორია არ ჰქონდა. „ჩვენ ვეჭვობდით, რომ ასე არ იყო, და წარმართულმა კვლევებმა ამაში დაგვარწმუნა“, — აღნიშნავს სანჟაროვი.

„აღსანიშნავია, რომ აბდულაპ ხანის ვერცხლის რამდენიმე მონეტაზე პირველად გვხვდება ამ ადგილის ახალი დასახელება — „მუაზამ ურდუ“. ეს იმიოფრება, როგორც უზენაესი ურდო. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აღმოჩენილ რეზიდენციასაც სწორედ ასე ერქვა“, — ამბობს არქეოლოგიურ ცენტრ „სპადმინას“ დირექტორი ეგვენი ჩერნიხი.

უნივერსიტეტის თანამშრომლები ადგილობრივი მხარეთმცოდნეებისგან უკვე რამდენიმე წელიწადია იღებდნენ ცნობებს, რომ მდინარე სევერსკი დონეცის მარჯვენა სანაპიროზე, ერთ-ერთი წყალგამყოფი პლატოს მოსახლეობა თათრულ მონეტებსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს მუდმივად პოულობდა. არქეოლოგებმა ტერიტორიის შესწავლა სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვიტეს.

*„ისტორიანი“*

# მიდუეის საზღვაო სასაქლო



## იანონია-აბეიჩის მეოხე შეჯახება წყნარ ოკეანეში

1859 წელს ამერიკელმა ზღვაოსანმა გრეგ ბრუკსმა ჰავაის არქიპელაგის დასავლეთით აღმოაჩინა კუნძული, სულ რაღაც 5 კვადრატული კილომეტრის ფართობისა. უზარმაზარ ოკეანეში ჩაკარგულ კუნძულს მიდუეი (midway) უწოდეს, რაც შუა მანძილს ნიშნავს, ვინაიდან ზუსტად კალიფორნიასა და იაპონიას შორის მდებარეობს.

1942 წლის 4-6 ივნისს მიდუეის დასავლეთით გაიმართა საზღვაო ბრძოლა იაპონიის საიმპერატორო ფლოტსა და აშშ-ის ფლოტს შორის. აღნიშნულ ბრძოლაში ორივე მხრიდან მონაწილეობდა შვიდი ავიამზიდი, ორასამდე სხვადასხვა ტიპის ხომალდი და ასობით საბრძოლო თვითმფრინავი.

ბრძოლას უნდა გაერკვია, ვინ იყო წყნარი ოკეანის ნამდვილი ბატონ-პატრონი. ბრძოლის შედეგი დიდწილად დამოკიდებული იყო სადაზვერვო მონაცემებზე და როგორც აღმოჩნდა, ეს საქმე ამერიკელებს გაცილებით უკეთ ჰქონდათ ორგანიზებული.



მიდუეის კუნძული ატოლია, მარჯვნივან აგებული

### „წყნარი ოკეანის ბატონი“

1941 წლის 7 დეკემბერს პერლ-ჰარბორში იაპონიის ავიაციის გამანადგურებელმა თავდასხმამ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პრესტიჟი საგრძობლად შეარყია. თვალში საცემი გახდა იაპონელთა სტრატეგიული ინიციატივა წყნარი ოკეანის ყველა მიმართულებით. 25 დეკემბერს იაპონელებმა დაიპყრეს დი-



ადმირალი ისიროკუ იამამოტო



პერლ-ჰარბორი იაპონელთა შეტევის შემდეგ

დი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა კონკი და მოახდინეს ტაილანდის ოკუპაცია. 1942 წლის 15 თებერვალს დაეცა დიდი ბრიტანეთის კიდევ ერთი სამხედრო-საზღვაო ბაზა — სინგაპური. ტყვედ ჩავარდა დაახლოებით 70 ათასამდე ბრიტანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სინგაპურის დაცემით იაპონელებს კიდევ უფრო გაეხსნათ ზელ-ფუხი და დაიკავეს ბირმა, ინდონეზიის არქიპელაგის ძირითადი კუნძულები, ფილიპინები და ახალი გვინეის ჩრდილოეთი ნაწილი. სრული კონტროლი დაამყარეს შორეულ აღმოსავლეთ აზიაში. მათ მომდევნო სამიხნედ ავსტრალია და ახალი ზელანდია იქცა.

1942 წლის მარტის მდგომარეობით, ამერიკელებმა დაკარგეს 2 ავიამზიდი, 4 კრეისერი, 5 საესკადრო ნაღმოსანი, 13 სხვადასხვა ტიპის სამხედრო ხომალდი. დიდი დანაკარგი ჰქონდათ მოკავშირეებს, ბრიტანელებს, ავსტრალიელებს, ჰოლანდიელებს — 1 ავიამზიდი, 6 კრეისერი, 2 საესკადრო ნაღმოსანი. ხოლო იაპონელთა მხრიდან მხოლოდ ორმა კრეისერმა მიიღო უმნიშვნელო დაზიანება.

წარმატებებმა იაპონელები ეიფორიაში ჩააგდო. მათი სარდლობის დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ წყნარი ოკეანის სრული ბატონ-პატრონები სწორედ ისინი იყვნენ.

მაგრამ იაპონიის საიმპერატორო ფლოტის სარდალი, ადმირალი ისიროკუ იამამოტო ამ საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას არ იზიარებდა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში იამამოტო აშშ-ში იაპონიის სამხედრო-საზღვაო ატაშეს მოვალეობას ასრულებდა. მას სრული წარმოდგენა ჰქონდა ამ ქვეყნის ფინანსურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. მშვენივრად იცოდა, რომ ამერიკელები უმოკლეს დროში აანაზღაურებდნენ ზარალს და ეს რომ არ მომხდარიყო, მათთვის ახალი სასიკვდილო დარტყმა უნდა მიეყენებინათ.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე იაპონიის პრემიერ-მინისტრმა პრინცმა კონოემ ადმირალს ჰკითხა, რას ფიქრობდა იაპონელთა შანსებზე ამერიკელებთან შესაძლო ომთან დაკავშირებით, რაზეც მისგან ჯარისკაცური პასუხი მიიღო: „ომის პირველ ექვს-თორმეტ თვეში მე შეუძლებ გამარჯვებათა მთელი სერიის დემონსტრირებას, მაგრამ დაპირისპირება თუკი ორ-სამ წელიწადს გაგრძელდება, საბოლოო გამარჯვების გარანტიას ვეღარ მოგცემთ“.

რამდენიმე თვეში ადმირალმა იგრძნო, რომ მის შიშს რეალური საფუძველი ჰქონდა. 1942 წლის მაისის პირველ რიცხვებში იაპონელებმა წარუმატებელი რეიდი მოაწვეეს. ავსტრალიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, მარჯნის ზღვაში ამერიკელებთან ბრძოლაში ორი ზომალდი დაკარგეს.

ეს იყო პირველი საგანგაშო სიგნალი, თუმცა იაპონელები კვლავ ფლობდნენ სტრატეგიულ ინიციატივას და ცხადი გახდა, რომ მის დათმობას არ აპირებდნენ. ადმირალ იამამოტოსა და იაპონიის გენშტაბს ამერიკელებისთვის ახალი „პერლ-ჰარბორი“ ჰქონდათ ჩაფიქრებული და ამისთვის გამალებით ემზადებოდნენ.

### მიზნის არჩევა

მომავალი ოპერაციის ადგილი, რომლისთვისაც მზადება საიდუმლოს სრული დაცვით მიმდინარეობდა, იამამოტოს უკვე განსაზღვრული ჰქონდა. ეს იყო მიდუეი და მისი ახლომდებარე კუნძულების რაიონი, სადაც ამერიკელებს ჰქონდათ სამხედრო-საზღვაო ბაზა მცირე აეროდრომით, მასზე ბაზირებული 30 ავიამანადგურებლითა და 70-მდე ბომბდამშენით.

მცირე ზომას კუნძულ მიდუეისთვის ხელი არ შეუშლია, ორივე მხარისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ყოფილიყო. მისი ადგილმდებარეობა მეომარ მხარეებს საშუალებას მისცემდა, გაეკონტროლებინათ პრაქტიკულად ყველა საზღვაო კომუნიკაცია მთელი რეგიონის მასშტაბით.

ამ მიზნით იაპონელებმა მიდუეისკენ თავიანთი დამრტყმელი დაჯგუფება გაგზავნეს, რომლის ბირთვის ავიამზიდები შეადგენდნენ. მათი გემბანიდან აფრენილ თვითმფრინავებს, რომლებსაც იმპერიის საუკეთესო პილოტები მართავდნენ, კუნძულზე განლაგებული ამერიკული თვითმფრინავები უნდა გაენადგურებინათ. იამამოტოს ვარაუდით, ალყაშემორტყმული გარნიზონის დასახმარებლად ამერიკელები თავიანთ ზომალდებს გამოგზავნიდნენ პერლ-ჰარბორიდან და აი, სწორედ აქ იგვემეებოდა მათთვის სასიკვდილო მახის დაგება. მთავარ სამიზნეს სწორედ ამერიკული ზომალდები, პირველ რიგში, ავიამზიდები წარმოადგენდნენ.

ამერიკული სარდლობისა და მათი დახვეწვის შეცდომაში შესაყვანად, იამამოტოს ბრძანებით, იაპონელებს ალეუტის კუნძულებთან



ადმირალი ჩესტერ ნიმიცი

ცრუ მანევრები უნდა გაემართათ. იგი მიიჩნევდა, რომ მოწინააღმდეგის სარდლობა მის ანკეს წამოეგებოდა, წყნარი ოკეანის ფლოტს ორად გაყოფდნენ, ვინაიდან ვეღარ გაერკვეოდნენ, რომელი იყო იაპონელთა ძირითადი დარტყმის მიმართულება და ფლოტის ერთ ნაწილს ჩრდილოეთით, ალეუტის კუნძულებისკენ გაგზავნიდნენ. ეს კი იაპონიის ფლოტს საშუალებას მისცემდა, ორად გახლეჩილი მოწინააღმდეგე ცალ-ცალკე გაენადგურებინა.

გემის სასარგებლოდ მეტყველებდა არცთუ ისე დიდი ხნის წინ განხორციელებული პერლ-ჰარბორის ოპერაცია. 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონელებმა წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწიეს, როცა ამერიკული დაზვერვის ყურადღება მოადუნეს და მათ ფლოტს დიდი ზიანი მიაყენეს.

წყნარ ოკეანეში გადაადგილებისას იაპონური ზომალდები სრულ რადიოსიჩუმეს ინარჩუნებდნენ. იმპერიის ფლოტის სარდლობამ კი ყალბი რადიომიმართვა გააურცვლა, თითქოს მათი ზომალდები ტოკიოს ყურეში იდგნენ. იაპონიის დედაქალაქისა და სხვა დიდი ქალაქების ქუჩები სავსე იყო იაპონელი ჯარისკაცებით, რომლებიც მეზღვაურის ფორმებში იყვნენ გადაცმული. ამერიკული აგენტურა დარწმუნებული იყო, რომ იმპერიის ფლოტი ნამ-





*იაპონელთა საიდუმლო სამხედრო კოდების გაშიფვრას პერლ-ჰარბორის შემდეგ ამერიკელები უდიდესი გულისხეურით ეკიდებოდნენ*

დვილად თავიანთ ბაზებში იდგა... მსგავს სამხედრო ეშმაკობას ამჯერადაც უნდა ეთამაშა საკუთარი როლი.

ამ უმნიშვნელოვანეს ოპერაციაში იაპონიის იმპერიის დამრტყმელი დაჯგუფების სარდლად აღმირალმა იამამოტომ დანიშნა ვიცე-აღმირალი ტიუიტი ნაგუმო, რომელმაც პერლ-ჰარბორზე განხორციელებულ წარმატებულ ოპერაციაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

### **გატყნილი კოდი**

იაპონიის სამხედრო-საზღვაო სარდლობა დარწმუნებული იყო, რომ მათი საიდუმლო კოდების გაშიფვრა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ, შეუძლებელი გახლდათ. ჯერ კიდევ 1937 წელს იაპონელმა სპეციალისტებმა შექმნეს საიდუმლო აპარატი, რომელსაც მათი ამერიკელი კოლეგები იცნობდნენ კოდური სახელწოდებით **JN-25 purple** (მქუამული). ორწლიანი თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად მათ მაინც შეძლეს „მქუამულის“ საიდუმლოს ამოხსნა. მეტიც, ამერიკელებმა იაპონელთა აპარატის ზუსტი ასლი შექმნეს. ეს მათ საშუალებას აძლევდა, მოწინააღმდეგის მიერ გადაცემული ყველა ინფორმაცია გაეშიფრათ. ურთულესი იაპონური კოდის გაშიფვრაში აშშ-ის სტრატეგიული და სამხედრო-საზღვაო დაზვერვის საუკეთესო სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

1941 წლის ნოემბერშიც შეძლეს ამერიკელებმა გაეშიფრათ იაპონელთა საიდუმლო ინფორმაცია, რომ წყნარ ოკეანეში დიდი საზღვაო ოპერაცია იგეგმებოდა. თუმცა შეერთებული შტატების სარდლობამ მიღებულ ინფორმაციას სათანადო ყურადღება აღარ მი-

აქცია, რაც ამერიკელ მეზღვაურებს ძალიან ძვირად დაუჯდათ პერლ-ჰარბორში. ამ მწარე გაკვეთილის შემდეგ იაპონელთა ყველა გაშიფრულ მონაცემს, თუკი ის შეიცავდა მონაცემებს რამე ტიპის სადესანტო ოპერაციაზე, ამერიკელი აღმირალები განსაკუთრებული ყურადღებით ეცნობოდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა აღმირალი ჩესტერ ნიმიცი, რომელიც პერლ-ჰარბორის ტრაგედიიდან სულ მალე აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლად დაინიშნა.

ახალგაზრდობაში ნიმიცი პერლ-ჰარბორში ინსპექტორად მსახურობდა, სადაც ახალი ბაზა შენდებოდა წყალქვეშა ნაუბისთვის. ის შესანიშნავად იცნობდა რეგიონს და ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, მიიხედავდა, რომ ამერიკელებს გაუმართლათ, რაკი მათი ავიაშინდები თავდასხმისას ყურეში არ იმყოფებოდნენ.

ომის პირველ თვეებში განცდილი დამარცხებების შემდეგ, აღმირალი ნიმიცი ყველაღონეს მიმართავდა, რათა მოწინააღმდეგისთვის სტრატეგიული ინიციატივა წაერთმია. მარჯნის ზღვის შეტაკება აჩვენებდა, რომ ამის პერსპექტივა საკმაოდ რეალური იყო.

### **იღუბალი რაიონი**

პარიღში ნიმიცს შეატყობინეს, რომ შეძლეს აღმირალ იამამოტოს ბრძანების გაშიფვრა, სადაც ლაპარაკი იყო საზღვაო ოპერაციაზე **AP** რაიონში, თუმცა **AP-ს** მნიშვნელობა ვერ გაიგეს. ტოკიოს ინტერესთა სფეროში, წყნარი ოკეანის გარდა, ინდოეთის ოკეანეც იყო მოქცეული, აგრეთვე ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები, ალუუტის კუნძულები, სან-ფრანცისკო თუ მადაგასკარიც.

ამ საიდუმლოს გაშიფვრაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

პრობლემის გადაჭრის ორიგინალური ხერხი შექმნა პერლ-ჰარბორში ფლოტის რადიოკაეშირის სამსახურის უფროსმა ჯოზეფ რაშფორტმა. მეთოდი, შეიძლება ითქვას, საესებით უბრალო იყო. მისი ბრძანებით კუნძულ მიღუეის გარნიზონს საიდუმლო რადიოგრამა გაეგზავნა, სადაც მითითებული იყო, რომ მათ ღია ტექსტი უნდა გამოეგზავნათ — რომ გარნიზონი სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის და სასწრაფოდ დახმარებას ითხოვენ.

ორიოდე დღეში რაშფორტის უწყებამ იაპონელთა მორიგი ტექსტი გაშიფრა, სადაც აღნიშნული იყო, რომ **AP-ის** გარნიზონი სასმელი წყლის მარაგის გარეშე დარჩა. ცხად

გახდა, იაპონიის სარდლობა დიდი საზღვაო ოპერაციის მოწყობას სწორედ მიღუეის წინააღმდეგ აპირებდა. მოგვიანებით ამერიკულმა დაზვერვამ უპრობლემოდ გაარკვია შეტევის დაწყების თარიღი — 4 ივნისი.

იაპონიის დაზვერვა კი დარწმუნებული იყო, რომ მათი საიდუმლო კოდები ამერიკელებისთვის მიუწვდომელი რჩებოდა. მეტიც, მცდარი მონაცემები ჰქონდათ მარჯნის ზღვაზე მომხდარ შეტაკებაში ამერიკელთა ნამდვილ დანაკარგებზე.

### მოგიზიჯიე აზიაში

1942 წლის 3 ივნისს იაპონელთა დამრტყმელი დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 4 ავიამზიდი გემბანებზე განლაგებული 276 თვითმფრინავით, 2 მძიმე კრეისერი, 3 საესკადრო ნაღმოსანი, 11 სხვადასხვა ტიპის სამხედრო ხომალდი და 15 წყალქვეშა ნავი, კუნძულ მიღუეის დასავლეთ სანაპიროს მიუახლოვდა. ოპერაციაში მონაწილეობდნენ ის პილოტები, ვინც პერლ-ჰარბორის თავდასხმაში გაითქვა სახელი. სწორედ მათი იმედი ჰქონდა ვიცე-ადმირალ ნაგუმოს. ის ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ მოწინააღმდეგე ხაფანგში შეიტყუა. არადა, თვითონვე მოექცა ხაფანგში.

ოღნავ მოშორებით ამერიკული ესკადრა იმყოფებოდა 3 ავიამზიდის (383 თვითმფრინავით), 8 კრეისერის, 15 საესკადრო ნაღმოსნისა და 25 წყალქვეშა ნავის შემადგენლობით.

ძალები თანაბარი იყო და ყველაფერი მოულოდნელობის ეფექტზე იყო დამოკიდებული,

რომელიც აშკარად ამერიკელთა მხარეს აღმოჩნდა.

მოვლენები თავდაპირველად იაპონელთა სცენარით წარიმართა. მიღუეის ავიამზიანზე თავდასხმა დილის 5 საათზე დაიწყო. იაპონური ბომბდამშენებისა და ავიამანადგურებლების შესაჩერებლად ამერიკული თვითმფრინავები გაეშურნენ, მაგრამ მოკლე დროში თითქმის ყველა მათგანი გაანადგურეს. იმავდროულად, იაპონურ ხომალდებზე სატორპედო იერიშის მისატანად ჰაერში ბომბდამშენები აფრინდნენ, თუმცა საპაერო მხარდაჭერის გარეშე დარჩენილები, ისინიც მოწინააღმდეგის ავიამანადგურებელთან ადვილ სამიხნედ იქცნენ.

ოპერაციის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ იაპონელები ელოდებოდნენ, ალყაშემორტყმული გარნიზონის დასახმარებლად როდის გამოემართებოდნენ ამერიკული ხომალდები, რათა მათზე ჰაერიდან უეცარი და მასირებული სატორპედო იერიშები მიეტანათ.

ოთხივე იაპონურ ავიამზიდე გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა. გემბანზე განლაგებული თვითმფრინავებიდან 800-კილოგრამიან ბომბებს ხსნიდნენ და მათ ადგილზე ტორპედოებს ჰკიდებდნენ. სამი ავიამზიდი, „აკაგი“, „კაგა“ და „სორიუ“ სამკუთხედის ფორმით მიემართებოდა, ხოლო მეოთხე „ჰირიუ“ ოღნავ მოშორებით მიცურავდა.

იაპონელთა გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სრულიად მოულოდნელად ღრუბლებიდან ამერიკული ბომბდამშენები გამოჩნდნენ. ოთხმა მათგანმა ავიამზიდ „ჰირიუს“ შე-

მიღუეის ბრძოლის ეპიზოდი. ზედი თვითმფრინავის კაბინიდან





იაპონელთა ავიაცია „იორკტაუნს“ უტევს

უტია, ხოლო სამმა — „კაგას“, თუმცა რამე ზიანი ვერც ერთ მათგანს ვერ მიაყენეს. იაპონელებმა მძიმე კრეისერებიდან საპასუხო ცეცხლით თითქმის ყველა მათგანი ჩამოაგდეს.

საერთო ჯამში იაპონელებმა ამერიკელთა კიდევ შვიდი საჰაერო იერიში მოიგერიეს. ნაგუმოს გადაწყვეტილებით, მათ უკვე თავისი თვითმფრინავებით უნდა შეეტიათ მოწინააღმდეგისთვის, რომლებიც უკვე გემბანზე იდგნენ. პილოტები ბრძანებას ელოდნენ, როცა ჰაერში ამერიკული თვითმფრინავები გამოჩნდნენ. ეს იყო კაპიტან კლარენს უეიდ მაკლასკის ბომბდამშენთა ესკადრია ავიამზიდ „ენტერპრაიზიდან“. მათ უკან მოჰყვებოდა ლეიტენანტ ერლ გლაპერის სადაზვერუო და რიჩარდ ბესტის ბომბდამშენთა ესკადრია, 30-მდე თვითმფრინავი. შემდეგ ნამდვილი ჯოჯოხეთი დაიწყო.

ბომბდამშენებმა ერთდროულად შეუტყეს სამ ავიამზიდს და მათ გემბანებზე 500-ტონიანი ბომბები ჩამოყარეს. თვითმფრინავების მეორე ტალღამ ტორპედოებით შეუტია ავიამზიდებს და მოკლე ხანში სამივე მათგანი უკვე ანთებულ ჩირაღდანს ჰგავდა, თან ისე რომ, ვერც ერთმა იაპონურმა თვითმფრინავმა აფრენა ვერ მოასწრო.

დღის მეორე ნახევარში ამერიკულმა წყალქვეშა ნავმა „ნაუტილუსმა“ სამი ტორპედო გაუშვა „სორიუსკენ“. ავიამზიდისთვის ეს უკვე

სასიკვდილო დარტყმა იყო და სულ მალე ჩაიძირა. საღამოს იგივე ბედი ეწია „კაგასაც“.

იაპონელები დანებებას არ აპირებდნენ. ბრძოლისუნარიანობას ჯერჯერობით „ჰირიუ“ ინარჩუნებდა. მათ შეძლეს ესკადრიალის ფორმირება 18 ბომბდამშენის შემადგენლობით (მეთაური, ლეიტენანტი მიტოო კაბაიამი). ესკორტად მიყვებოდათ 8 ავიაგამანადგურებელი ZERO (მეთაური სიგემაცუ). იაპონურმა თვითმფრინავებმა აფრენისთანავე ამერიკული ავიამზიდი „იორკტაუნი“ აღმოაჩინეს და საკმაოდ დააზიანეს.

„ჰირიუს“ გასანეიტრალებლად „ენტერპრაიზზე“ დამრტყმელი დაჯგუფება შექმნეს 25 თვითმფრინავის შემადგენლობით. მოგვიანებით მათ შეუერთდა ავიამზიდ „ჰორნეტის“ 15 ბომბდამშენი. ამერიკელებმა ერთდროულად რამდენიმე მხრიდან შეუტყეს „ჰირიუს“, რომელსაც მხოლოდ 6 ავიაგამანადგურებელი იცავდა. იაპონელებმა ჯერ კიდევ მცურავი, მაგრამ სრულიად უიმედო მდგომარეობაში მყოფი ავიამზიდები „ჰირიუ“ და „აკაგი“ 5 ივნისს, გამთენიისას ჩაძირეს.

ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. თუმცა აქა-იქ ლოკალური შეტაკებები მაინც ხდებოდა. 6 ივნისს ამერიკელებმა ორ იაპონურ მძიმე კრეისერს, „მიკუმასა“ და „მოგამის“ შეუტყეს. „მიკუმა“ ჩაიძირა, ხოლო „მოგამიმ“

მძიმე დაზიანებებით იაპონიის სანაპიროს მაინც მიაღწია. 7 თენის იაპონურმა წყალქვეშა ნავმა მძიმედ დაზიანებული „იორკტაუნისკენ“ ორი ტორპედო გაუშვა და ჩაძირა.

ვიცე-ადმირალ ნაგუმოს სხვა გზა არ დარჩენოდა, თავისი გადარჩენილი ხომალდების უკან გაბრუნების გარდა. ოპერაცია, რომელიც მოწინააღმდეგის სრულ განადგურებას ითვალისწინებდა, მას კატასტროფად შემოუბრუნდა.

იაპონელებმა ოთხივე ავიაშხი დაკარგეს. განადგურდა 1 მძიმე კრეისერი, 250 თვითმფრინავი და 2500 სამხედრო მოსამსახურე. მათ შორის იყვნენ იაპონიის ავიაციის საუკეთესო მფრინავები. ცხადი იყო, რომ იაპონელები ასეთ ზარალს ვერ ანაზღაურებდნენ. მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ იმპერიამ წყნარ ოკეანეში სტრატეგიული ინიციატივა დაკარგა და იძულებული გახდა, ყველა მიმართულებით თავდაცვაზე გადასულიყო.

ამერიკელთა დანაკარგი შეადგენდა 1 ავიაშხიდს, 1 საესკადრო ნაღმოსანს, 150 თვითმფრინავსა და 307 სამხედრო მოსამსახურეს.

### ოპერაცია „შურისძიება“

რადიოდაზვერვის მნიშვნელობა ამერიკელთა გამარჯვებაში ფასდაუდებელი იყო. მან კიდევ ერთხელ შეასრულა გადამწყვეტი როლი. საქმე ამჯერად თვით იამამოტოს სიცოცხლეს ეხებოდა.

1943 წლის აპრილში ადმირალი ინსპექტირების მიზნით გაემგზავრა წყნარ ოკეანეში განლაგებულ იაპონურ სამხედრო-საზღვაო ბაზებზე. ამერიკულმა დაზვერვამ მოწინააღმდეგის რადიოგრამის გაშიფვრით შეიტყო, რომ 18 აპრილს დილის 6 საათზე იამამოტო კუნძულ ახალ ბრიტანეთზე განთავსებული რაბაულის ბაზიდან კუნძულ ბუგენვილზე უნდა გამგზავრებულიყო. ცნობილი იყო ისიც, რომ იამამოტო „ბეტის“ ტიპის ბომბდამშენით დაფრინავდა, რომელსაც მუდამ ახლდნენ ZERO-ს ტიპის ავიაგამანადგურებლები. აშშ-ის სარდლობა იაპონელ ადმირალს მიიჩნევდა დამნაშავედ პერლ-ჰარბორის ტრაგედიაში და მისი ლიკვიდაცია განიხილებოდა, როგორც სამართლიანი შურისძიების აქტი.

ოპერაცია ვაშინგტონში პრეზიდენტ რუზველტის დონეზე წყდებოდა. ამერიკული ავიაგამანადგურებლები გუადალკანალის ბაზიდან აფრინდნენ და იამამოტოს ესკორტს გზა გადაუჭრეს. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყველა იაპონური თვითმფრინავი გაანადგურეს.

ტოკიოში იამამოტოს სიკვდილი შემთხვევითობად მიიჩნიეს, იმის გაფიქრებაც არ სურდათ, რომ მათი კოდები გაშიფრული იყო. ეს ამერიკელებსაც არ აძლევდათ ხელს. ოპერაცია „შურისძიების“ ყველა დეტალი მხოლოდ ომის შემდეგ გახდა ცნობილი.

სხვაგვარად წარიმართა ვიცე-ადმირალ ტიუიტი ნაგუმოს ბედი. 1944 წელს ის იაპონიის წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლად დაინიშნა, რომლის შტაბი განთავსებული იყო კუნძულ საიპანზე. თენისში ამერიკელებმა კუნძულზე საზღვაო ქვეითთა დესანტი გადასხეს. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, იაპონელებმა უკან დაიხიეს. ადმირალი ხვდებოდა, რომ დახმარება არსაიდან მოვიდოდა და რომ ომი უკვე წაგებული ჰქონდა. ნაგუმომ ტყვედ ჩაუარდნას სიკვდილი არჩია და 1944 წლის 6 ოქტომ თავი მოიკლა.

ამერიკელი ადმირალი ჩესტერ ნიმიცი ისტორიაში შევიდა, როგორც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული საზღვაო მეთაური. მემუარებში მან თქვა: „მიღუვისთან ჩვენს გამარჯვებას უნდა ვუმაღლოდეთ რადიოდაზვერვას. მოწინააღმდეგემ, რომელიც ჩვენზე მასირებულ იერიშებს გვკმევდა, თვითონვე იგემა ჩვენი მასირებული იერიშები“.

ამერიკულმა სამხედრო-საზღვაო ბაზამ მიღუეზე 1993 წლამდე იარსება. დღეს კუნძულს აშშ-ის ეროვნული ნაკრძალის სტატუსი აქვს. გარდა ამისა, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საგანგებო შემთხვევებისთვის კუნძულზე მუდმივად მზად არის 3000-მეტრიანი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი.

### ანჟორ დისამინჯია

რამდენიმე წუთიც და „მიკუმა“ წყალქვეშ გაუჩინარდება





# პარტბურგი

## ქვის ჰერმონია ბერმანულად

*საეჭვოა, გერმანიის ისტორიაში რომელიმე ციხესიმაგრეს ისეთი მნიშვნელობა ჰქონოდა, როგორც ვარტბურგს. მართალია, პირველ რიგში მარტინ ლუთერის სახელს უკავშირებენ, რომელიც აქ ბიბლიას გერმანულ ენაზე თარგმნიდა, მაგრამ ამ ციხესიმაგრეს კიდევ უფრო მდიდარი ბიოგრაფია აქვს. მასთანაა დაკავშირებული ვარტბურგის ომიც და ვარტბურგის დღესასწაულიც.*



თანამედროვე ქალაქ აიზენახთან ახლოს, გორაკზე აღმართული ვარტბურგის ციხესიმაგრე ისტორიულ დოკუმენტებში პირველად 1080 წელს მოიხსენიება. ლუდვიგ „მოჯირითე“, რომელსაც ლუდოვიგერების ძალაუფლების განმტკიცება სურდა, გადაწყვიტა, რომ ეს ციხესიმაგრე სტრატეგიულად მომგებიანი იქნებოდა თიურინგიის კოლონიზაციისთვის. დაახლოებით ასი წლის შემდეგ ლუდოვიგერები ლანდგრაფებად იქცნენ, ხოლო ვარტბურგის ციხესიმაგრე მათი რეზიდენცია გახ-

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მთხრობელი



ნარობიდავთ დიდ საყვარელო ენციკლოპედიას

შეაგროვე ამაგი და შეამანი „დისკავერის ენციკლოპედიის“

**4 ჯოგაული საკუთარი ხელით !**

დისკავერის დიდი ენციკლოპედიის ოთხი ტომი, ოთხ, განსხვავებული თემატიკაზე, ყუთში მოექცევა. თითოეულ ყუთში (ანუ ტომში) 16 წიგნი მოიყრის თავს, ყოველი ეს წიგნი ჟი ახალი სამყაროა. პირველი ტომის პირველი წიგნი სპეციალურ ყუთთან ერთად გამოვიდა, რომელშიც მთელი პირველი ტომის წიგნები უნდა მოათავსოთ.



ყოველ ოთხშაბათს!

წიგნის ფასი 2 ლარი

სიბავლე



შეიკიწე დისკავერის ენციკლოპედიას:

ქართულ ენაზე ან ინგლისურ ენაზე  
 და გაეცანი უჩვეულო გაციანი სამყარო და თან დახვეწე მოკლენებსა და ინგლისური. ყოველ მომდევნო ტომთან საინტერესო ფაქტებს ერთად აიმაღლე ენის ცოდნის საფეხური

იკითხათ წიგნის მალაზიებში და პრესის გამაგრებელაბლებთან!

ტომი 16 წიგნისავე შეგროვება შეაგროვე სრული პერსონა!



*გერმანელი პოეტი-რაინდების (მინეზინგერების) სამუსიკო შეჯიბრება — „ვარტბურგის ომი“.  
მორიც ფონ შეინდი, 1854-1855*

და. 1172 წელს ლუდვიგ III-მ მიიჩნია, რომ დადგა დრო, მაღალი სტატუსი ციხესიმაგრის არქიტექტურაშიც ასახულიყო და იგი უფრო მდიდრული გაეხადათ. მისი მითითებებით აშენდა რომანული სტილის სამსართულიანი სასახლე, რომელიც დღეს უკვე იქცა ნიმუშად ციხესიმაგრეთა „კლასიკურ არქიტექტურაში“. მის ზედა სართულზე დიდი საზეიმო დარბაზია, სადაც რამდენიმე ასეული ადამიანის ადგილია. მიიჩნევენ, რომ გერმანელი პოეტი-რაინდების (მინეზინგერების) შეჯიბრება 1206-1207 წლებში სწორედ ამ საზეიმო დარბაზში გაიმართა.

ვარტბურგი შუა საუკუნეების ევროპის ერთ-ერთ კულტურულ ცენტრად 1190 წლიდან, ლანდგრაფ გერმან I-ის დროს იქცა. 1203 წლიდან სასახლეში ცხოვრობდა გერმანელი პოეტი-მინეზინგერი ვოლფრამ ფონ ეშენბახი, ხოლო ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე თავის ნაწარმოებებში განადიდებდა ლანდგრაფის დამსახურებას ხელოვნების წინაშე. მიჩნეულია, რომ სწორედ მან მოაწყო მინეზინგერების შეჯიბრება, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც ე.წ. ვარტბურგის ომი და რომელიც გამოიყენა კომპოზიტორმა რიჰარდ ვაგნერმა ოპერა „ტან-

*საზეიმო დარბაზი, სადაც შეჯიბრება გაიმართა, რამდენიმე ასეულ ადამიანს იტევს*



პოიზერის“ სიუჟეტში. ვარაუდობენ, რომ ამგვარი სასიმღერო „ტუნირები“ ბევრი შვაბური თუ ავსტრიული სასახლის კარზე ეწეობოდა. მოვლენის ამსახველი შესანიშნავი ფრესკა (მორიც ფონ შვინდისა) მხოლოდ 1854-1855 წლებში გაჩნდა და ფაქტობრივად, ავტორის ვარაუდია, როგორი სახე შეიძლება ჰქონოდა პოეტების შეჯიბრებას.

ვარტბურგის ომისგან განსხვავებით, ეჭვს არ იწვევს ციხესიმაგრეში რეფორმატორ მარტინ ლუთერის ყოფნა. 1521 წლის 4 მაისს, მას შემდეგ, რაც ვორმის რაინსტაგმა კანონგარეშედ გამოაცხადა, მან თავი ვარტბურგს შეაფარა. იუნკერ იორგის სახელით ციხესიმაგრეში რამდენიმე თვეს ცხოვრობდა, წერდა შრომებს რეფორმაციის შესახებ და ახალ აღთქმას გერმანულად თარგმნიდა. ასე ამზადებდა ნიადაგს მარტინ ლუთერი რეფორმაციისთვის. პაპობისა და კათოლიკური დოგმების

კრიტიკამ გამოიწვია მრევლის განხეთქილება კათოლიკეებად და პროტესტანტებად. ეს გამოჩენილი პერსონა ლუკას კრანახ უფროსმა ასახა ტილოზე „მარტინ ლუთერის პორტრეტი იუნკერ იორგის სახით“. დღეს ვარტბურგის სტუმარს ამ პორტრეტის, კრანახის რამდენიმე სხვა ნამუშევრისა და ასევე ლუთერის პირველი ნაბეჭდი შრომებისა და პროტესტანტული მოწოდებების ხილვა შეუძლია.

1817 წლის 18-19 ოქტომბერს მოეწყო რეფორმაციის 300 წლისა და „ხალხთა ბრძოლის“ ანუ ლაიფციგის 1813 წლის ბრძოლის (მოკავშირეების — პრუსიის, ავსტრიის, რუსეთისა და შვეიცარიის ჯარებსა და ნაპოლეონს შორის) ოთხი წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაული. სტუდენტები წვავდნენ სახელმწიფო აქტებს და გერმანიის გაერთიანებას ითხოვდნენ. ვარტბურგის დღესასწაული იყო რეაქციის წინააღმდეგ პატრიოტული და ლი-



ციხესიმაგრის შიდა ეზო





სასახლის პალატები და კოლონადა



მარტინ ლუთერის ოთახი



ბერალური დემონსტრაცია და გერმანელთა ეროვნული მოძრაობის დაწყების მანიფესტაცია.

ამ სტუდენტებს იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთემ „ცხელი თავები“ უწოდა. თუმცა ვარტბურგში სშირად სტუმრობით თავადვე შეუწყო ხელი, რომ ვაიმარის დიდ ჰერცოგ კარლოს ავგუსტუსს გერმანელი ერის სიმბოლო ამ დანგრეულ ციხესიმაგრეში დაენახა. ვარტბურგის რესტავრაცია კარლოს ალექსანდრეს დროს, 1838 წელს დაიწყო. თუმცა ყურადღება იმდენად შუა საუკუნეების ნაგებობების აღდგენას კი არ ექცეოდა, რამდენადაც იდეას, ვარტბურგი რაინდთა ციხესიმაგრედ წარმოეჩინათ ისე, როგორც ეს XIX საუკუნეში ჰქონდათ წარმოდგენილი.

ნაგებობებს დაემატა მთავარი კოშკი, ალავაფი, რაინდთა აბანო. მორიცი ფონ შვინდის შესანიშნავი ფრესკებით დამშვენებულ ინტერიერს ძალიან ცოტა აქვს საერთო ადრეული შუა საუკუნეებისა და საკუთრივ ციხესიმაგრის შიდა მორთულობასთან. ყველაფრის მიუხედავად, მეფე ლუდვიგ II-ის დიდი აღტაცება 1867 წელს ვარტბურგში სტუმრობისას აჩვენებს, რამდენად ზუსტად შეესაბამებოდა რესტავრირებული ციხესიმაგრე თანამედროვეთა შეხედულებებს შუა საუკუნეებ-



„აქ ყველაფერი გერმანულია“

ზე. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ქვაში განხორციელებულმა ოცნებამ უბიძგა ლუდვიგ მეორეს სახელგანთქმული ნოიშვანშტაინის შექმნისკენ.

უფრო გვიანდელი სარესტავრაციო სამუშაოებისას ითვალისწინებდნენ კომპლექსის შუასაუკუნეობრივ კოლორიტსაც და იმ ცვლილებებსაც, რომლებიც ისტორიზმით გატაცებამ მოიტანა. ციხესიმაგრის ათასწლოვანი ისტორია მრავალ ეპოქას მოიცავს, სადაც XIX საუკუნის ნაკვალევი ადრინდელზე არანაკლებ ფასეულია. ლუთერისა და რეფორმაციის ოთახებში აღდგენილია მკაცრი ინტერიერი. სასახლის კვარცხლბეკის სართულზე კვლავ შუა საუკუნეების რომანტიკული ეპოქა მეფობს, ხოლო ზედა სართულის სახეიმო დარბაზში — გვიანდელი ფუფუნება. ყველა ეს სტილი აჩვენებს, რა ადგილი უჭირავს ვარტბურგს გერმანიის ისტორიაში.

*მომზადებულია ულრიკ შიობერის წიგნიდან „ვეროპის ციხესიმაგრეები და სასახლეები“*

ვარტბურგის შიდა ეზო. 1873 წლის ილუსტრაცია



# მართლა დაეცა რომი?



*ათასზე მეტი წლის განმავლობაში რომი მსოფლიოს უძლიერესი იმპერია იყო. თითქმის ჩვენს დრომდე მიაჩნდათ, რომ ამ დიდმა ცივილიზაციამ დასავლეთ პროვინციებში ბარბაროსი ტომების თარეშს ვეღარ გაუძლო და დაცემის გზას დაადგა. დღესდღეობით კი მეცნიერები მუშაობენ თავსატეხზე, მართლაც დაიქცა თუ არა რომის ზემოქმადი იმპერია.*

თუკი ვირწმუნებთ გამოთქმას, რომ რომი ერთ დღეში არ აშენებულა, მაშინ არც მისი დაცემის თარიღები უნდა ვეძებოთ. ისტორიკოსები ერთ საკითხზე უდავოდ თანხმდებიან, რომ რომის დაცემა პოლიტიკური ძალაუფლებისა და უდიდესი ტერიტორიების დაკარგვით გამოიხატა. რომაელებს მთელ იმპერიაში გაჰყავდათ ქვით მოპირკეთებული გზები და აგებდნენ ხიდებს, იღებდნენ კანონებს და ავრცელებდნენ ერთ ენას — ლათინურს. რომის დაცემით დასავლეთი ევროპის ტერიტორიაზე ცივილიზებული ცხოვრება ჩაკვდა და ბნელი საუკუნეები დადგა, რაც თითქმის 500 წელიწადს გაგრძელდა. ახლანდელი დაკვირვებებითა და კვლევებით დგინდება, რომ რომის ე.წ. დაცემა რეალურად

მკვეთრ ფერებში აღიწერა და ბნელი საუკუნეებიც არც ისეთი ბნელი უნდა ყოფილიყო, როგორიც გვგონია.

რომის დაკნინება-დაცემას უამრავი სამეცნიერო ნარკვევი მიეძღვნა. ზოგი ფიქრობს, რომ იმპერია განადგურების გზაზე ჭკუასუსტმა იმპერატორებმა დააყენეს, ზოგსაც კორუფციის ჭაობში ჩაფლული რომაელები მიაჩნია დამნაშავედ. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ სწრაფად მზარდ სახელმწიფოს, ელემენტარულად, საარსებო რესურსი არ ეყო ერთიანობის შესანარჩუნებლად. \*გამოთქმულია წყალგაყვანილობის მიღების მწყობრიდან გამოსვლის შედეგად გავრცელებული ტოქსინების ვარაუდიც.

1764 წელს ბრიტანელმა ისტორიკოსმა ედ-

ვარდ გიბონმა ქრისტიანი ბერების გალობა იხილა რომის ოდესღაც წარმართულ, იუპიტერის ტაძარში. რვა წლის შემდეგ მან საფუძვლიანი კვლევა დაიწყო და 1776-1789 წლებში გამოსცა ექვსტომეული, სახელწოდებით „რომის იმპერიის დაკნინება და დაცემა“. იმ დროისთვის, როცა ბოლო სამი ტომი გამოსცა, 16-წლიანი მუშაობისა და მილიონ-ნახევარი სიტყვის დაწერის შემდეგ, გიბონმა აღიარება მოიპოვა ვეროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ, არც მეტი არც ნაკლები, ბენჯამინ ფრანკლინი იყო მისი დამფასებელი. როცა შეიტყო, რომ გიბონი მასთან ვიზიტზე უარს აცხადებდა, ამერიკელმა არ იწყინა და გონებამახვილურად შენიშნა: იმედი მაქვს, ოდესმე გიბონის დაწერილ ბრიტანეთის იმპერიის დაკნინებისა და დაცემის ისტორიასაც წავიკითხავო.

გიბონის თქმით, რომის დაცემას ოთხმა ძირითადმა მიზეზმა შეუწყო ხელი: დროისა და ბუნებისგან მიყენებულმა ზარალმა, შინააშლილობებმა, რესურსების არამიზნობრივმა გამოყენებამ და ბარბაროსი (სავარაუდოდ, ნაკლებცივილიზებული) ტომების შემოსევებმა. არც ერთ ისტორიკოსს გიბონის შედეგის ნამდვილობაში ეჭვი არ შეუტანია, მაგრამ თანამედროვე მემატიანეებს ბევრად უფრო სარწმუნო და ხელჩასაჭიდ წყაროებზე მიუწვდებით ხელი, ვიდრე თავის დროზე გიბონს, და მიაჩნიათ, რომ რომის დაკნინება-დაცემის მიზეზი ბევრად უფრო კომპლექსური და მრავალფეროვანია.

თანამედროვე ისტორიკოსთა მტკიცებით, გიბონისეული პირველი მიზეზი ნაწილობრივ უმართებულოა, რადგან ნებისმიერ ქვეყანასა და ხალხს ბუნებასა და დროსთან ჭიდილი გამუდმებით უწევდა და ეს ვერაფრით ვერ გახდებოდა დაცემის თუნდაც საწყისი მიზეზი. არც ისეთი ურბანული მიზეზი მიაჩნიათ სარწმუნოდ, როგორცაა ტყვიის წყალგაყვანილობის მიღების მოშლა და ამის შედეგად წყლის მოწამვლა. ვეროპაში დღესაც ბევრგან იყენებენ ტყვიის წყალგაყვანილობის მიღებს, მაგრამ ამის მიზეზით ჯერ არავინ მოწამლულა. როცა მეორე მიზეზს, შინააშლილობებს განიხილავენ, სწავლულები თანხმდებიან, რომ რომს არსებობის განმავლობაში არაერთი შინაომი და სკანდალი ახსოვს, მაგრამ ეს დაქცევის კი არა, საზღვრების კიდევ უფრო გაფართოების მიზეზი ხდებოდა ფეოდალთა პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

ისტორიკოსები გიბონის მესამე მიზეზზე კამათს არ წყვეტენ, რადგან შესაძლოა, სიმართლეს შეეფერებოდეს. ამ თეორიას თავისი მხარდამჭერებიც ჰყავს. ცხადია, რომაელები მეტისმეტად ანიავებდნენ რესურსებს. ოქრო-ვერცხლის დიდი რაოდენობა იგზავნებოდა ინდოეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ფუფუნების საგნების, აბრეშუმისა და სანელებლების შესაძენად. თუ იმასაც დაეუმატებთ, რამხელა სახსრები სჭირდებოდა ღარიბთა და უმუშევართა უფასოდ გამოკვებასა და იმპერატორთა ოდიოზური ამბიციების დაკმაყოფილებას, რომლებიც სულს ხდიდნენ საშუალო ფენის მოქალაქეებს ათასგვარი გადასახადებით, გასაგები გახდება, რა მასშტაბის ფლანგვაზეა ლაპარაკი. ეს საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, ამდენად, არ არის გასაკვირი, იმპერიის ხაზინას დიდრონი ბზარები გასჩნოდა.

საპირისპირო არგუმენტებს გვთავაზობენ ამ თეორიის მოწინააღმდეგენი. კერძოდ, ქრონიკული ინფლაციის მიუხედავად, მონეტური სისტემის განვითარებამ რომს ამოტივტივების საშუალება მისცა. უკვე იმ დროს ხალხი ძვირფასი ქვებით საფასურის გადახდას ერიდებოდა და ქალაქის კუბიურებითა და ლითონის მონეტებით ახდენდა ანგარიშსწორებას. რომაული სასახლეებისა და ნასახლარების გათხრებისას აღმოჩნდა ის, რაც გიბონის დროს საიდუმლოებით იყო მოცული — რომაელთა ცხოვრების დონე საუკუნეთა განმავლობაში

ედვარდ გიბონი





*მსოფლიოს უპირველესი იმპერია სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული*

სულაც არ დაწეულა. რომს რომ მართლაც განეცადა რამე სახის ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი, ეს აშკარა ნიშნებს დატოვებდა.

გიბონისთვის მეოთხე მიზეზი, შემოსევები, გადამწყვეტი იყო, რაც საუკუნით გასაგებია. ახ.წ. V საუკუნიდან იმპერიის საზღვრების დალაშქვრას ბარბაროსთა ურდოები იწყებენ. ქალაქ რომს ორჯერ შემოარტყეს ალყა. ახ.წ. 476 წელს გერმანელმა გვირგვინოსანმა ოლაკრმა საბოლოოდ გადმოაგდო ტახტიდან იმპერატორი რომულუს ავგუსტულუსი. რომის ცივილიზაცია დასავლეთ ევროპაში დაკნინდა და კონტინენტზე ბნელი საუკუნეების ხანა დაიწყო.

ფაქტობრივად კი რომს ბარბაროსები მანამდე უტევდნენ. ჯერ კიდევ ძვ.წ. 390 წელს რომს ალყა კელტებმა შემოარტყეს. იგივე განმეორდა ძვ.წ. 116 წელსაც, როცა კიმბრების ტომებმა ჩრდილოეთის ზღვიდან რომის იმპერიის შუაგულში გადაინაცვლეს ცეცხლითა და მახვილით. ახ.წ. III საუკუნეშიც მოხდა ბარბაროსთა დიდი გადასახლება. მათ დუნაი გადალახეს და იტალიის საზღვრებს მიაღწენ,

მაგრამ ამ ტომებს დასახლების ნება ხელისუფლებამ მისცა. როგორც ვხედავთ, ამ მოვლენათა შედეგად ძველამოსილ სახელმწიფოს რამე გადამწყვეტი რყევა არ განუცდია. მას, რალატომ მიაჩნდა გიბონს ეს შემოსევები ასეთ მნიშვნელოვნად?

პასუხის ნაწილი შეგვიძლია რომის იმპერიაში ჰუნების შეჭრით ავხსნათ, რამაც საგრძნობი ძვრები გამოიწვია ბარბაროსთა ტომებით დასახლებულ საზღვრებზე. ჰუნები აზიის ტრამპლებიდან (სარმატიის აღმოსავლეთი საძოვრებიდან) დაძრული, სასტიკი მომთაბარე ტომთა გაერთიანება იყო. ჰუნები ჩინეთის იმპერატორმა გამოდევნა კონტინენტის აღმოსავლეთი ნაწილიდან. მათ ემიგრაციას შესაძლოა სხვა მიზეზებიც ჰქონოდა: სამხედრო პოსტების გადანაწილების გამო გაჩენილი პრეტენზიები, ურთიერთგაუტანლობა, კლიმატის ცვლილებები. ასეა თუ ისე, უზღვაო ურდოები აღმოსავლეთიდან დაიძრნენ და დასავლეთს მოედნენ, გზად კი შემხვედრ ხალხებს ან ანადგურებდნენ, ან იმორჩილებდნენ. ყველა გზა რომში მიდისო, ნათქვამია. ჰუ-


ნებიც, სხვა ბარბაროსთა მსგავსად, რომისკენ მიმავალ გზას დაადგენენ და იმპერიის საზღვრებში შეიჭრნენ. ამჯერად ჰუნები უკვე ატილას მიერ იყვნენ დარაზმული და საკმაოდ ორგანიზებულად მიიტანეს იერიში ძლევამოსილი იმპერიის ჯარებზე. 453 წელს, როცა იტალიას არბევდნენ, ატილა დაიღუპა. ბელადის დასატირებლად მომთაბარე ჰუნები ისევ ტრამალებისკენ გაბრუნდნენ. მათ თითქოს ხელიც კი აიღეს იმპერიის დაქუცმაცებაზე, მაგრამ ეს საქმე სხვა მოთარეშე ტომებმა განაგრძეს, რომლებიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნის სურვილით იყვნენ შეპყრობილი. მაგალითისთვის ვანდალთა ტომებიც კმარა, რომლებმაც გალიასთან დამაკავშირებელი გზები მოუჭრეს რომაელებს, თუმცა თავად პისპანია (ესპანეთი) დაიკავეს. მოკლე ხანში მეორე მოთარეშე ტომმა, ვიზიგოთების გაერთიანებამ, ისინი ევროპის კონტინენტიდან განდევნა და ჩრდილოეთ აფრიკაში გადარეკა.

კეთილი და პატიოსანიო, იტყვიან თანამედროვე ისტორიკოსები, მაგრამ ეს ამბის მხოლოდ ერთი ნაწილია, რაც საერთო ჯამში რეალური ვითარების გარკვევას ართულებს. რომი არც მთლად ასე ჩაუგდიათ ბარბაროსებს ხელში. პირიქით, ისე გამოდის, რომ ქალაქ რომის, როგორც იმპერიის დასავლეთი ტერიტორიების განსაზღვრული ნაწილი, მმართველებმა

ერთგვარად მსხვერპლად შესწირეს მომხდურთ, ანუ ისეთივე სვლა გააკეთეს, როგორც მოჭადრაკე გასწირავს ხოლმე პაიკების თუნდაც დიდ ნაწილს, ოღონდ კი თამაში მოიგოს.

ჯერ კიდევ რომის აყვავების ფაზს რომაელებმა ევროპის ტერიტორიაზე კარგად მოფიქრებული საზღვრები გააყლეს. მაგალითად, აღრიანეს კედელი ბრიტანიაში (ინგლისში) სახელმწიფოს უკიდურესი ჩრდილოეთის საზღვარს ამაგრებდა, ღუნაისპირეთსა და რაინისპირეთში კი ფორტიფიკაციების მთელი სისტემა იყო აგებული. ამგვარი სისტემით საზღვრების დაცვა იოლდებოდა, მაგრამ მოგვიანებით რამდენიმე მსხვილმა შემოსევამ და შიდა ამბოხმა რომის მმართველები დაარწმუნა, რომ სისტემა ვეღარ ამართლებდა. რომაელებმა საზღვრების დაცვის სტრატეგია შეცვალეს. მათ საზღვრებზე დაცვა შეათხელეს და ყველაზე უკეთ გაწვრთნილი ჯარები შიდა ტერიტორიებისკენ გამოიხმეს, რათა მხოლოდ თავდასხმებისას გამოეყენებინათ. ამან თავდასხმები კიდევ უფრო გააზშირა. რომაელი მხედართმთავრები იძულებული გახდნენ, იმპერიის რომელიმე კონკრეტული ნაწილი დაეცვათ, ნაწილი კი დაუცველად დაეტოვებინათ. ეს ღია მსხვერპლშეწირვას ჰგავდა. უზარმაზარი ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი და თვით დედაქალაქი რომი სწორედ ამგვარი მსხვერპლი გახდა.

დიდი ცირაკი — ყველაზე დიდი იპოდრომი ძველი რომის იმპერიაში





გოთების შემოსევა  
ახ. წ. II საუკუნის  
მიწურულს,  
რომაელი  
სკულპტორების  
თვალით

ამ გადაწყვეტილებას ალბათ უფრო მეტი რამ განაპირობებდა, ვიდრე უბრალოდ სამხედრო სტრატეგიული ლოგიკაა. კვლავ დღის წესრიგში დაისვა საკითხი, რომ სახელმწიფოს საზღვრები მეტისმეტად იყო გაზრდილი და ერთი დედაქალაქი და ერთი მონარქი ამხელა სახელმწიფოს ველარ გაუძკლავდებოდა. საკმაოდ მართლვეი გადაწყვეტილება მიიღეს. რომის იმპერია შუაზე გაიყო – აღმოსავლეთის დედაქალაქად ბიზანტიონი გამოცხადდა (მოგვიანებით კონსტანტინოპოლი, დღევანდელი სტამბოლი), ხოლო დასავლეთის დედაქალაქის სტატუსი რომმა შეინარჩუნა. ორივე დედაქალაქში თითო-თითო იმპერატორი იჯდა. უკვე IV საუკუნისთვის დასავლეთი სრულიად მიატოვეს მმართველი კლანების წარმომადგენლებმა და აღმოსავლეთით გადაინაცვლეს. რომის მნიშვნელობა და სტატუსი დაკნინდა. უკვე დასავლეთი იმპერიის დედაქალაქი კი აღარ ეთქმოდა, რადგან ტახტზე ასული იმპერატორები თავიანთი დომინიონების სამართავად სხვა იტალიურ ქალაქებს, მედიოლანუმს (მილანი) და რავენას (რავენას) ამჯობინებდნენ. როცა ოდოაკრი რომს თავისი ბარბაროსი მეომრებით შემოეწყო, ამ ამბავს იმ-

ხელა მნიშვნელობა ნამდვილად არ ჰქონია, როგორადაც დღემდე გვიხატავდნენ ისტორიკოსები. ეს უფრო სიმბოლური მნიშვნელობის მოვლენად უნდა შევასდეს.

თანამედროვე ისტორიკოსთა შეფასებით, რაც ხშირად ცხარე კამათის მიზეზი ხდება, რომის დაცემა დასავლეთ იმპერიაში მართლედენ ადმინისტრაციული ძალაუფლების გადაცემა-გადანაცვლებად უნდა მივიჩნიოთ. მემატიანეთა ვარაუდით, იმპერიაში ბარბაროსთა გამოჩენას იმხელა ძვრები ნამდვილად არ გამოუწვევია, რომ უძველესი ქალაქის ყოფისთვის ჩრდილი მიეყენებინა. ქრისტეანული რელიგია 313 წლის მილანის ედიქტით დევნა-შევიწროებისგან გათავისუფლდა და რომაულ წარმართობასთან შედარებით, ბევრად გაცდა იმპერიის საზღვრებს, ბარბაროსთა ინტენსიური შემოჭრების დაწყებამდე. თვით ოდოაკრიც ქრისტეანი მეფე იყო და 410 წელს შემოწობილი ვიზიგოთებიც ამავე აღმსარებლობისა გახლდნენ. 498 წელს ფრანკები, რომელთაც ჩრდილოეთ საფრანგეთში დაიდეს ბინა, ქრისტეანულ რჯულზე მოექცნენ.

ხალხის მასების ცხოვრების დონეც ძირე-

ულად არ შეცვლილა ახალი რელიგიის მიღების გამო. ყველაზე მეტად თუ ვინმეს გაუჭირდა იმხანად, ეს რომის მმართველი ფენების წარმომადგენლები იყვნენ. ვინც შშობლიურ დასავლეთში დარჩა, ახალმა ბარბაროსმა მმართველებმა განდევნეს და ქონება წართვეს, ანდა თავიანთ დაქვემდებარებაში მოაქციეს. ვინც ახალ ვითარებასთან შეგუება ვერ შეძლო, აღმოსავლეთს შეაფარა თავი..

თანამედროვე ისტორიკოსები იმის ამოსახსნელად იღვწიან, რომ რომის დაცემის მიზეზები კი არ ეძებონ, პირიქით, ის გამოიკვლიონ, როგორ მოახერხა ქალაქმა საერთოდ გადარჩენა და მით უმეტეს, პირვანდელი სახის შენარჩუნება. დაცემული იმპერია საფუძველი გახდა შუა საუკუნეების ქრისტიანული ქვეყნებისა და თანამედროვე ევროპის სახის ჩამოყალიბების. ენის, კანონების, რელიგიისა და სხვა მრავალ მიღწევათა მხრზე რომი გადარჩა. რომაელთა ღვაწლი და მემკვიდრეობა უკვალოდ არ გამქრალა, ის თანამედროვე დასავლური მსოფლიოს საწყისად და ფორმის მიმცემად იქცა.

*National Geographic-ის გამოცემა „ისტორიის საიდუმლოებანის“ მიხედვით მოაშზადა ლევან ინასარიძემ*



*476 წელს, დასავლეთი რომის იმპერატორი რომულუს ავგუსტულუსის ჩამოვდების შემდეგ, ოდოაკრი იტალიის პირველი ბარბაროსი მეფე გახდა*



*რომის ფორუმი დღეს*



# ინდოევროპული ენა ანატოლიაში ნახმოიქმნა?



ლინგვისტთა ჯგუფი ახალი ზელანდიიდან მიიჩნევს, რომ ინდოევროპული ენა 9 ათასი წლის წინ ანატოლიაში წარმოიქმნა, პროვინციაში, რომელიც ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია. პროტოინდოევროპული ენის წარმოშობაზე დაუა ამ დრომდე მიმდინარეობს, თუმცა ყველაზე გავრცელებულია თეორია, რომ იგი 5 ათასი წლის წინ კასპიისპირა სტეპებში ჩამოყალიბდა.

ახალზელანდიელი ფილოლოგები სტატი-  
აში, რომელიც ჟურნალ „საიენსში“ გამოაქ-  
ვეყენეს, ფილოლოგიური ანალიზის მათ მიერ  
გამოყენებულ მეთოდზე წერენ. ჩვეულებრივ, ამ  
მეთოდს ვირუსული ეპიდემიის შესწავლისას  
იყენებენ.

ანატოლიის ჰიპოთეზა, რომელიც პირვე-  
ლად 1980-იან წლებში ბრიტანელი ლინგვის-  
ტის, კოლინ რენფრთის მიერ გახშირდა, უკვე  
კარგა ხანია ლინგვისტებში დავის საგანია. მა-  
თი უმრავლესობა კასპიის სტეპების ვერსიას  
ემხრობა. ფილოგენეტიკური ანალიზის მეთოდ-  
ი, თავდაპირველად, სხვადასხვა ორგანიზმს  
შორის გენეტიკური კოდის დნმ-ის თანამეო-  
ბობის შეფასებისთვის შემუშავდა. ლინგვის-  
ტებმა გამოიყენეს დნმ-ის ანალიზის მეთოდი,  
რომელიც ვირუსოლოგიაში გამოიყენება.

მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილის მო-  
საზრებით, შიმპანზესა და ადამიანს საერთო  
წინაპარი ჰყავთ და მათი დნმ-ი 98%-ით ერ-  
თმანეთს ემთხვევა. ენები, დნმ-ის მსგავსად,  
თაობიდან თაობას გადაეცემა და გამუდმებით  
განიცდის ევოლუციას.

დოქტორმა კვენტინ ატკინსონმა და ახა-  
ლი ზელანდიის აუკლენდის უნივერსიტეტის  
მკვლევართა ჯგუფმა, რომელსაც ის ზელ-  
მძღვანელობს, შეადარეს ინდოევროპულ ენებ-  
ში ათასობით სიტყვა. ფილოგენეტიკურ პრინ-  
ციპებზე მათ მიერ აგებულმა მოდელმა, რო-  
მელიც 103 ინდოევროპული ენის, მათ შორის  
20, მკვდარი ლათინურისა და ძველბერძნულის

207 კონცეპტუალური სიტყვის ანალიზის სა-  
ფუძველზე შეიქმნა, ნათლად აჩვენა, რომ ანა-  
ტოლიის ჰიპოთეზა საფუძვლიანია.

რედინგის უნივერსიტეტის პროფესორი  
მარკ ჰეიგლი ინდოევროპულ ენათა ოჯახის  
უფრო ადრეულ ფილოგენეტიკურ კვლევებშიც  
მონაწილეობდა.

„ეს სტატია დამაჯერებლად ადასტურებს,  
რომ პროტოინდოევროპული ენა 8,5-9 ათასი  
წლის წინ ანატოლიის რაიონში იშვა და იქი-  
დან გავრცელდა“, — აღნიშნავს მარკ ჰეიგლი.  
ანალიზში მკვდარი ენების ჩართვის კომენ-  
ტირებისას ბრიტანელი მკვლევარი ამბობს,  
რომ ეს, მიღებული დასკვნების საიმედოობას  
კიდევ უფრო ამყარებს.

კონცეპტუალური სიტყვები ენათა ჯგუფის  
ისტორიულ შემკვიდრებას წარმოადგენენ.  
ამის მიუხედავად, ახალზელანდიელი მკვლევ-  
რების ჰიპოთეზას ყველა არ იზიარებს. ჰელ-  
სინკის უნივერსიტეტის პროფესორი პეტრი  
კალიო მიუთითებს, რომ ზოგიერთი კონცეპ-  
ტუალური სიტყვა, მაგალითად, ბორბალი,  
სხვადასხვა ენაში გვხვდება.

ფინელი ფილოლოგი მიიჩნევს, რომ ინდო-  
ევროპულმა პროტოენამ ფრაგმენტაცია ბორ-  
ბლის გამოგონების შემდეგ, 5 ათასი წლის წინ  
განიცადა. ის, ასევე სკვპტიკურად არის გან-  
წყობილი ენების კვლევისას ფილოგენეტიკუ-  
რი მეთოდის გამოყენებისადმი.

მომზადებულია BBC-ის და Science-ის  
მასალების მიხედვით

# დიქტატორების ფეხბურთი



მუსოლინი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იტალიის ნაკრები, 1938 წ.

## სუპერმფარველების კლუბები და სუპერკლუბები

*„თქვენი წარმატება ჩემს პოზიციებსაც ამყარებს!“ — თავის დროზე ამ სიტყვებით თავის ფეხბურთელებს უგანდის პრეზიდენტმა და დიქტატორმა იდი ამინმა (1971-1979) მიმართა, რომელმაც ფეხბურთის თავგადაკლულ ქომაგადაც დაიძვეიდა სახელი. ასეთი პერსონები არაერთი ქვეყნის ისტორიაში ყოფილან. ისინი საკუთარ თავს „დუჩეს“, „ბელადს“, „ფიურერს“ თუ „კაუდილიოს“ უწოდებდნენ და ქადაგებდნენ ფაშიზმს, სოციალიზმს, არგენტინულ ხუსტიისალიზმს, კორპორატივიზმსა თუ ჩრდილოეთკორეულ ჩუჩხეს... მათი ემინოდათ და თავიანთ სცემდნენ, ისინი სძულდათ და უყვარდათ, მათ მტრობდნენ და თავს სწირავდნენ. დემოკრატები მათ დიქტატორებად მოიხსენიებენ, „ძლიერი ხელის“ მომხრეები კი ეროვნულ გმირებად. ასეა თუ ისე, ფაქტია, მათ უდიდესი კვალი დატოვეს არა მარტო თავიანთი ქვეყნის, არამედ ფეხბურთის ისტორიაშიც.*

### ფეხბურთი და გაცარი ხელი

ფეხბურთში ეროვნული პირველობები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იმართებოდა, თუმცა მრავალ ქვეყანას დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონია ერთიანი ჩემპიონატი და სწორედ ნაციონალურ ლიდერთა მეოხებით დაიწყო მისი გამართვა.

ამ სფეროში დიქტატორთა შორის პიონერი ფაშიზმის „მამა“, იტალიელი ლიდერი ბენიტო მუსოლინი იყო, რომელიც ქვეყანას სათავეში 1922-1943 წლებში ედგა. „დუჩეს“ მრავალი

მინუსის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ მან აქცია იტალია უდიდეს საფეხბურთო „მონსტრად“. ის ზომ შეპყრობილი იყო იდეით, რომლის თანახმად, იტალიელები სხვებზე უკეთესი იყვნენ ყველა სფეროში, მათ შორის, სპორტშიც...

ბენიტომ ყურადღების მიღმა არც ფეხბურთი დატოვა. მისი მმართველობის პერიოდში მრავალრიცხოვანი რეგიონული ლიგების ნაცვლად შეიქმნა პირველი ნაციონალური ჩემპიონატი Divisione Nazionale, რომელიც 1926-

27 წლების სეზონიდან იმართებოდა. 1928-29 წლების სეზონიდან კი ერთიანი ჩემპიონატის 32 გუნდი დაყვეს ორ დივიზიონად: სერია **A**-დ და სერია **B**-დ.

იმდროინდელ იტალიურ ფეხბურთს, ისევე როგორც ქვეყნის დანარჩენ სფეროებს, პარტია და მმართველი ძალა განაგებდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციაშიც და კლუბებშიც ხელმძღვანელი თანამდებობები მხოლოდ ფაშისტური პარტიის წევრებს ეკავათ, რომლებსაც ყველა საკამათო საკითხში საბოლოო სიტყვა ეთქმოდათ.

რაც შეეხება მუსოლინის, იტალიურ ფეხბურთში უშუალოდ მისი ბრძანებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, დაკანონდა ფეხბურთელთა პროფესიონალური სტატუსი და დაიშვა ტრანსფერები; გამოიცა მრავალი სპორტული გაზეთი (მათ შორის, ცნობილი „გაძეტა დელო სპორტი“). ამასთან, იტალიური ფეხბურთი გაიწმინდა უცხოური ტერმინებისგან (საფეხბურთო კლუბი გახდა ასოციაციონე, რეფერი — არბიტრო და სხვ.), ფეხბურთს კი საბოლოოდ კაღწო დაერქვა.

ხელისუფლების ნაციონალისტური პოლიტიკის გავლენით, თავდაპირველად ლეგიონერებზე ლიმიტი დაწესდა, შემდეგ კი საერთოდ აიკრძალა კლუბებში მათი მიწვევა. ამან, თავის მხრივ, იტალიაში საფეხბურთო სკოლების განვითარებას შეუწყო ხელი.

იტალიურ ფეხბურთზე სახელმწიფოს განსაკუთრებულმა ყურადღებამ შედეგი გამოიღო. უკვე 1930-იანი წლების დასაწყისში სტადიონები პირთამდე ივსებოდა, ქვეყნის ეროვ-

ნული ნაკრები კი, ვისთვის დამსახურებულად, ვისთვის დაუშმსახურებლად, მსოფლიოში საუკეთესოთა შორის დამკვიდრდა.

პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ ფეხბურთი სხვა დიქტატორთა ხელშიც ექცეოდა. იტალიელებს მიჰბაძა ადოლფ ჰიტლერმა. გერმანულ კლუბებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ, ხოლო გუნდებში არაარაიული რასის ფეხბურთელებს არ აჭაჭანებდნენ. თუმცა, 1938 წელს, ავსტრიის ანშლუსის (გერმანიასთან მიერთების) შემდეგ, რჩეულმა ავსტრიელმა ფეხბურთელებმა არაერთი გერმანული გუნდის მაისური მოირგეს, ხოლო ვენის „რაპიდი“ 1941 წელს სულაც გერმანიის ჩემპიონი გახდა.

განსხვავებული ვითარება იყო ესპანეთში, სადაც დიქტატორმა ფრანსისკო ფრანკომ (ქვეყნის მეთაური 1939-1975 წლებში) სეპარატიზმთან ბრძოლის მიზნით, საფეხბურთო კლუბებს არაეესპანურენოვანი სახელწოდებებისა და სიმბოლიკის გამოყენება აუკრძალა. მისი ძალისხმევით, „ბარსელონის“ გერბიდან გაქრა კატალონიის დროშა, ხოლო „ატლეტიკო კლავ დე მადრიდ“ გახდა „ატლეტიკო ავიასიონ დე მადრიდ“.

იმავდროულად, ფრანკო ფეხბურთელთა ნატურალიზაციის წინააღმდეგი არ ყოფილა. მან წარმოშობით არგენტინელ დი სტეფანოსთან, პარაგვაელ მარტინესსა და ურუგვაელ სანტამარიასთან ერთად, „გააესპანელა“ ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელი ფერენც პუშკაში, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონია ესპანურ კულტურასთან.

*გელზენკირხენის „შალკეს“ ქომაგმა ადოლფ ჰიტლერმა გუნდის ფეხბურთელი ფრიც შეპანი საფეიქრო ფაბრიკით დაასაჩუქრა*



სხვათა შორის, ასევე მოიქცა ინტერნაციონალიზმის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგი პორტუგალიის დიქტატორი ანტონიუ დი სალასარი (მმართველობის პერიოდი 1932-1968 წლები), რომელმაც გამონაკლისი ფეხბურთში მაინც დაუშვა – მან უნგრელ ებრაელ ბელა გუტმანს ნება დართო, 1960 წელს ლეგენდარული „ბენფიკას“ გუნდი ჩამოეყალიბებინა, სადაც წამყვანი მოთამაშეები აფრიკული კოლონიის წარმომადგენლები იყვნენ: მეკარე კოშტა, თავდამსხმელები ჟოზე აგაუში და ეუსებო, ნახევარმცველები ჟოაკიმ სანტანა და მარიო კოლუნა.

დიქტატორთა პოლიტიკა ფეხბურთისადმი საკმაოდ პრაგმატული იყო. იმდენად, რომ ისინი შედეგის მისაღწევად მზად იყვნენ, მათივე შექმნილი ნაციონალური შეზღუდვებისთვისაც კი გადაეხდებინათ.

### ჩემპიონობა ხელდასხმით

ზოგიერთი დიქტატორი არა უბრალოდ ფეხბურთის მოყვარული, თავგადაკლული ქომაგიც იყო, რაც მათ საყვარელი კლუბების შედეგებზეც აისახებოდა.

რას აღარ მიმართავდნენ ხელისუფალნი: დაწყებული მეტოქე გუნდისთვის გამორჩეული ფეხბურთელთა „წართმევით“, მსაჯების დაშინებით დასრულებული. არცთუ იშვიათად, დიქტატორთა მმართველობის პერიოდს შიდა ასპარეზზე ამა თუ იმ გუნდის ზეობის ხანა „საექვოდ“ ემთხვეოდა.

მაგალითად, იმავე ბენიტო მუსოლინის სტადიონზე ხშირად ხედავდნენ რიგითი ტიფოზის მაისურში გამოწყობილს. მისი საყვარელი კლუბი რომის „ლაციო“ იყო. თუმც კი იმხანად ქვეყნის ჩემპიონატში წამყვანი გუნდები, არა „არწივები“ (ლაციოელთა მეტსახელი), არამედ „იუვენტუსი“, „ტორინო“ და „ჯენოა“ იყვნენ.

საერთოდ, „დუჩე“ რომში უმაღლესი კლასის კლუბის ჩამოყალიბებაზე ოცნებობდა, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. ამ მიზნით მონდომა დედაქალაქის რამდენიმე გუნდის გაერთიანება, მაგრამ „ლაციოს“ ხელმძღვანელობა მას არ დაემორჩილა. საბოლოოდ, სხვა რომაული გუნდები: „ალბა“, „ფორტიტულო“ და „რომანო“ გაერთიანდნენ ერთ კლუბად, რომელსაც „რომა“ ეწოდა.

ბედის ირონიით, მუსოლინიმ თვითონვე ჩაუყარა საფუძველი მისი საყვარელი გუნდის უმთავრესი მოსისხლე მტრის — „რომას“ და-



ესპანეთის დიქტატორი ფრანკო



ალფრედო დი სტეფანო მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში



ვაესპანელელებული ფერანც პუშკაში, დიდი უნგრელი ფეხბურთელი



ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი, ფეხბურთის მფარველები

არსებას, „ლაციო“ კი იმ პერიოდში მაინც ვერ გახდა ჩემპიონი.

სულ სხვა ვითარება იყო ნაცისტურ გერმანიაში. ადოლფ ჰიტლერი გელზენკირხენის „შალკეს“ ქომაგობდა იმდენად, რომ 1939 წელს, ამ გუნდში სათაყვანებელ ფეხბურთელ ფრიც შებანს საფეიქრო ფაბრიკაც კი აჩუქა, რომელიც თავის დროზე ებრაული სათვისტომოს წარმომადგენელს ჩამოართვა.

ჰიტლერის მმართველობის პერიოდში „შალკე“ ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და მწელია, არ დაჰკვდევ ამ წარმატებული სერიის სამართლიანობაში, მით უმეტეს, რომ მას შემდეგ გელზენკირხენულმა კლუბმა მხოლოდ ერთხელ მოიგო ქვეყნის პირველობა...

„თავის გუნდებს“ წყალობას არ აკლებდა ფრანსისკო ფრანკიც. მაგალითად, 1939 წელს ესპანეთის თასის ფინალში, პირველად და უკანასკნელად, „კაუდილიოს“ მშობლიური ქალაქის, ელ-ფეროლის გუნდი „რასინგი“ გავიდა, ოღონდაც იქ „სევილიასთან“ ვერას გახდა.

როცა ფრანკო მიხვდა, რომ მისი ხელი-სუფლებიდან იპოვიდა განწყობილი კატალონიის გუნდებს „რასინგი“ ტოლ-სწორად ვერ ეპაექრებოდა, მხარში შედარებით ძლიერ, დედაქალაქურ კლუბებს ამოუდგა. თავდაპირველად დიქტატორის ფავორიტი მადრიდის „ატლეტიკო ავიასიონი“ იყო, რომელმაც 1939-40 წლების სეზონში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. არადა, გათამაშებას დიდი ხნის განმელობაში ბარსელონას „ესპანიოლი“ ლიდე-

იტალიური ფეხბურთის წარმატება XX საუკუნის I ნახევარში დიდწილად მუსოლინის პოლიტიკამ განაპირობა



რობდა, მაგრამ გადამწყვეტი მატჩების წინ „მოულოდნელად“ ავტოკატასტროფაში დაშავდნენ და... საბოლოოდ ჩემპიონატი მქვუთუ პოზიციაზე დაასრულეს.

რაც შეეხება დიქტატორის რჩეულ „ატლეთტიკოს“, კლუბი ქვეყნის სამხედრო უწყებიდან დიდ ინვესტიციებს იღებდა, ფრანკოს მმართველობის პერიოდში კი ქვეყნის ჩემპიონის რვა ტიტულს, ხუთ თასსა და ორ საერთაშორისო ჯილდოს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ გუნდმა მხოლოდ ერთხელ შეძლო ესპანეთის პირველობის მოგება.

ფრანკო მადრიდის „რეალსაც“ ქომაგობდა, განსაკუთრებით 1950-იანი წლების გუნდს. სხვათა შორის, მან არ დაანება საძულველ „ბარსელონას“ ფეხბურთის არგენტინელი კამკაშა ვარსკვლავი ალფრედო დი სტეფანო და შედეგად იგი „სამეფო კლუბში“ ჩაირიცხა.

მანამდე კი დი სტეფანომ კიდევ ერთი დიქტატორის, არგენტინის პრეზიდენტის ხუან პერონის (ქვეყნის პირველი პირი 1945-55 და 1973-74 წლებში) ჩემპიონატში მოასწრო თამაში. სწორედ მისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისას ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო ფეხბურთში ცნობილ საკლუბო დაპირისპირებას არგენტინულ კლუბებს, „რივერ პლეიტსა“ და „ბოკა ხუნიორს“ შორის.

თუმცა პერონი არც ერთს ქომაგობდა და არც მეროეს. იგი სულ სხვა გუნდის, აბელიანედას „რასინგის“ გულშემოტიკი იყო, რომელსაც სტადიონიც კი აუშენა... და ალბათ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ გუნდმა 1949-51 წლებში ზედიზედ სამი საჩემპიონო ტიტული დაისაკუთრა.

„რასინგი“ და „ბოკა ხუნიორსი“ ერთად ექიმპეობდნენ დი სტეფანოს „რივერ პლეიტს“,



*პორტუგალიის დიქტატორმა ანტონიუ დი სალაზარმა, რომელიც ინტერნაციონალიზმის ნებისმიერ გამოვლინებას ებრძოდა, ფეხბურთში გამონაკლისი დაუშვა*

რომელიც იმხანად ყველასა და ყველაფერს ბღღვნიდა. შესაბამისად, „ბოკას“ გულშემოტიკი იყვნენ, რომლებიც პერონის რეჟიმთან ასოცირდებოდნენ, ტრიბუნებზე ომახიანად მღეროდნენ ხოლმე: Boca, Peron Un Solo Corazon (ბოკა და პერონი — ერთი გულია).

დიქტატორის სახელს მსოფლიოში კიდევ ერთი განთქმული საფეხბურთო დაპირისპირების წარმოშობა უკავშირდება. ლაპარაკია ბელგრადული კლუბების, „პარტიზანისა“ და „ცრვენა ზვეზდას“ მეტოქეობაზე.

*ფრანკოს ანტისეპარატიისტულ პოლიტიკას „ბარსელონას“ ემბლემიდან კატალონიის დროშის გაქრობა მოჰყვა*





იუგოსლავიის ლიდერი იოსიპ ბროზ ტიტო ბელგრადის „პარტიზანის“ დიდი ქომაგი იყო



იოსებ სტალინის ვაჟს, ვასილს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობისთვის მებრძოლი ზეგუნდის შექმნა არ დასცალდა

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატი დაარსდა და ეს გუნდებიც სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა, რაც იოსიპ ბროზ ტიტოს დამსახურებაა, რომელიც სახელმწიფოს 1945-1980 წლებში მართავდა.

თავის დროზე ანტიფაშისტური პარტიზანული მოძრაობის ლიდერი ტიტო „პარტიზანს“ განსაკუთრებულად ქომაგობდა და არც ეს უკანასკნელი უცრუებდა „პატრონს“ იმედებს. 1966 წელს ამ გუნდს სულაც შეეძლო გამხდარიყო ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი პირველი აღმოსავლეთეუროპული გუნდი, მაგრამ ფინალურ მატჩში მადრიდის „რეალთან“ ვერას გახდა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ტიტოს ხელისუფლება სპორტის ნომერ პირველი სახეობის განვითარებაზე არა მხოლოდ სერბეთსა და ხორვატიაში, არამედ სხვა, მანამდე არასაფეხბურთო რეგიონებში — სლოვენიაში, ბოსნიასა და მაკედონიაშიც ზრუნავდა.

### ვასილ სტალინის საფეხბურთო ოცნება

ფეხბურთისადმი გამორჩეული სიყვარულით არა მხოლოდ ცნობილი მმართველები, მათი შვილებიც გამოირჩეოდნენ. რა თქმა უნდა, აქ სტალინის ვაჟი ვასილი უნდა ვახსენოთ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ვასილი მოსკოვის ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურად დაინიშნა. მისი მოწადინებით შეიქმნა საფეხბურთო, საკალათბურთო და პოკეის გუნდები, რომლებსაც ერთნაირი სახელწოდება BBC-ი დაერქვათ.

სტალინი-უმცროსი საბჭოთა კავშირის ჩემპიონობისთვის მებრძოლი უმაღლესი კლასის გუნდის შექმნას ეშურებოდა და შესაბამისად, განსაკუთრებით ზრუნავდა მოთამაშეებზე, რომლებიც, როგორც ამბობენ, რიგითი საბჭოთა ადამიანისთვის საოცნებო პირობებში ცხოვრობდნენ.

მაგრამ ზღაპარი დიდხანს არ გაგრძელდებულა. აღმოჩნდა, რომ კლუბის შენახვა სახელმწიფოს წელიწადში 5 მლნ რუბლზე მეტი უჯდებოდა და 1953 წელს, როცა სტალინი გარდაიცვალა, ბელადის ვაჟის ოცნების დაფინანსება საბჭოთა კავშირმა აღარ მოინდომა. კლუბი სულ რაღაც ორი თვის თავზე დაიშალა.

გილა უზარიაძე

# თემო ჯაფარიძე:

## ...ამდენი სარუჟანარი მომცა ღმერთმა



თემო ჯაფარიძე

*სექტემბრის ბოლოს, როცა ჩვენი ქალაქი საარჩევნო ციებ-ცხელებით იყო მოცული, მხატვარი და მოაზროვნე თემო ჯაფარიძე გარდაიცვალა... სათანადოდ ცოტამ თუ გამოხატა პატივისცემა და სიყვარული შემოქმედისადმი, რომელიც თავისი ცხოვრებით ეპოქის ყველა ნიშანს ატარებდა. არა იმიტომ, რომ არ უყვარდათ... უფრო არეული დროის გამო... ერთი წლის წინ საკუთარ ცხოვრებაზე ვალაპარაკე... გამიბრუნდა კიდევ, სულ არ არის ჩემი ზასიათი, რომ ასეთ ყოფით ამბებზე ვილაპარაკო... ვიცი, თვითონ რომ დაქწერა, რაც გადახდა, ეს იქნებოდა ცხოვრება ფიქრში, ანუ შეშეცნებაში და არა ყოფით ამბებში... მე ათას კითხვას ვუსვამდი... ძალაუვნებურად მპასუხობდა, იქნებ იმიტომ, რომ მასპინძელი იყო და უხეშად ვერ მომიჭრიდა სიტყვას... ახლა, როცა ზეციურ საქართველოშია, მინდა კიდევ ერთხელ ფრაგმენტებად გაცოცხლდნენ ამბები მისი ცხოვრებიდან.*

მესსიერებიდან არ ამომდის ჩვენი სახლი ჩელუსკინელებზე, მისი ბალი. დიდი სუროიანი კედელი და ხეხილი ამ ბაღში. მთელი ჩემი ბავშვობა იქ გაატარე.

მასსოვს დედაჩემი და მამაჩემი... ჩემი დების ბავშვობა — ერთი და 9 წლით უმცროსი მყავს, მეორე — 3 წლით... ის სახლი, სადაც ერთად ვიზრდებოდით.

იქვე, მე-12 სკოლაში ვსწავლობდი ერთხანს...

13 წლის ვიქნებოდი, როცა ჩელუსკინელების ქუჩა უნდა გაფართოებულიყო. სახლები დაანგრეეს. ახლა ჩვენი სახლისა და ეზოს ადგილას მანქანები დადიან... იმ ადგილს რომ ვნახულობ, რალაცნაირ სითბოს მახსენებს.

ჩვენ გადავედით ვერის უბანში — ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას ქუჩაზე. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ეს გადასვლა... ჩემი პიროვნებად ჩამოყალიბებაც აქ მოხდა.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას ქუჩაზე ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი გახდნენ ჩემთვის. ანზორ სალუქვაძე ჩვენი კარის მეზობელი იყო. რატომღაც განსაკუთრებულად მექცეოდა. ლექსებსაც კი მიკითხავდა პატარა ბიჭს. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. ანზორთან ბევრი კარგი ადამიანი მოდიოდა, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მათი მოსმენა.

ქუჩის მეორე ბოლოს ცხოვრობდა ზურა კიკნაძე, მაგრამ მასთან მეგობრობა უფრო



გვიან დაიწყო. ვერის ბაღში დაუახლოვდი...

ვერის ბაღი არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ჩემი წარსულისა...

აქ იყო მგონი ერთადერთი ანტისაბჭოთა კლუბი მთელ საბჭოთა კავშირში. ხრუშჩოვის პერიოდს დათბობის პერიოდს ეძახიან იმის გამო, რომ სტალინის გაკრიტიკება დაიწყო... ჩვენ ვერის ბაღში მანამდეც ვახერხებდით პოლიტიკური ანეკდოტების მოყოლას... ხრუშჩოვის პერიოდში ანეკდოტების მოყოლა გაცილებით თავისუფლად შეიძლებოდა. თუ ჩაგვლებდნენ, ამისთვის არ დაგაპატიმრებდნენ. ფართო მასშტაბით აღარ სჯიდნენ. ეს სითამამეს განაპირობებდა.

ახლაც ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, ყველა თაობა იბადება როგორც მართალი თაობა, აქვს სიმართლის მოთხოვნილება. სტალინის დროს იმდენ ტყუილს ვხედავდით, ატანა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ ოცნებაც კი ამ ტყუილიდან თავის დაღწევაზე შეუძლებელი იყო.

*ქალიშვილთან ერთად*



ვერის ბაღში ვიკრიბებოდი: ზურა კიკნაძე, შოთა ჩანტლაძე, ანზორ სალუქვაძე, ირაკლი რამიშვილი, ბესიკ ადგიშვილი, ლევან მაღაზონია. იმავე პერიოდში (50-იანი წლები) ვმეგობრობდი ვაჟა გიგაშვილთან, ბაჩანა ბრეგვაძესთან, თამაზ ოქრუაშვილთან, გურამ გვეგშიძესთან...

ვლაპარაკობდით ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, კულტურაზე, ირაკლი რამიშვილისგან პირველად ვისმენდით თუოსოფიაზე საუბარს. ქალაქში ის ერთადერთი იყო, ვინც ამ თემის კვლევას მისდევდა. ამ საუბრების ფონზე მით უმეტეს დასანანი იყო ჩვენი მდგომარეობა, რომ გამოძევდელი ვიყავით ტოტალურ სახელმწიფოში და აზრზე არ ვიყავით, მსოფლიოში რა ხდებოდა.

სკოლაში კარგად არ ვსწავლობდი, ზარმაცი ვიყავი. თამაში მიყვარდა ძალიან. ჩხუბი თუ იყო, ვჩხუბობდი, და რამეს თუ ვამაყვებდი? — ძალიან ადრეული ასაკიდან ვსვამდი... ვერის უბანში, ვერის ბაზრის გვერდით იყო ლუდის ბარი, იქ იყრიდნენ თავს შოთა დედაბრძიშვილი, ავთო ვარაზი, ნიაზ დიასამიძე... ნიაზიც ჩემი მეზობელი იყო. ვმეგობრობდით. როგორც ანზორმა, ნიაზმაც ამომიჩხია რატომღაც. მერე გაუჭირეს საქმე, რატომ ღუპავ ამ ბიჭს, რატომ ალოთებო და შემეშვა...

მართლა თუ გავლოთდებოდი? აკი გავლოთდი კიდევც... ახლა არ მეტყობა ლოთობა და ფსიქოლოგიაც სხვანაირი მაქვს? — ამას მეც არ ვეძახი ლოთობას, როცა საინტერესო ადამიანები იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ, თან სვამდნენ... თანაც მუშაობა მიყვარდა, როცა ვშრომობდი, არ ვსვამდი და არც არავინ სვამს მაგ დროს.

ეტყობა, ჩემმა შრომამ განსაზღვრა კიდევც, რომ სრულიად არ გადავეშვი ლოთობაში.

სკოლა რომ დავამთავრე, „გეპეში“ ჩავაბარე მისაღები გამოცდები, ფიზიკა ვიცოდი კარგად, ზუთიანი მივიღე, მათემატიკაში ჩავიჭერი. მერე გადავწყვიტე, მოდი, საერთოდ არსადაც არ ჩავაბარებ გამოცდებს-მეთქი. არ გინდოდა პარტიისტორიის სწავლა და ათასი სისულელის მოსმენა?! დედა და მამა აღელდნენ... ძალიან უნდოდათ, მესწავლა. ბოლოს გადავწყვიტე, უცხო ენა შემესწავლა კარგად. ალბათ იმიტომ, რომ მეტი ინფორმაცია მიმელო. უნივერსიტეტში, ინგლისური ენის ფაკულტეტზე ჩავაბარე...

ამ პერიოდში გავიცანი გურამ რჩეულიშვილი და დაემეგობრდით. გურამი ჩემი უახ-



ლადო  
გუდიაშვილი  
და თემო  
ჯაფარიძე

ლოესი მეგობარი იყო — ძლიერი სულისა და სხეულის და თან უფაქიხესი ადამიანი. ისეთი სიყვარული, გურამისგან რომ მივიღე, არავისგან მიმიღია. საოცრად მოსიყვარულე იყო. ზოგჯერ თუ ვიჩხუბებდით, არ მწყინდა...

დღე არ გავიდოდა, არ ვენახე, თუ არ შევხვდებოდი, მაკითხავდა...

ერთ ამბავს გავიხსენებ: იმ დღეს დილით ჩამოვიდა დეიდაჩემი, ჩამოიტანა რაღაც სანოუგაგე. მე გარეთ გავედი. გაცვდი მთავრობის სახლს, მაშინდელ კავშირგაბმულობის სახლთან დავინახე, გურამი მოდიოდა თოფით ხელში, თან აღელვებული იყო გიჟივით, ქშინავდა... მაგარი ნასვამია, რაღაც უნდა ჩაიღინოს. ვიგრძენი მთელი საფრთხე. გავყევი უკან, თან ვეხვეწებოდი, თოფი მომეცი-მეთქი. არ მომცა. ის კი მითხრა, არ გავისვრიო...

ძალიან საშიში იყო, გვერდით მთავრობის სახლია, არავის აპატიებს მთავრობა ასეთ მოქმედებას... ვეხვეწები გურამს, რას შერები, მოიტა თოფი-მეთქი... არ მაძღვეს. ამასობაში ნელ-ნელა გაცვდით მთავრობის სახლს და გავედით ხეივანში. უცებ ისროლა პაერში!! არ იყო უბრალო დანაშაული, როგორც ამბობდნენ, პარტიის წინაშე, თავისი მნიშვნელობით. გაგარძქვლეთ გზა. გაკვირვებულმა აღმოვაჩინე, რომ არავინ ჩანს. ხეივანი მშვიდად გავიარეთ, ტროლეიბუსების გაჩერებაზე უცებ 50 კაცი შემოგვერტყა გარს. წაართვეს იარაღი და განყოფილებაში წაიყვანეს... მე არ მეუბნებიან არაფერს. მივდევ უკან. ძნელაძეზე იყო მიიციცია. ჩაიყვანეს. კარგა ხანს ვიჯექი იქ. ვე-

კითხებოდი მილიციელებს, ახლა რა იქნება, რას უზამენ-მეთქი... ჯობია, შენ სახლში წახვიდეო, — მპასუხობდნენ. ამ დროს... 20 წლის ვარ, ის 23 წლისაა. ბოლოს მითხრეს, გურამი აქ იქნება ხვალამდე, საკანშიო. სხვა არაფერი შეიცვლებაო.

წავედი გურამის სახლში, მამამისთან. ვუთხარი, ასეა-მეთქი. აღელდა... მერე წამოვედი ჩემს სახლში, დეიდის ჩამოტანილი მოსაკითხი პატარა ჩემოდანში ჩავაწყვე, პატარა ბოთლით არაყიც ჩავდე. ვიფიქრე, ნაბახუსევს დასჭირდება-მეთქი. ჩავედი ისევ მილიციაში. გამომართვეს ეს ჩემოდანი. ცხადია, არაყი ამოიღეს, დანარჩენი გადასცეს გურამს. მერე, როცა გამოუშვეს, მეუბნებოდა, იმ დღეს „ხოშიანად ვითოხლავყო“.

ზღვაზე ერთად თუ ვყოფილვართ? ვიყავით! ბათუმში ის გოგო იყო, რომელიც გურამს მოსწონდა და მის სანახავად წავედით. მე თუ მიყვარდა ვინმე? მომწონდა ვიღაც... აბა, ამ ასაკში ყველას ვიღაც მოსწონს.

მახსოვს, დიდი დღევა იყო ზღვაზე, ალბათ ისეთი, როგორიც მერე გავრამი დახვდა, სადაც დაიღუპა... მძიმე სანახავია დღევა, ლამაზიც არის. მაშინ ასეთი რამ მოხდა: ტიპია შესული ზღვაში ნაპირთან ახლოს, ვერ გამოდის. ნაპირზე ხალხია შეკრებილი, თოკს უგდებენ, ის ვერ იჭერს და ვერც გამოდის... გურამი გადახტა მისაშველელად. ხელი მაგრად ჩასჭიდა კისერში და გამოიყვანა. რომ გადარჩა, ამ კაცმა გურამს დაუწყო ჩხუბი, ეს ვინ არის, ისე ჩამეჭიდა, მახრჩობდა! გურამი ხითხითებდა...

როცა სხვაგან იყო გურამი, მწერდა წერილებს, მეც ვპასუხობდი... მერე უკან მომთხოვა ის წერილები... ჩემი ორი წერილია შეტანილი გურამ რჩეულიშვილის VI ტომში.

წარმოუდგენელი იყო გურამის სიკვდილი, სიცოცხლით აღსავსე, ენერგიული ბიჭის... ხიფათის მაძიებელი იყო, მაგრამ ყველა ხიფათიდან გამოდიოდა საღ-სალამათი. ხმა რომ მოვიდა, გურამი დაიხრჩო, შევცბით. იმ საღამოსვე წვედით საძებრად მეგობრები, ვინც კი შევძელით. რამდენიმე დღე ვიარეთ სანაპიროზე. მერე თავისით გამოირიყა ზღვამ კურორტ განთიადთან.

ზღვას დაესახიჩრებინა, მაგრამ მაინც ძნელი არ იყო ცნობა. ახლაც თვალწინ მაქვს ის სურათი, მისი ფეხსაცმელი, მეზღვაურის მაისური... მეც მეცვა ეგ მაისური...

ცხედარს მოვლა სჭირდებოდა. ბიძამისი ექიმში იყო, ამ საქმეს ის ხელმძღვანელობდა. ვინმე ხომ არ დაძვინჯებოდა, — ბიჭებს გვკითხა. არავინ გამოეხმაურა. მე შევედი. ნეტავ არ შევსულიყავი. დღემდე არ ამოდის თვალიდან!

ძალიან მიყვარდა გურამი, თბილი და უნიჭიერესი ახალგაზრდა იყო.



„საიდუმლო სერობას“ 16 წელიწადს ავტოფარეზში ინახავდნენ, ის სამოქალაქო ომის დროს დაიწვა...



რალაცას კი ვხატავდი ჩემთვის, მაგრამ თავი მხატვრად არ მიმაჩნდა. უფრო მეტს ვწერდი. მერე, როცა გადავწყვიტე, ხატვა სერიოზულად დამეწყო, გაიგეს მეგობრებმაც...

ჩემი პროფესია — ინგლისური ენის სპეციალისტობა არსად გამომიყენებია. ენა, ჩაბარებისას უკეთ ვიცოდი მგონი, ვიდრე მერე...

1961 წელს დედა გარდაემეცვალა. სიმსივნე ჰქონდა. ახალგაზრდა წავიდა. ჩემთვის უშიძემესი დრო იყო. გურამიც გარდაიცვალა, დედაჩემიც... დღემდე საშინლად განვიცდი. მართოც ხშირად წავსულვარ სასაფლაოზე. დედა იყო მშველელი, შემთავისებელი, მზრუნველი...

მერე ვიქორწინე. მყავს ქალიშვილი — ლელა...

ოჯახი ხომ უნდა მერჩინა, ამიტომაც ენციკლოპედიაში ვმსახურობდი სამეცნიერო რედაქტორად. რაც შეეხება მხატვრობას, ამ მხრივ რამე განსაკუთრებული მოლოდინი არ მქონდა მაშინდელი სასტიკი რეჟიმის გამო...

ადრე ზედმეტად რთული იყო გამოფენის მოწყობა. მთავარი კრიტერიუმი იყო, იდეოლოგიის მოთხოვნებისთვის გვეპასუხა. ცენზურა მოქმედებდა. კომისიები იქმნებოდა, რომ რამე არ გამოჰპაროდნენ, არ გამორჩენოდნენ, როგორც მაშინ ეძახდნენ, მხატვარი ფორმალისმისკენ ხომ არ არის გადახრილი, ბურჟუაზიული ხომ არ არისო. ბურჟუაზიულს ეძახდნენ ევროპის ხელოვნებას.

მახსოვს, დავით კაკაბაძეზე რომ ამბობდნენ, რად უნდოდა, თავი რომ დაიღუპა და აჰყვა ბურჟუაზიულ ხელოვნებას, ახლა ვინ არის, — არავინო.

გამოფენის მოწყობას საერთოდ არ ვაპირებდი, ჩემს თავში არ ვიყავი ასე დარწმუნებული, თან ისიც ვიცოდი, სად ვიყავი — რომელ ქვეყანაში. რაციონალურად ვსაზღვრავდი, რომ შეუძლებელია ჩემი ნახატების გამოფენა საბჭოთა ქვეყანაში.

1964 წელი იყო. ერთმა მეგობარმა მითხრა, ნაცნობები მყავს და უნივერსიტეტში უნდა ვცადო შენი გამოფენის მოწყობა, იქნებ დაგვთანხმდნენო. არ გინდა-მეთქი. მაინც უთხოვია. საბოლოოდ, აღმოჩნდა, ვითომ პარტიზურო აწყობდა ჩემი ნახატების გამოფენას. სააქტო დარბაზში დავკიდეთ 60 ნამუშევარი. ახალგაზრდული ხალისი გვქონდა, ვერ მივხვდით, იმათ რა ჩაიფიქრეს... თურმე უნდოდათ მაგრად გავეკრიტიკებინე, იმის საჩვენებლად გამოფენეს სურათები: აი, როგორ არ უნდა ხატო! გამოფენამ დიდი ყურადღება და-

იმსახურა. არ მიჭირს ამის თქმა და არ მერი-  
დება: მაგარი აჟიოტაჟი გამოიწვია. გაირკვა,  
რომ ბოლო დღეს ბიურომ დანიშნა გამოფე-  
ნის განხილვა. მივხვდი, რაღაც შავი იყო ჩა-  
ფიქრებული. რა საჭიროა ვიღაც ახალგაზრდა  
მხატვრის შემოქმედების ასე განხილვა. მივ-  
ხვდი, ცუდად იყო საქმე. განხილვაზე მოვიდა  
ზღვა ხალხი. დასხდნენ პარტიული ხოჭოები.  
დაიწყო კრიტიკა. გამოვიდა ვიღაც ხელოვნე-  
ბათმცოდნე — დროების მონა. როგორ არ ეს-  
მით ეს ახალგაზრდებსო, ეს ანაქრონიზმიაო.  
ვისაც პარიზის 10-იანი წლების მხატვრობა  
უნახავს, ჯაფარიძის ნამუშევრები არ გაუკ-  
ვირდებაო. კიდევ და კიდევ გამოდიან და მაკ-  
რიტიკებენ... ერთიც გამოვიდა და ასეთი რამ  
თქვა: შეხედეთ თემოს პორტრეტებსო, ნუთუ  
ეს უსუსური ადამიანები შეძლებენ სოციალიზ-  
მისა და კომუნისტების აშენებასო. ატყდა სტვე-  
ნა, ხმაური. საზოგადოების დიდი ნაწილი მე  
თანამებრძობდა. გამოვიდა ჩემს დასაცავად  
ბაჩანა ბრეგვაძე, ნიკო ყიასაშვილი... მოვიდა  
შალვა ამირანაშვილი. მანაც მაგრად დამიც-  
ვა, მე აქ სულ არ ვხედავ ბურჟუაზიულ სამყა-  
როს, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული  
მხატვრობააო. მოვიდა ლადო გუდიაშვილი,  
მან შინ წაიღო შთაბეჭდილებების წიგნი და  
ჩაწერა საქებარი და მხარდამჭერი სიტყვები...  
ჩემს პოზიციას იცავდნენ ლალი ჯავახიშვი-  
ლი და ფარნა ლაპიაშვილიც. ცოტა არ იყ-  
ვნენ დამცველები. პარტიულებმა კი მლანძღეს,  
მაგრამ გააორმაგეს ინტერესი ჩემდაძი.

1968 წელს ჩემმა მეგობარმა მწერალმა  
შხია ბაქრაძემ მითხრა, „გოგსში“ (უცხოეთ-  
თან ურთიერთობის სამსახური) უნდა მოვაწ-  
ყოთ შენი გამოფენაო. ამ დროს სრული აბ-  
სტრაქტული პერიოდი მაქვს. ეტყობა, იმ დი-  
რექტორმა ვერ წარმოიდგინა, რა უნდა დაე-  
კიდათ მის საგამოფენო დარბაზში და თანხმო-  
ბა თქვა. მაისი იდგა. სუთი დღე იყო დასვენე-  
ბა და იმ დღეებში ეხსლათორთეთ მე და ჩემმა  
მეგობრებმა, ჩარჩოები დავამზადეთ და ექსპო-  
ზიცია მოვაწყვეთ. ვიღაც ხალხი მოდიოდა...  
შეხედეს ჩემს ნამუშევრებს, მერე გაცვიფდნენ  
და სუკს დაურეკეს. მოვიდა კულტურის სამი-  
ნისტროდან ხალხი... ხმა არ ამოუღიათ. მაგ-  
რამ მერე დღეს კარი ჩაკეტეს. ქუჩაში ვიდე-  
ქი, ათასი კაცი მოდიოდა, თემო, შემიშვი რა  
გამოფენაზეო... მე არ მიშვებენ და შენ რო-  
გორ შეგიშვა-მეთქი. კართან შეგროვდა ბევ-  
რი ადამიანი. მთელი ძალით აწეობდნენ კარს.  
იძულებული იყვნენ, გაეღოთ. მომდევნო დღეს



კადრი მხატვრული ფილმიდან „ამაღლება“, 1977 წ.



კადრი მხატვრული ფილმიდან „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, 1984 წ.

მთელი შენობის კარი ჩაკეტეს, იქაც იგოვე გან-  
მეორდა. ასეთ ომში ჩაიარა მერე გამოფე-  
ნის გახსნის მოლოდინმა. ძალიან ბევრი ხალ-  
ხი მოდიოდა...

ერთ დღესაც დირექტორმა დამიძახა და  
სასწრაფოდ ჩამოსხენი გამოფენა, დარბაზი  
გეჭვირდებაო. სუკმა და კულტურის სამინისტ-  
რომ მოილაპარაკეს და აიკრძალა გამოფე-  
ნის გახსნა... ნახატები ჩამომანსწვევინეს.

ამ გამოფენის მერე დისიდენტად ჩამთვა-  
ლეს. თვითონ თუ მივიჩნევდი თავს დისიდენ-  
ტად? — ვაზროვნებდი ანტისაბჭოურად, ვხა-  
ტავდი ანტისაბჭოურად, მხოლოდ პოლიტი-  
კურ ამბებში არ ვერეოდი. არ არის ჩემი საქ-  
მე და იმიტომ. ალბათ, მიანჩნდათ, რომ ჩემთან  
ლაპარაკი არ ღირდა, იცოდნენ, რა ტიპიც ვი-  
ყავი, რა რეაქცია მექნებოდა... ამიტომ ჩემს  
გამოსწორებას არ ცდილობდნენ, უფრო ჭკვი-  
ანურად მექცეოდნენ. 1972 წელს დავხატე „სა-  
იდუმლო სერობა“. თამაზ ჩხენკელმა მათხო-  
ვა გაურემონტებელი ბინა ხილიანზე და იქ  
ვხატავდი, მქუთუე სართულზე.

ამ ნახატის ამბავი კა-გე-ბეშიც გაიგეს.  
ლევან ხაინდრაყამ — გოგას მამამ მითხრა,



„ოდისეუსი“. თუმო ჯაფარიძე

იცი, შენ გარშემო რომ კა-გე-ბეს ორომტრიალიაო? როგორ გაიგეს კა-გე-ბეში? — იქ უამრავი კაცი მოდიოდა. მათგან ცოტა როდი იქნებოდა კაგებეშიცი. ვერ გაიგებდი, ვინ ვინ იყო. 1972 წლიდან 16 წელიწადს „საიდუმლო სერობას“ ჩემი მეგობარი ინახავდა ავტოფარეხში.

ჩვენი დროის ცნობილმა პიროვნებებმა, მათ შორის ოთარ იოსელიანმაც რამდენჯერმე მიიყვანა უცხოელები „საიდუმლო სერობის“ სანახავად, ზოგი მე მთხოვდა, მაჩვენეო და მეც მიმყავდა... იმ მეგობარს, ვისთანაც ნამუშევარი ინახებოდა, ჩაუწერეს სუკში რუსული ტერმინი „ნევიზენოი“. უცხოეთში რომ ნდომოდა წასვლა, არ გაუშვებდნენ. მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ჩემს ნახატს ინახავდა. როცა ენციკლოპედიაში ვმსახურობდი, დამიბარა მაშინდელმა ჩვენმა დირექტორმა კაბინეტში. დისციპლინა მქონდა ცუდი, ვაკვიანებდი ზოლმე და ვიფიქრე, ამიტომ მეძახის-მეთქი, მაგრამ სხვა ამბავი აღმოჩნდა, მითხრა: დღეს სუკის თანამშრომლები იყვნენ თქვენი საქმისა და პიროვნების შესასწავლად, აღმფოთებულნი არიან იმით, რომ ცუდ ხალხთან მეგობრობთ, თქვენ შესახებ ყველაფერი იციან... იციან, რო-

დის საით იყურებით... ეტყობა, ეს აშფოთებდა სუკს, უნდოდა, მოსკოვის წინაშე პირნათელი ყოფილიყო. უცხოელი რა არის-მეთქი, ისიც ადამიანია, მოდის ჩემი მეგობარი, მოჰყავს სტუმარი და ნახატის ნახვა უნდათ, რა ვქნა, პანდური ამოვარტყა-მეთქი? გულუბრყვილოს პოზიცია დავიჭირე...

კიდევ ერთმა თანამშრომელმა მითხრა: კა-გე-ბეში დამიბარეს, სამ საათს შენზე მეკითხებოდნენო.

საინტერესოა და ვერ გამოვიდა, მე რატომ არ მიძახებდნენ. ახლაც მიკვირს. იგივე ვუთხარი დირექტორს: მე რატომ არ მიბარებენ-მეთქი... არ მიპასუხა.

„საიდუმლო სერობა“ სამოქალაქო ომის დროს დაიწვა...

კინოში გადაღებაც მომიხდა... ნოდარ მანაგაძე ჩემმა მეგობარმა მოიყვანა, ძალიან უნდა რომ გადაგიღო... კინო მანამდეც იყო ჩემს ცხოვრებაში.

თავიდან გიორგი შენგელაიამ გამსინჯა „ალავერდობაში“. მერე ოთარ იოსელიანმა სცადა „იყო შაშვი მგალობელში“ ჩემი გადაღება, მერე გიორგი შენგელაიამ გადამიღო ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, ოცხელის ეპიზოდურ როლში...

უცხოეთში მე არავინ გამიშვებდა... თავისუფლების შემდეგ, 1991 წელს ჯანრი კაშიამ დამპატიჟა პარიზში. მაშინ გავედი პირველად ევროპაში...

ნახატების მყიდველები თუ მყავდა? სურათს უცხოელზე ვერ გაყიდდი. ადგილობრივებში კი ისეთი ფასით იყიდებოდა, სასაცილოც იყო იმაზე რაზე ეთქვათ.

ადრე სულ არ ვფიქრობდი, მომავალში როგორი ვიქნებოდი... როგორ იფიქრებ 25 წლისა, 70 წლის როგორი იქნები?

მაგრამ ამას მაინც ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ახლა როგორიც ვარ! ეტყობა ჩემმა მარტო ცხოვრებამ, თავის მოუვლელობამ, ბევრმა შრომამ გატეხა ორგანიზმი...

მარტოობის შიში არასდროს მქონია. პირიქით, სიმარტოვე შემეფიქრდა კიდევაც. ერთად ვცხოვრობდით მე და ის... ეს იყო მარტოობა საყვარელ ადამიანებთან ერთად და რაც მთავარია, შემოქმედება ითხოვს მარტოობას. მხოლოდ მარტოობის დროს მუშაობ...

...ამდენი საჩუქარი მომცა ღმერთმა: ხატვა შემეძლია, წერა შემეძლია, კარგ ადამიანებთან მეგობრობა შემეძლია... მეტი რა გინდათ?

**ლელა ჯიყაშვილი**



## კახა მიქიაშვილი:

# ისტორია ისე კარბად არ ვიცი, როგორც საჭიროა...

*„ისტორიული ამბები კარგად მამახსოვრდება, თარიღები — ნაკლებად. ვეჭვობ, თქვენი რუბრიკისთვის კარგი რესპონდენტი ვიყო, — ამბობს მსახიობი კახა მიქიაშვილი და თავის „გამოსაცდელად“ თავისუფალ თეატრში შეპატივება. ინტერვიუს დაწყებამდე დასძენს, — რომ იცოდეთ, როლის დამახსოვრება არ მიჭირს, მეტიც, სპექტაკლში ყველა ჩემი პარტნიორის ტექსტი ზეპირად ვიცი და ამაზე ხშირად ხუმრობენ, ვინმეს რამე თუ დაავიწყდება, სუფლიორობას „ვითავესებო“...“*

— კახა, გამორჩეულად რომელი ისტორიული გმირი გიყვართ?

— მხოლოდ ერთ გმირს ვერ დავასახელებ. მათი ღვაწლის გამო ჩვენი მეფეები ძალიან მიყვარს: ვახტანგ გორგასალი, თამარი და დავით აღმაშენებელი. მიყვარს ალექსანდრე მაკედონელი. რამდენიმე თვის წინ წავიკითხე მისი ცხოვრების შესახებ. ახლა რამე რომ მკითხო, შეიძლება ვერც გავიხსენო, მოგვიანებით დაგირეკო და სწორი პასუხი გითხრა. როცა ისეთ ინტერვიუზე ხარ, სადაც შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები „მიშვლდება“, მეტისმეტად იბაბები. სცენაზეც ასეა, ტექსტი

თუ დაგავიწყდება, რაც უნდა მონიღო, ვერ გაიხსენებ...

— გადავამოწმოთ... რამდენი წლის იყო ალექსანდრე მაკედონელი, როცა ტახტზე ავიდა?

— მგონი 20-მდე, არა?

— 20 წლის იყო! მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი, არტემიდეს ტაძარი მან დაწვა, რათა სახელი გაეთქვა. კანონის ძალით კი, ვინც მის სახელს ახსენებდა, სიკვდილით სჯიდნენ. მიუხედავად ამისა, მისი სახელი ისტორიას მაინც შემორჩა. დაასახელეთ იგი.

— ჰეროსტრატე.

— მეცნიერები ვარაუდობენ, ეს ამბავი სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა დიდი მხედართმთავარი დაიბადა. რომელი მხედართმთავარი?

— არ ვიცი.

— ალექსანდრე მაკედონელი.

— მართლა? არ ვიცოდი, იმ წიგნში ნამდვილად არ წერია.

— ეს მთა ისრაელის დაბლობზე, ქვემო გალილეაში ქალაქ ნაზარეთიდან 9 კილომეტ-

რში მდებარეობს. მთის თავზე ორი მონასტერია — კათოლიკური და მართლმადიდებლური. დაასახელეთ რომელ მთაზეა ლაპარაკი?

— გეთსამანია, ასეა თუ მეშლება?

— გეშლებათ.

— (ფიქრობს) თაბორის მთა?

— დიახ!

— თაბორის მთა თბილისშიც არის, სწორედ ამ მთაზეა ფერიცვალების ეკლესია.

— რას უწოდა ლენინმა „გაზეთი ქალაქისა და დისტანციის გარეშე“?

— რადიომაუწყებლობას.

— რა ერქვა სამხედრო უწყების მოხელეს ძველ საქართველოში?

— ჯარს სპა ერქვა, სპასალარი, არა?

— დიახ. რამდენჯერ შემოესია თემურ-ლენგი საქართველოს?

— რვაჯერ, მაგრამ წლები რომ მკითხოთ, ვერ გიპასუხებთ.

— საუკუნე?

— ეგ ვიცი, XIV საუკუნეში იყო.

— ის 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახდა. მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალიბებაში. 1919 წელს გახდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე. წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარა. 1921 წლის 17 მარტს, როცა ბათუმის ნავსადგურიდან ქვეყანა თითქმის მთელმა მთავრობამ დატოვა, ის მათ არ გაჰყოლია. მალე შეფიცულთა რაზმი ჩამოაყალიბა. დაასახელეთ, ვისზეა ლაპარაკი?

— დაეზუსტებ, ის ემიგრაციაში გარდაიცვალა?

— დიახ.

— რამდენიმე წლის წინ საქართველოში ჩამოასვენეს? ქაქუცა ჩოლოყაშვილზეა საუბარი. სწორედ ქაქუცასნაირი გმირების თავგანწირვამ გადაგვარჩინა. დღემდე მათი სიცოცხლის ფასად მოვედით. ერთხელ უწმიდესმა თქვა, საქართველოს მიწა რომ გაწურო, სისხლი გამოუვაო. მათთვის პატევის მიგება თითოეული ჩვენგანის ვალია. ვწუხვარ, რომ ისე კარგად არ ვიცი ისტორია, როგორც საჭიროა. როგორც უნდა იცოდეთ, ვინ იყო მამაშენის მამა და იმის მამა, ისე უნდა იცოდეთ შენი წარსული.

— ქართველ მეფეთა შორის ყველაზე დიდხანს რომელი მეფობდა?

— იმდენი მეფე გვყავდა, ახლა ყველა უნდა გავიხსენო?



- მიგანიშნებთ, ის ქვეყანას X საუკუნემდე მართავდა.
- ვერ გიპასუხებთ.
- ფარნავაზი. რომელ ქართველ მეფეს ჰყავდა ყველაზე მეტი შვილი?
- ერეკლე II-ს, არა?
- დიას! იმერეთის მეფე ალექსანდრე V დაბრმავდა, რას მიაწერეს მისმა თანამედროვეებმა ეს მოვლენა?
- ვერ გიპასუხებთ. სარწმუნოებასთან ზომ არ არის დაკავშირებული?
- უფრო კონკრეტულად?
- თითქოს რაღაც მახსენდება, მაგრამ... აჯობებს, თქვენ მითხრათ.
- ერთი თვით ადრე მეფემ გელათის ტაძარი გაძარცვა. ხახულის ღვთისმშობლის ხატს ძვირფასი თვლები „ამოყარა“.
- თუ ეგრე იყო, აბა, რა დაემართებოდა?
- „საშველს რომ აღარ მაძლევს ზოლმე მამულზე ფიქრი, / ხანდახან გულში ღიმილით ვიტყვი: — / რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა, / მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! — / რომელი მეფე ერეკლე მე ვარ! / ანდა რომელი მსახური მისი! / პასუხად მცისვე, / ვითარცა სეტყვა, / ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, — / იხუვლებს ზოლმე, იხუვლებს ერთხმად — / დალატიოო მაგგვარი ფიქრი!“. ვინ არის...
- (მწვევებინებს) ავტორს მეკითხებით? მუხრან მაჭავარიანის ლექსია! პოეზია ძალიან მიყვარს.
- საქართველოს რომელ რაიონშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები წულდრულაშენი, ორბელიანთა კარის ეკლესია, ქვეშის ციხე?
- ვერ ვიხსენებ, იქნებ რეგიონი მითხრათ.
- ქვემო ქართლის ტერიტორიაზეა.
- მივხვდი, ბოლნისის რაიონშია. სულხან-საბა ორბელიანი ზომ სოფელ ტანძიდიდან იყო.
- რომელი პროფესიის ადამიანებს უწოდებდნენ ძველი ბერძნები დროის გადამცემებს?
- ისტორიკოსებს.
- ეს ქანდაკება პარიზში მოქანდაკე ფრედერიკ ბართოლდიმ დაამზადა, მაგრამ დღეს სხვა ქვეყანაში დგას. რომელ ქანდაკებაზეა ლაპარაკი?
- გაყიდა?
- არა, სხვა ქვეყნის ხალხს აჩუქა.
- ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლების ქანდაკება ზომ არა?
- გამოცანით. აქვე გაიხსენეთ, მუშაობის

- დროს, მოქანდაკეს მოდელად ვინ ჰყავდა?
- ეგ არ ვიცი.
- საკუთარი დედა. წელიწადის 12 თვიდან რომელ ორ თვეს დაერქვა სახელი რომის იმპერატორთა პატოვსაცემად?
- ივლისსა და აგვისტოს.
- ვის პატოვსაცემად?
- იულიუს კეისრისა და ავგუსტუსის, არა? ავგუსტუსს რა ერქვა?
- ოქტავიანე. ისინი რუსი თავად-აზნაური რევოლუციონერები იყვნენ. ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1825 წლის დეკემბერში შეიარაღებული აჯანყება მოაწვევს. რა სახელით შემორჩნენ ისტორიას?
- დეკაბრისტების.
- ისრაელის მეფეს, — სოლომონს საკუთარ ბეჭედზე ამოტვიფრული წარწერა თუ ცუდ ხასიათზე იყო, კარგ ხასიათზე აყენებდა, ხდებოდა პირიქითაც. რა წერა ბეჭედზე?
- არ ვიცი.
- „ესეც გაიფლის“.
- აუ! ეგ ვიცოდი და ვერ გავიხსენე...
- რომელმა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს — ლუდოვიკო XIV-ს შემდეგი სიტყვები: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას“?
- სულხან-საბა ორბელიანმა უთხრა სტუმრად ყოფნის დროს, არა?
- დიას! 1865 წელს ლონდონში ცნობილი სამხედრო ექიმი ჯეიმს ბერი გარდაიცვალა. ის არმიის გენერალური სამედიცინო ინსპექტორი, საველე ჰოსპიტალში ჰიგიენის ნორმების ერთ-ერთი პირველი დამწერგაუი იყო. მძიმე ხასიათი ჰქონდა და ცნობილი იყო, როგორც ჩხუბისთავი. ბერის გარდაცვალების შემდეგ, ლონდონის მაღალ საზოგადოებაში გრანდიოზული სკანდალი აგორდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტრომ ამბის მიჩუმათება მოახერხა. რით განსხვავდებოდა ჯეიმს ბერი თავისი სამხედრო კოლეგებისგან?
- ინტუიციით ვხვდები თუ სადღაც წამიკითხავს, მგონი ქალი იყო.
- დიას! დაასრულეთ ნოდარ დუმბაძის ცნობილი გამონათქვამი: „სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე...“
- სინარული.
- „...დალხინება და დღესასწაული“.



# პირველი მუმიები

**302** პირველი ხელოვნური მუმიები 7000 წლის წინ დაამზადა სამხრეთ ამერიკაში მცხოვრებმა ხალხმა ჩინჩორომ. სახელი მას ჩილეში მდებარე ადგილის მიხედვით ეწოდა. სწორედ აქ აღმოაჩინეს მეცნიერებმა მათი ცხოვრების ნაკვალევი. ჩინჩოროები შეთეთრებით ირჩენდნენ თავს და მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ წყნარი ოკეანის სანაპიროზე.

▼ ჩინჩოროების მუმიას ზოგჯერ თიხის ნიღაბი ჰქონდა სახეზე.



**უკანუსმა კითხვებს**

1. სად ცხოვრობდა ჩინჩოროს ხალხი?
2. რით ფარავდნენ მუმიას, რომ სხეულის ფორმა შეენარჩუნებინათ?
3. რამდენი წლის განმავლობაში ამზადებდა ჩინჩოროს ხალხი მუმიებს?
4. როდის აღმოაჩინეს პირველი მუმიები?

4. 1917 წელს  
3. 3000 წელიწადი  
2. თიხის ნიღაბი  
1. ჩილეში, სამხრეთ ამერიკაში.

**პასუხები**

**303** ჩინჩოროები იმიტომ ამზადებდნენ მუმიებს, რომ სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის სჯეროდათ. ცდილობდნენ, მუშია ცოცხალს დამსგავსებოდა, თანაც, არ სურდათ, გარდაცვლილი გახრწნილიყო. შესაძლოა, ეგონათ, რომ მიცვალებულს ისევ შეეძლო სიცოცხლის გაგრძელება, თუკი მისი ცხედარი კარგად შეინახებოდა.

**304** ჩინჩოროს ხალხი მიცვალებულს შიგნეულობას აცლიდა, შემდეგ კანს, ტვინს და გასაშრობად ტოვებდნენ. დასაფიქსირებლად, ფეხებზე, ხელებსა და ხერხემლის ძვალებზე ჯოხს უმაგრებდნენ. მუშიას თეთრი თიხით ფარავდნენ, რომ სხეულის ფორმა გამოკვეთილიყო. შემდეგ კანს ისევ გადააკრავდნენ, დამუშავებისას დაკარგული კანის ნაცვლად კი ცხოველის ტყავს იყენებდნენ. როცა მუშიას თიხა შეაშრებოდა, თეთრად ან შავად ღებავდნენ.

# 500 ფაქტი ისტორიიდან / მუმიები

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-22 • ნაწვევტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“

▼ ჩინჩოროები გარდაცვლილს კანს აპრობდნენ და რბილ ქსოვილს აცლიდნენ, სხეულს ფორმას კი ჯოხებით, თეთრი თიხითა და საღებავით აძლევდნენ.


**305** ჩინჩოროს ხალხი მუმიებს 3000 წლის განმავლობაში ამზადებდა. თავდაპირველად მუმიებს შავად ღებავდნენ, მაგრამ უკანასკნელი მუმიის დამზადების დროისთვის, დაახლოებით 4000 წლის წინ, წითელ საღებავს არჩევდნენ.

**306** ჩინჩოროს ხალხის პირველი მუმიები 1917 წელს აღმოაჩინეს, მათგან თორმეტი — ჩილეს ჩრდილოეთით. 1983 წელს მშენებლებმა ბევრი უძველესი სამარხი იპოვეს. დაახლოებით ასი მუმიამოთხარეს ამ ადგილებში, ხოლო ბევრიც — ჩილეს სხვა მხარეებში.

# ეპროპელი ყინულის კაცი

**307** ვერობის უძველესი ადამიანის მუმიას ყინულის კაცს უწოდებენ. ის ქვის ხანის დასასრულს, დაახლოებით 5300 წლის წინ გარდაიცვალა. მისი მუშია 1991 წელს მოგზაურებმა ჩრდილოეთ იტალიაში, მყინვარში პირქვე ჩამხობილი იპოვეს.

**309** როცა ყინულის კაცი ცოცხალი იყო, მაშინ შუბებს ქვის ბასრი წვეტები ჰქონდათ. სწორედ ქვის წვეტმა გაატანა ტანსაცმელში, მარცხენა ბეჭში ჩაერჭო და ღრმა ჭრილობა მიაყენა. ჩანს, კაცმა შუბის გრძელი ტარი ამოიგლიჯა, მაგრამ წვეტი სხეულში ჩარჩა. სწორედ ამ ჭრილობას შეიძლება გამოეწვია ნელი, მტანჯველი სიკვდილი.



▲ ყინულის კაცი ყველაზე კარგად შენახული ადამიანის მუშიაა, რაც კი ოდესმე აღმოუჩენიათ. ის ძალიან კარგად არის შენახული, განსაკუთრებით — თვალეები.

**308** გაყინული ადამიანის მუშია ძალიან მთებში ნახეს, სადაც ძალიან ცივა. თავდაპირველად ის მწყემსი, მონადირე ან მოგზაური ეგონათ. 2001 წელს გაყინული მამაკაცის მარცხენა ბეჭში შუბის წვეტი აღმოაჩინეს. ის შეიძლება საფრთხეს გაექცა მთებში.

**310** მუმიის ტანსაცმელიც კარგად შემონახულა. მეცნიერებმა პირველად ნახეს, როგორ ეცვა ქვის ხანის ადამიანს: ფეხზე ტყავის წინდა და ფეხსაცმელი, ტანზე — თხის ტყავის სამოსი, თავზე დათვის ბეწვის ქუდი ეხურა და დაწნული ბალახისგან დამზადებული მოსასხამი შემოეხვია. მაშინდელი ცივი კლიმატის პირობებში ასეთ სამოსში ყინულის კაცი თავს თბილად იგრძნობდა.

### 311

ვინულის კაცთან ერთად მისი ალჭურვილობაც იპოვეს. მას თან ჰქონდა სპილენძის ნაჯახი, ქვის ხანჯალი, მშვილდი და 14 ისარი. აგრეთვე, ტყავის ჩანთა, რომელიც ხმელი ბალახით იყო სავსე. თუ ვინულის კაცი მონადირე იყო, მაშინ მას შეეძლო ისრებით მოეკლა ისეთი ცხოველი, როგორცაა მთის თხა.

ტყავის ჩანთა

კაპარჭი ანუ საისრე

### 312

ამჟამად ვინულის კაცის მუმი და მისი სამოსი ალჭურვილობასთან ერთად ჩრდილოეთ იტალიაში, მუზეუმში ინახება. დამთვალიერებლებს შეუძლიათ შეიჭვრიტონ პატარა ფანჯარაში, რათა დაინახონ ვინულის კაცი, რომელსაც სპეციალურ ოთახში გაყინულს ინახავენ. არასოდეს დაუშვებენ მუმის გაღობას, რადგან ეს მის გაზრწნას გამოიწვევს.

▶ აღდგენილი ვინულის კაცის სხეული გვიჩვენებს, როგორ გამოიყურებოდა იგი სიკვდილის დღეს.

ქვის ხანჯალი

სპილენძის ნაჯახი

ბალახით დატენილი ფეხსაცმელი, ფეხი რომ თბილად ჰქონოდა

#### დაუჯერებელია!

თავდაპირველად ვინულის კაცი თანამედროვე ადამიანი ეგონათ, რომელიც მთაში უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.



# ჭაობის მუმიები

## 313

უამრავი მუშია იპოვეს ჩრდილოეთ იტალიის ტორფიან ჭაობებში. ტორფი არის წიაღისეული, რომელიც წარმოიქმნება წყალში მოხვედრილ მცენარეთა ნაშთების დაშლით, ჭარბი ნესტისა და უჰაერობის პირობებში. თუ გარდაცვლილის სხეულს ჭაობში მოათავსებენ, ის მუშიასავით შეინახება. ეს იმიტომ ხდება, რომ ჭაობში მცირე რაოდენობითაა ჟანგბადი და ბაქტერიები, რომლებიც სხეულის გახრწნას იწყებენ.

▼ ტოლუნდელი მამაკაცის სახე ისე კარგად არის შენახული, გვეჩვენება, სძინავსო.

### დაუჯერებელია!

როცა ტოლუნდელი კაცი იპოვეს, მეცნიერებმა მხოლოდ მისი თავის გადარჩენა შეძლეს. სხეული კი გამოაშრეს, სანამ მხოლოდ ძვლები არ დარჩა.



## 314

ჭაობის მუმიებს ჩვეულებრივ მაშინ პოულობენ, როცა ტორფი ამოაქვთ. ერთ-ერთი მუშია 1950 წელს ტოლუნდში (დანია) იპოვეს. ტოლუნდელი კაცი 2300 წლის წინ გარდაიცვალა. მას ველზე მარყუჟი ჰქონდა ჩამოცმული. როგორც ჩანს, ღმერთების პატივისცემის ნიშნად მსხვერპლად შესწირეს და ჩამოახრჩვეს, მერე კი ჭაობში გადაადგეს. მისი სახე შესანიშნავად შეენახა ჭაობს.





**316** გრობოლელი მამაკაცი ჭაობის ტორფში დანიაში აღმოაჩინეს. ის 1852 წელს სოფელ გრობოლთან ახლოს მუშებმა ნახეს. დაახლოებით 2300 წლის წინ კაცს ყელი გამოჭრეს და ჭაობში ჩააგდეს.

▲ გრობოლელი ადამიანის თავი. ჭაობის სხვა ნეშტების მსგავსად, მისი კანი ყვეისფერი გახდა მჟავიანი გარემოს ზემოქმედებით.

**315** ჭაობის მუმიები გერმანიაშიც აღმოაჩინეს. ვინდებიში გოგონას მუშია იპოვეს. გოგონას, რომელიც 1900 წლის წინ გარდაიცვალა, თვალები ახვეული ჰქონდა. ჩანს, როცა ჭაობისკენ მიჰყავდათ, თვალები აკრული ჰქონდა და მერე ჭაობში ჩაახრჩვეს. ტანზე გამობმული ჰქონდა დიდი ქვის ლოდი და ხის ტოტები, ამიტომაც ჩაიძირა ჭაობის ფსკერზე.

► ვინდებიში ნაპოვნ გოგონას სიკვდილის მომენტში თმა სანახევროდ გაკრეჭილი ან გადაპარსული ჰქონდა.



**317** მოზარდი გოგონას მუშია ნიდერლანდებშიც იპოვეს. გოგონა, რომელიც აიღეს სახელითაა ცნობილი, როგორც ჩანს, ჯერ სასიკვდილოდ დაჭრეს, მერე მოახრჩვეს და ჭაობში ჩააგდეს. ეს დაახლოებით 1900 წლის წინ მოხდა. ანთროპოლოგმა აღადგინა მისი თავის ქალა, მერე ის ცვილით დაფარა და აღადგინა სახე. ამით მეცნიერებს საშუალება მიეცათ, ენახათ, როგორ გამოიყურებოდა გოგონა.

# ლინდოუელი კაცი

**318** 1984 წელს ჩრდილო-დასავლეთ ინგლისში მამაკაცის მუშია იპოვეს. ის ტორფის მომპოვებლებმა აღმოაჩინეს ლინდოუ-მოსის ჭაობში, ჩემირის საგრაფოში. მუშიას „ლინდოუელი კაცი“ უწოდეს, ადგილობრივმა გაზეთმა კი — „პიიტ მარში“, რაც ტორფის ჭაობს ნიშნავს. მუშია ამჟამად ლონდონის ბრიტანულ მუზეუმშია გამოფენილი.


**319** ლინდოუელი კაცი გარდაცვალებიან დაახლოებით 20 წლის იყო. მან სიცოცხლე დაახლოებით 1900 წლის წინ დაასრულა. სიკვდილის შემდეგ მისი სხეული ჭაობში ჩააგდეს, სადაც ჩაიძირა და სანამ აღმოაჩენდნენ, იქ განისვენებდა.

▼ ლინდოუელი კაცის სხეული გაჭყლებილი იყო, რადგან ჭაობის სიმძიმე აწევბოდა ზემოდან.



# 320

**ლინდოუელი კაცი**  
**ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდა-**  
**რა.** გარდაცვალებამდე მან მომწამ-  
 ვლელი ფითრით შეზავებული  
 საკვები ჭამა. შეუძლებელია იმის  
 მტკიცება, საწამლავი წინასწარ იყო  
 მასში გარეული თუ ეს შემთხვევით  
 მოხდა. მის სხეულზე აღმოჩენილი  
 ნაჭდევეები მოგვითხრობენ მისი  
 სიცოცხლის ბოლო წუთებზე.  
 ვილაცამ ბლაგვი საგანი ჩაარტყა  
 თავში, მერე კისერზე თოკი შემოახ-  
 ვიეს და მოახრჩვეს, სულ ბოლოს კი  
 ყელი გამოჭრეს.



# 321

**ოთხი წელიწადი**  
**დასჭირდა ლინდოუელი მამაკა-**  
**ცის სხეულის ნაწილების პოვნას.**  
 ტორფის საჭრელმა მანქანამ  
 მისი სხეული დაანაწევრა,  
 ამიტომ ნაწილები სხვადასხვა  
 ადგილას ნახეს. 1984 წელს  
 იპოვეს მისი წელზედა ნაწილი,  
 ხოლო ოთხი წლის მერე —  
 მარცხენა ფეხი. მარჯვენა ფეხი,  
 საგარაუდოდ, ისევ ჭაობშია  
 ჩარჩენილი.

▲ ლინდოუელი მამაკაცი დამწვარ პურს  
 ჭამს. ეს შეიძლება იმ ცერემონიის შემადგენელი  
 ნაწილი იყო, რომლის დროსაც მამაკაცი  
 ღმერთებს შესწირეს.

# 322

**იმ დროს, როცა ლინდოუელი კაცი**  
**ცხოვრობდა, ღმერთებს მსხვერპლს სწირა-**  
**დნენ.** ყველაზე დიდი საჩუქარი ღმერთების-  
 თვის ადამიანის შუწირვა იყო, რისი  
 მსხვერპლიც შეიძლებოდა  
 გამხდარიყო ეს მამაკაცი. მას  
 შემდეგ, რაც ფითრგარეული  
 საკვები აჭამეს, იგი მოკლეს და  
 მერე ჭაობში ჩააგდეს. მაშინ  
 ადამიანები ფიქრობდნენ, რომ  
 ის ამქვეყნიურ სამყაროს  
 ტოვებდა და ღმერთების საუფლო-  
 ში გადადიოდა.

**დაუჯერებელია!**

ბრიტანეთის მუზეუმის  
 დამთავლიერებლებმა  
 ლინდოუელ მამაკაცს  
 სახელები მოუგონეს. მათ  
 შორის „კაცი საპირფარე-  
 შოში“ და „ტალახიანი  
 კაცი“.







ესპანეთის მმართველი გენერალისიმოსი

		1 ფსიქონალიზ-ის ავტორი		2 ოუდეს პროკურატორი				
		3 ძველი ბრიტნი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი						
		4 ფელდგეპტური შვის ლეთაება						
5 მაკლინელის და დარიოსის ბრძოლის ველი		6 პიკასოს ანტიფაშისტური კნაილება		7 სტალინის პოეტური ფსევდონიმი				
						8 აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო		9 „პამფლეტის“ პერსონაჟი ქალი
	10 ქალაქ-სახელმწიფო რომში		11 სამკითხაო ბანკი		12 პიტლერის სტეცრაზმის უფროსი		13 ოუბიტერის მუელე	
						14 სვეტების მწერე		15 პიტლერის ავაციის უფროსი
						16 მომღერალი შერილინ სარქისაიანი ანუ ...		
					17 რომაული ციხე-სამაგერე ბაიუმთან			
					18 პრემიის დამარსტული შვედი ინჟინერი		19 ნაპოლეონის პოლიციის მინისტრი პერცოვი	
	20 უმმაკი ცხოველი		21 მითოლოგიური „მეფე“ ქალი		22 ახალბუნდანი-ფელი აბორიგენი			
							23 ღიანა სპენსერი ანუ ლელი ...	
	24 საფაღოფო, სადაც ასწავლიან კოფე					25 მზარე დასავლელი საქართველოში		

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანორდის პასუხები:  
 1. ნიკუ; 2. რეგენტი; 3. ლი; 4. ნოსტრადამუსი; 5. ტეკილა; 6. ბრუნეი; 7. ონი; 8. სურაგანდი. 9. ფრაბი; 10. ფორპოსტი; 11. ბალუ; 12. ფრანკლინი; 13. ვეირილი; 14. ადი; 15. მირზაანი; 16. რადიო; 17. აორტა; 18. როკი; 19. მაკარი; 20. არზა; 21. დეკადანსი; 22. ტროა; 23. თუდა; 24. თე; 25. იდიში. სურათზე: ალბერ გრიმალდი.